საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი

# გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს

## დოკუმენტებისა და მასალების კრებული

შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა
მ. მ. გაბრიჩიძემ

სახელგამი * პოლიტლიტერატურის სექტორი
თბილისი — 1942

ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე შავბნელ ფურცელს წარმოადგენს საქართველოს ოკუპაცია გერმანელი იმპერიალისტების მიერ 1918 წელს, კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში, მთავრობის, რომელმაც ჩვენი სამშობლო ხელში ჩაუგდო უცხოელ დამპყრობლებს. საქართველოს ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესების თავგამოდებული დამცველები, ქართველი მენშევიკები, შეშინებულნი რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის მონაპოვრებით დიდ ოქტომბრის რევოლუციაში, დაადგნენ საქართველოს მშრომელთა პირდაპირი გამცემლობისა და ღალატის გზას. „...ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა“.[1] საქართველო მათ მოსწყვიტეს რევოლუციურ რუსეთს და ის გადააქციეს უცხოელი ინტერვენტების პლაცდარმად და კონტრრევოლუციის კერად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მენშევიკების მიერ გამოცხადებული „საქართველოს დამოუკიდებლობა“ არსებითად მიზნად ისახავდა ქვეყნის ყველა რეაქციული ძალების კონსოლიდაციას ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი მუშებისა და გლეხების მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. საქართველოს „დამოუკიდებლობა“, ასეთი ხალისით აღიარებული გერმანელი იმპერიალისტების მიერ, შირმას წარმოადგენდა მენშევიკური მთავრობის ნამდვილი მიზნების დასაფარავად,

---

[1] ი. სტალინი. „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით“.

რაც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და საქართველოს მშრომელთა დამონებისაკენ დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტების მიერ. სწორედ ამიტომ ი. სტალინმა, გამოააშკარავა რა ქართველი მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა საქართველოს „დამოუკიდებლობის“ საკითხში, თავის წერილში კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის ს. გ. შაუმიანისადმი 1918 წლის 8 ივლისის თარიღით ასეთი დირექტივა მისცა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს: „ამიერ-კავკასიის საკითხში ჩვენი ზოგადი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები ვაიძულოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები ოფიციალურად აღიარონ რუსეთის შინაურ საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ ამიტომ არ ვცნობთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელიც გერმანიამ სცნო“.[1]

მენშევიკების ბატონობის ხანაში ქართველი ხალხი კატასტროფიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მენშევიკებმა ვერ შესძლეს ვერც ერთი იმ ამოცანის გადაჭრა, რომელიც საქართველოს მშრომელებს აღელვებდა: მიწა მემამულეების საკუთრებად დარჩა, ფაბრიკები და ქარხნები კი ბურჟუაზიის ხელში. სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში არსებული ნგრევის გამო მშრომელი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა რევოლუციის წინადროინდელ პერიოდთან შედარებითაც კი.

აღფრთოვანებულნი რუსეთის მუშებისა და გლეხების წარმატებებით, რომლებმაც დაამხეს მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება, საქართველოს მშრომელები დაუღალავ რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდნენ მათთვის საძულველ

---

[1] ეს წერილი პირველად გამოქვეყნდა 1941 წელს წიგნში „დოკუმენტები სამოქალაქო ომის ისტორიისა სსრ კავშირში“, ტ. I, გვ. 289—290.

მენშევიკურ მთავრობასთან. „ოქტომბრის რევოლუციამ მკვეთრად შესცვალა მდგომარეობა. მან ერთი ხელის მოსმით თავდაყირა დააყენა ყველა ურთიერთობა და დასვა საკითხი მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლისა. ძახილი „მთელი ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს“ გრგვინვასავით მოედო ქვეყანას და ფეხზე დააყენა დაჩაგრული მასები“.[1] ბორჩალოს, დუშეთის, გორის, ლეჩხუმისა და სხვ. მაზრებში გლეხთა დიდმა შეიარაღებულმა აჯანყებებმა იფეთქა. სისტემატურად იფიცებოდნენ ფაბრიკების, ქარხნებისა და მაღაროების მუშები. დღითიდღე იზრდებოდა გავლენა ბოლშევიკური პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას მენშევიკური ძალების წინააღმდეგ. „მუშათა კლასში განწყობილება ბოლშევიკურია, თვით მენშევიკი-მუშები ბოლშევიზმით არიან შეპყრობილი“,[2]— განაცხადა ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე ქართველი მენშევიკების ბელადმა ნ. ჟორდანიამ.

აჯანყებული გლეხებისა და გაფიცული მუშების წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობა უსასტიკეს რეპრესიულ ზომებს მიმართავდა: ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს დახვრიტა მუშები ალექსანდრეს ბაღში, თბილისში, მხეცურად გაუსწორდა ფრონტიდან მომავალ რევოლუციურ ჯარისკაცებს შამხორში, ანადგურებდა რევოლუციურ სოფლებს და სხვ. იგი „ყველგან სასტიკ გამანადგურებელ ომს აწარმოებდა მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით აქრობდა აგიზგიზებულ ხანძარს. ასე რომ ალიხანოვებისა და კრილოვების დროებანი არად მოსჩანდა ჯუღელის, ჯიბლაძისა და კონიევის მოქმედების წინაშე“.[3]

---

[1] ი. სტალინი. „ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით.“

[2] ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“, გვ. 66.

[3] დოკ. 85.

მაგრამ მენშევიკურ მთავრობას მაინც არ ძალუძდა გამკლავებოდა დღითიდღე გაძლიერებულ რევოლუციურ მოძრაობას. „თბილისის საგუბერნიო კომისრის თანამდებობაზე ხუთი თვის მუშაობის შემდეგ,—სწერდა 1918 წლის 18 მაისს თბილისის საგუბერნიო კომისარი შინაგან საქმეთა მინისტრს,—შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ჩემი მდგომარეობა „ჭადრაკულია". მართლაც, მეფის გუბერნატორებს, რომელთაც თავის განკარგულებაში ჰქონდათ ფული, ჰყავდათ მატერიალურად უზრუნველყოფილი თანამშრომლები, პოლიცია, ჩაფრები, ჯარი და ტრანსპორტი, შესაძლებლობა ჰქონდათ შედარებით წარმატებით განეგოთ მათდამი რწმუნებული გუბერნიები. ახლანდელი გუბერნატორები, ე. ი. საგუბერნიო კომისრები ყველა ამ პირობას მოკლებული არიან და უამისოდ სრულიად წარმოუდგენელია ბრძოლა დღითიდღე მზარდ ანარქიასთან".[1]

მენშევიკური მთავრობა, რომელსაც არავითარი დასაყრდენი არ გააჩნდა ქვეყნის შიგნით და რომელიც სრულიად უძლური აღმოჩნდა იმისათვის, რომ რევოლუციური მოძრაობა ჩაეხშო, გარედან ეძებდა დახმარებას. „იერიშმიტანილნი ორის მხრივ: გარედან—საბჭოთა ხელისუფლების მხრივ და შიგნიდან—„თავისივე საკუთარი" მუშებისა და გლეხების მხრივ"... „მთლიანად განადგურებული, „ნაციონალური მთავრობები" „იძულებული" იყვნენ მიემართათ დახმარებისათვის „თავიანთი" მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის, მთელი ქვეყნის წვრილ ეროვნებათა საუკუნეობრივი მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორებისათვის," — სწერდა ი. სტალინი 1918 წელს სტატიაში „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი". „თავისი მუშებისა და გლე-

---

[1] საქ. სსრ შინსახკომთან არსებული ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 11, ს. 273, ფურც. 1.

ხების“ წინააღმდეგ სწორედ ამ დახმარებისათვის მიმართეს ქართველმა მენშევიკებმა გერმანელ იმპერიალისტებს, რომლებთანაც ისინი ჯერ კიდევ 1917 წლიდან აწარმოებდნენ საიდუმლო მოლაპარაკებას რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისგან ამიერკავკასიისა და საქართველოს გამოყოფისა და საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შესახებ გერმანიის „მფარველობის“ ქვეშ. „ბათუმში გამართული მოლაპარაკების დროს,—სწერდა ლუდენდორფი[1],—საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიმართეს გენერალ ფონ-ლოსოვს და სთხოვეს გერმანიის იმპერიის მფარველობა... სამხედრო მოსაზრებებით მე მხოლოდ შემეძლო მივსალმებოდი როგორც ასეთ დამოკიდებულებას, ისე საქართველოს თხოვნას გერმანიის მხრით მფარველობის შესახებ. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა თურქეთისგან დამოუკიდებლად მიგვეღწია კავკასიის ნედლეულამდე და გავლენა მოგვეპოვებინა რკინიგზის ექსპლოატაციაზე, რომელიც თბილისზე გადის“.[2] მართლაც, იმ შეთანხმებაში, რომელიც დაიდო საქართველოს მენშევიკურ მთავრობასა და გერმანიას შორის, საქართველოს რკინიგზები და საქართველოს კუთვნილი ყველა გემი არსებითად გერმანიას გადაეცა; გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ ვალდებულება იკისრა გაეტარებინა კანონი წიაღის მონოპოლიზაციის შესახებ და ეს მონოპოლია გადაეცა საქართველოგერმანიის სამთამადნო საზოგადოებისათვის, რომელსაც მიეცემოდა საქართველოს ტერიტორიაზე წიაღის ექსპლოატაციის საგანგებო უფლება.

ამრიგად „პირდაპირი კავშირი“ დაამყარა რა „გერმანელ იმპერიალისტებთან“,[3] მენშევიკური მთავრობა მოლაპარაკებას

---

[1] გერმანიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი 1916—18 წლებში.

[2] დოკ. 84.

[3] ლენინი, ტ. XXIII, გვ. 155.

აწარმოებდა მათთან იმ პრაქტიკულ ზომებზედაც, რომლებიც მიმართული იყო რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისაკენ საქართველოში და მისი დაცვისაკენ „საფრთხისაგან“ საბჭოთა რუსეთის მხრით. ჯერ კიდევ 1918 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „1. ეცნობოს გერმანიის სამშვიდობო დელეგაციას, გენერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოსთქვამს სურვილს და სთხოვს, რათა გერმანიამ ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს საქართველოს საერთაშორისო და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ საკითხებში...; 2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს შესაძლებელია, საქართველოში დასტოვოს გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაევალოს მათ სამხედრო საქმის ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მიეცეს გამოიყენოს ეს ჯარები შიგნით წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად“.[1]

გერმანიის იმპერიალიზმი კი აზიური კოლონიების ხელში ჩაგდებისა და მთელ მსოფლიოზე ბატონობის დამყარების თავისი ხარბი ლტოლვის გამო, ამიერკავკასიაში, და განსაკუთრებით საქართველოში, ხედავდა ყველაზე ხელსაყრელ გეოგრაფიულ პლაცდარმს, რომელზედაც ფეხის მომაგრება საშუალებას მისცემდა მას მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა თავისი პოზიციები აზიის კონტინენტზე როგორც ინგლისის, ისე რუსეთის წინააღმდეგ. მეორე მხრით, ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი—ბაქოს ნავთი, ჭიათურის მარგანეცი, ქვანახშირი, სპილენძი და ამიერკავკასიის მდიდარი სოფლის მეურნეობა— ყოველთვის გემრიელ ლუკმას წარმოადგენდა გერმანიის მტაცებლური იმპერიალიზმისათვის, რომელიც დიდიხანია ელო-

[1] საქ. სსრ შინსახკომთან არსებული ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 9, ს. 11, ფურც. 67.

ლიავებოდა ოცნებას საქართველოს ხელში ჩაგდებისა და თავის კოლონიად მისი გადაქცევის შესახებ.

პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ამიერკავკასიის მნიშვნელობა მისი უმნიშვნელოვანესი რკინიგზის მაგისტრალით, რომლის ხელში ჩაგდება დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მიანიჭებდა გერმანიას მოკავშირეებზე. „ამ რკინიგზას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომის საწარმოებლად ჩრდილოეთ სპარსეთში, და მის ექსპლოატაციას გერმანიის კონტროლს ქვეშ უფრო მეტი წარმატება ექნებოდა...“[1] — სწერდა ლუდენდორფი.

მხედველობაში იღებდა რა ამიერკავკასიის კოლოსალურ მნიშვნელობას, გერმანიის სადაზვერვო ორგანოებმა როგორც პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებამდე, ისე მის პერიოდში, ფართოდ გააჩაღეს კავკასიაში სადაზვერვო და სადივერსიო მუშაობა, რაც მიზნად ისახავდა არა მარტო წმინდა სამხედრო ხასიათის ცნობების შეკრებას, არამედ იმასაც, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და შოვინისტური ელემენტებისთვის შეექმნა გერმანიის კოლონიური პოლიტიკის სასარგებლო განწყობილება და ჩაეგონებინა მათთვის რუსეთისგან გამოყოფის აუცილებლობის აზრი, აცდუნებდა რა მათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაპირებებით. ამ მიზნით ამიერკავკასიის და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს ავსებდნენ გერმანელებით, რომლებიც „ტურისტების“, სხვადასხვა სავაჭრო ფირმების, „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა“ და სხვ. წარმომადგენლების სახით ძირგამომთხრელ საქმიანობას და ჯაშუშობას ეწეოდნენ. თავის სადივერსიო საქმიანობაში გერმანიის სადაზვერვო ორგანოები ფართოდ სარგებლობდნენ აგ-

---

[1] დოკ. 84.

რეთვე ადგილობრივი გერმანელი მოსახლეობის მომსახურებით. კავკასიაში გერმანელთა ჯაშუშობის გამაერთიანებელ ცენტრს წარმოადგენდა გერმანიის საკონსულო თბილისში გრაფ შულენბურგის მეთაურობით. საკონსულოს თანამშრომლების ჯაშუშური საქმიანობის შესახებ თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი პოლკ. პასტრულინი 1914 წელს 30 დეკემბერს თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ამა წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისში გერმანიის კონსულის შენობაში მომხდარი ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა მასალები, რომლებიც სრული სიცხადით მოწმობენ, რომ საკონსულოს აგენტებს გერმანიის მთავრობის მიერ დაკისრებული ჰქონდათ ჯაშუშური მოვალეობანი; როგორც იმავე მასალებიდან სჩანს, ასეთ მოვალეობას ასრულებდა უკანასკნელი კონსული გრაფი შულენბურგიც".[1]

აი როგორ ახასიათებდნენ ადგილობრივი გაზეთები („გოლოს კავკაზა", „ზაკავკაზსკაია რეჩ", „მშაკ") გერმანიის კონსულის ანდერსის საქმიანობას არზრუმში: „გარდა ოფიციალური მოვალეობისა [ანდერსი] სამეცნიერო ექსკურსიებზე დადიოდა კავკასიაში, ეცნობოდა ადგილობრივ გერმანელებს, აგროვებდა ხოჭოებს, პეპლებს, მცენარეებს, გზადაგზა საინტერესო, უმთავრესად სტრატეგიული ადგილებისა და საინჟინერო ნაგებობათა ფოტოსურათებს იღებდა... იგი აღტაცებაში მოდიოდა, მაგალითად, შაგალის ხიდით ყარსის შტოზე, მაღალ წვრილ ბურჯებზე დაყრდნობილი მისი გაბედული სამი მალით. იგი... დიდხანს უცქერდა მართლაც ლამაზ ხიდს და ფიქრობდა: „დინამიტის პატარა მუხტი, და ერთადერთი სწრაფი კავშირი თურქეთის საზღვართან შეწყვეტილია დიდიხნით". ის ბათუმშიც

---

[1] საქ. სსრ შინსახკომთან არსებული ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი—ცია, ფ. 3, ს. 721, ფურც. 251.

იყო მედუზების განსაკუთრებული მოდგმისა და ბათუმის სიმაგრეების შესასწავლად. მისი პროექტის მიხედვით უნდა აეფეთქებინათ შაგალ-ელიარის რკინიგზის ხიდი, რათა გაეძნელებინათ რუსეთის ჯარებისა და სამხედრო საჭურველის მიწოდება ომის დროს".[1]

ამავე ანდერსს ჰქონდა დავალებული შეიარაღებული აჯანყების მომზადება აჭარასა და აფხაზეთში, რათა ჩამოეცილებინათ ისინი რუსეთისაგან და ხელში ჩაეგდოთ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო.[2]

გერმანიის სადაზვერვო ორგანოები კავშირს ამყარებდნენ ცალკეულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჯგუფებთან საქართველოში და დიდ ძალღონეს ხარჯავდნენ, რათა მომხრეები ეშოვნათ ქართველ თავადებსა, აზნაურებსა და სხვ. ნაძირალებში. ამ ორგანოებმა ჯერ კიდევ 1915 წლიდან გააჩაღეს ფართო პროპაგანდა, რათა მოეტყუებინათ და პროვოკაციულ შეიარაღებულ აჯანყებაში ჩაეთრიათ ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ, ჩამოეცილებინათ საქართველო რუსეთისაგან და თავისი ბატონობა დაემყარებინათ იქ. წარმატების შემთხვევაში გერმანიის მთავრობა „მეფე ერეკლეს დახავსებულ ტახტზე" ასასვლელად ამზადებდა რომელიღაც გერმანელ პრინცს.[3]

1915 წელს სამხრეთის ფრონტზე გერმანელები ჰყრიდნენ პროკლამაციებს „დამოუკიდებელი საქართველოს პარტიის"[4]

---

[1] ცია, ფ. 3, ს. 165, ფურც. 461.

[2] ცია, ფ. 3, ს. 165, ფურც. 462.

[3] გერმანელი სოც.-დემოკრატი დავიდი ერთ-ერთ თავის სიტყვაში 1918 წელს, აკრიტიკებდა რა გერმანიის მთავრობის პოლიტიკას, ამბობდა: „...აკი სურთ გააბედნიერონ საქართველო გერმანელი პრინცით... განზრახულია ხელი მოკიდონ გერმანელი პრინცების ბითუმად გატანას, მაგრამ საეჭვოა, რომ ამით გერმანიის ნაციონალური და პოლიტიკური ვალუტა აიწიოს" („ბორბა", № 117, 1918 წ.).

[4] ცია, ფ. 3, ს. 726, გვ. 141.

ხელმძღვანელი ჯგუფის სახელით და „გარანტიას" პირდებოდნენ გერმანიის მხრით, რომ ვითომდა დაარსებული იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა. მაგრამ ქართველ ხალხს, რომელიც ძველისძველი მეგობრობით იყო დაკავშირებული დიდ რუს ხალხთან, კარგად ესმოდა გერმანელების პროვოკაციული და მატყუარა პროპაგანდის ჭეშმარიტი მიზნები და ყოველთვის დიდ სიძულვილსა და ზიზღს გრძნობდა გერმანელი დამპყრობლებისადმი.

როდესაც გერმანელების ყველა ეს ცდა სრულიად ჩაიშალა, გერმანიის არმიის შტაბმა, რომელიც მზად არის ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს თავისი მტაცებლური მიზნების მისაღწევად, დაიწყო ქართველი სამხედრო ტყვეების ცალკე ბანაკებში თავმოყრა და შეეცადა მოტყუებისა და პროვოკაციის გზით, აგრეთვე არაადამიანური წამებით, გაეხადა ისინი გერმანიის აგენტებად და მსტოვრებად და ჯაშუშებად დაეგზავნა რუსეთის ჯარების ზურგში საქართველოს ტერიტორიაზე, რათა „დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს" შექმნის ნიღაბით პროპაგანდა გაეჩაღებინათ გერმანიის სასარგებლოდ.

„ქართველ სამხედრო ტყვეების გერმანულ ბანაკში ყოფნის დროს,—დაკითხვაზე აჩვენა ერთ-ერთმა ქართველმა სამხედრო ტყვემ, რომელიც ხელიდან დაუძვრა გერმანელ ჯალათებს,— აწყობდნენ საუბრებს პოლიტიკურ თემებზე, რომელთა მიზანი იყო დაეყოლიებინათ ქართველები გამოსულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა მცირეაზიის ასპარეზზე. ამ საუბრებს აწარმოებდნენ პოლიტიკური ემიგრანტები და ვიღაც გერმანელი, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი... ვინაიდან ქართველი სამხედრო ტყვეები ამ საუბრებს მტრულად ხვდებოდნენ, ამიტომ... ქუთაისის გიმნაზიის ყოფილმა მასწავლებელმა რამდენადმე შესცვალა მოქმედების სისტემა — რიგრიგობით იწვევდა ტყვე ქართველებს ბანაკის

ცალკე სადგომში, გამოკითხავდა მათ ნათესაური კავშირის, ხელობის და სხვ. შესახებ და შემდეგ წინადადებას აძლევდა ხელი მოეწერათ რაღაც გერმანული ტექსტით შევსებულ ქაღალდის ფურცელზე, ქაღალდის შინაარსს კი ქართველ სამხედრო ტყვეებს არ უხსნიდნენ, რის გამო მალე ქართველებმა პროტესტი განაცხადეს და უარი სთქვეს ხელმოწერაზე... როდესაც გერმანელმა აგიტატორებმა დაინახეს, რომ ზემოხსენებულ კერძო პირთა პროპაგანდას შედეგი არ მოჰქონდა, სამხედრო ტყვეებთან სიარული დაიწყეს ოფიცრებმა"...[1]

მაგრამ გერმანელები აქაც ანგარიშში მოსტყუვდნენ. ქართველ სამხედრო ტყვე ჯარისკაცებში არ აღმოჩნდა არცერთი მოღალატე, რომელიც დათანხმდებოდა თავისი სამშობლოს მტრებისთვის ემსახურნა.

მეორე ქართველმა ჯარისკაცმა, რომელიც გერმანიის ტყვეობიდან გამოიქცა, დაკითხვაზე აჩვენა:

„...თავდაპირველად ვიმყოფებოდი სამხედრო ტყვეთა ბანაკში შეიდელმიულში... შემდგომ გადამიყვანეს ვენზელში, იქიდან ცოსენში, და, ბოლოს, ზაგენში. უკანასკნელ ადგილას ქართველები ცალკე გამოჰყვეს, დაახლოებით 1500 კაცი, და მათთან დადიოდნენ აგიტატორები, რომლებიც ცდილობდნენ დაეყოლიებინათ ისინი გადასულიყვნენ გერმანელების მხარეზე... და ამრიგად მოეპოვებინათ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. აგიტატორებს მეტად მტრულად შეხვდნენ."[2]

ქართველ სამხედრო ტყვეებს ასეთი საქციელისათვის წამება და შიმშილი მოელოდათ, მაგრამ ისინი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავისი ქვეყნისადმი, გადაჭრით უარს ამბობდნენ თავისი სამშობლოს მტრების მხარეზე გადასვლაზე და გერმანელების სამარცხვინო სამსახურში შესვლაზე.

---

[1] ცია, ფ. 2, ს. 5351, ფურც. 1—2.

[2] ცია, ფ. 2, ს. 5351, ფურც. 4.

მხოლოდ ქართველი მენშევიკების სახით იპოვეს გერმანელმა დამპყრობლებმა თავისი ერთგული აგენტები, რომელთაც შეეძლოთ გერმანული ხიშტის მიმართვა ქართველი ხალხის გულში. მხოლოდ ქართველი მენშევიკების, ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების, ინტერესები ემთხვეოდა გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესებს. ამ ინტერესთა ცენტრში უეჭველად იდგა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაც რუსეთში ქართველი მენშევიკების ხელშეწყობით. „სარგებლობდნენ რა რუსეთის ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ახალი წყობილების სამხედრო სისუსტით, ისინი (გერმანელი იმპერიალისტები.—მ. გ.) კონტრრევოლუციის დასაყრდენ პუნქტებს ჰქმნიდნენ რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა მხარეებში, ცდილობდნენ რა თეთრგვარდიელთა ცენტრების რკალში მოექციათ საბჭოთა რუსეთი და ამ გზით მისი დაღუპვა მოემზადებინათ. თეთრგვარდიელთა ცენტრების ამ მწკრივში, სკოროპადსკისა და კრასნოვის გვერდით, უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობას“,[1]—ნათქვამი იყო საბჭოთა მთავრობის ნოტაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორისადმი. „გერმანია თანაბრად დაინტერესებულია იმაში, რომ ჩაახრჩოს დემოკრატიული ამიერკავკასია—რევოლუციის ეს კერა ახლო აღმოსავლეთის ყველა ხალხისთვის“,[2]—იძულებული იყო აღენიშნა მენშევიკურ გაზეთ „ბორბას“, რომელიც თბილისში გამოდიოდა.

რა თქმა უნდა, მენშევიკური მთავრობის წინადადება, რომ საქართველოში დაეტოვებინათ გერმანიის ჯარი „წესრიგის“ დასამყარებლად და „ანარქიასთან“ საბრძოლველად, გერმანელმა დამპყრობლებმა განსაკუთრებული კმაყოფილებით მიიღეს და დაუყოვნებლივ განახორციელეს. გერმანელების შე-

---

[1] დოკ. 85.
[2] გაზ. „ბორბა“, № 70, 1919 წ.

მდგომი მოქმედება საქართველოში მიმართული იყო ამოსავლეთში გერმანიის გენერალური შტაბის სამხედრო მოქმედებათა საერთო გეგმასთან შეფარდებით. „საქართველოში ჩვენ უნდა გვემოქმედნა ენერგიულად,—სწერს თავის მოგონებებში ლუდენდორფი,—ამას მოითხოვდა ნედლეულით ჩვენი მომარაგების პირობები... ბაქოდან ნავთის მიღება ჩვენ იმ შემთხვევაში შეგვეძლო, თუ მარტო ჩვენს საკუთარ ძალებს დავეყრდნობოდით... პოლკოვნიკ ფონ-კრესს[1] უნდა მოეგვარებინა ექსპლოატაცია ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზისა, სადაც ვაგონცისტერნების დიდი პარკი იყო". [2]

საქართველოში დანიშნული გერმანიის სამხედრო კომისია კაპიტან ფონ-ნიდას მეთაურობით დაუყოვნებლივ შეუდგა საქართველოს ოკუპაციას. გერმანიის საოკუპაციო ჯარებმა, რომელიც შეიქმნა გერმანელ სამხედრო ტყვეებისგან, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მცხოვრებ მობილიზებულ გერმანელებისაგან[3] და აგრეთვე დიდი რაოდენობით ჩამოსულ ნაწილებისაგან, პირველ რიგში ხელში ჩაიგდეს საქართველოს ყველა რკინიგზა, შემდგომ კი შეუდგნენ დიდი ქალაქების, აჯანყებული მაზრებისა და სხვა სტრატეგიული პუნქტების ოკუპაციას. ისინი დამკვიდრდნენ ქ. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სიღნაღში, აღბულაღში, სამტრედიაში, ახალსენაკში, ოჩემჩირეში, ბორჩალოს მაზრაში და სხვ. გერმანიის ჯარების რაოდენობასა და განზრახვაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ მარტო ფოთში მათი რაოდენობა 10.000 კაცს აღემატებოდა, [4] შეიარაღებული იყვნენ ზარ-

---

[1] გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი კავკასიაში, შემდეგში გენერალმაიორი.

[2] დოკ. 84.

[3] დოკ. 28.

[4] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", № 393, 1918 წ.

ბაზნებით, ტყვიამფრქვევებით და სხვ.[1] თბილისიდან გერმანელები ამზადებდნენ ძლიერ ექსპედიციას ნავთიანი ბაქოს ხელში ჩასაგდებად, რა მიზნითაც ივნისში თბილისში დამატებით ჩამოვიდა გერმანიის დიდი სამხედრო ნაწილები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა საავიაციო ქვეგანაყოფები, კავალერიის ბრიგადები და მძიმე არტილერია.[2] მარტოოდენ გერმანელი მფრინავები, შოფერები, რკინიგზელები და სხვა სამხედრო სპეციალისტები თბილისში ითვლებოდა 2.000-ზე მეტი კაცი.[3]

დაიკავეს რა უმნიშვნელოვანესი პუნქტები და მტკიცედ დამკვიდრდნენ რა საქართველოში, ოკუპანტები თანდათან შეუდგნენ თავისი მტაცებლური ზრახვების განხორციელებას—საქართველოს გადაქცევას თავის კოლონიად. მენშევიკურ მთავრობას ისინი სულ უფროდაუფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდნენ და მოითხოვდნენ გერმანელი ოკუპანტებისადმი ამათუიმ დაწესებულების დამორჩილებას, სასწრაფო ზომების მიღებას, რათა გაედიდებინათ ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში და „აელაგმათ გაფიცული მუშები“, ქართული სამხედრო ნაწილები გაეყვანათ იმ ადგილებიდან, სადაც ქართული სამხედრო ძალების ყოლა ოკუპანტებისათვის არასასურველი იყო და სხვ. იქ, სადაც მენშევიკებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ ოკუპანტების მოთხოვნები, გერმანელები თვითნებურად თარეშობდნენ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფოთის ნავსადგურში ოქტომბერში, როცა გერმანელებმა ყადაღა დაადეს საქართველოს კუთვნილ ყველა გემს და თავისი გუშაგები ჩააყენეს ყველა სანავსადგურო დაწესებულებასა და სახაზინო საწყობში.[4] ოკუპანტები სისტემატურად ერეოდნენ მენშევიკური მთავრობის შინაურ საქმეებში, მუქარით თავს ახვევდნენ

[1] იქვე, № 374.
[2] გაზ. „ბორბა“, № 97 და 98, 1918 წ.
[3] დოკ. 28 და 47.
[4] დოკ. 75.

მას თავის ნება-სურვილს. ისინი სრულუფლებიან პატრონებად გრძნობდნენ თავს ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოკუპანტების ხელში უბადრუკი ტიკინების როლს ასრულებდა. მას ისიც კი მოსთხოვეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ გერმანელებს, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ მოსახლეობას და შეურაცხყოფდნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ გრძნობას, ისე მოქცეოდნენ, როგორც ამას გერმანული კანონები მოითხოვდა.[1]

აი რას ნიშნავდა საქართველოს ის „დამოუკიდებლობა", რომელსაც ფეხქვეშ სთელავდნენ იგივე გერმანელი იმპერიალისტები, რომელთაც ასე საზეიმოდ აღიარეს ის საქართველოს საზღვრებში შემოსვლამდე. ლენინი აღნიშნავდა, რომ „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა პირწმინდა მოტყუებად გადაიქცა", რომ „სინამდვილეში ეს არის ოკუპაცია და საქართველოს სრული ხელში ჩაგდება გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ".[2]

გერმანელი ოკუპანტების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ, არ კმაყოფილდებოდნენ რა მენშევიკური მთავრობის სრული დამორჩილებით, მათ მოითხოვეს კეთილი განწყობილება ჰქონოდათ მათთან არა მარტო „ოფიციალურ წრეებს", არამედ ქართველ ხალხსაც, რომელიც გერმანელ ოკუპანტებში ხედავდა დამმონებელთ და მოძალადეებს, რომელნიც მზად არიან ყოველგვარი ღალატისა და გამცემლობისათვის. თვით ქართველი მენშევიკების ოფიციოზი გაზ. „ბორბაც" კი გამოხატავდა მოსახლეობის ასეთ განწყობილებას. გერმანიის დელეგაციასთან საქართველოს მთავრობის მოლაპარაკების დროს გაზეთი სწერდა:

---

[1] დოკ. 34.

[2] ლენინი, ტ. XXIII, გვ. 155.

„სულ უფროდაუფრო მკვეთრად ისახება გერმანიის მისწრაფებანი ამიერ-კავკასიაში: პირველ რიგში მარგანეცი, მეორეში — ნავთი, სპილენძი და ყველაფერი დანარჩენი... საქართველოს მშრომელი მასები წინააღმდეგი არიან დაწყებული მოლაპარაკებისა და ისინიც დასახული საერთაშორისო შეთანხმების ჩასაშლელად საუკეთესო საშუალებას პოულობენ — ეს არის სამოქალაქო ომის ხანძრის დანთება საქართველოში".[1]

„გერმანელები არასდროს არ გვქონდა ჩვენ წარმოდგენილი „ჰუმანურობისა და კულტურის" დამცველებად და ამიერ-კავკასიისათვის კარგს არაფერს არ უნდა მოველოდეთ მათგან",[2] და შემდეგ: „იმის იმედი, რომ გერმანელები შეასრულებენ ამათუიმ მათ მიერვე ხელმოწერილ შეთანხმებებს, ყოველ შემთხვევაში გულუბრყვილობა იქნებოდა. დღევანდელი ომის ისტორია და კერძოდ უკრაინისა და დონის ოლქის ოკუპაცია გერმანელების მიერ გვიჩვენებს, რომ გერმანელები... ადვილად არღვევენ ყველა დადებულ შეთანხმებას და გადადიან „სადემარკაციო ხაზს".[3]

საქართველოში გერმანიის საოკუპაციო ჯარების შემოსვლით რომ მოსახლეობა უკმაყოფილო იყო, ეს შეიძლება იმითაც დავასკვნათ, რომ მოსახლეობის დასამშვიდებლად მთავრობა იძულებული იყო გამოეცხადებინა ყველა გაზეთში გერმანიის ჯარების ჩამოსვლის მიზნების შესახებ და ასეთი შინაარსის პროკლამაციებიც გამოეშვა: „საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ თბილისში ჩამოსული გერმანიის ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ [და] ამოცანად ისახავენ საქართველოს მთავრობის სრული თანხმობითა და

---

[1] გაზ. „ბორბა", № 105, 1918 წ.

[2] იქვე, № 71.

[3] იქვე, № 102.

მითითებებით დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები. ამ ჯარების ნაწილი უკვე გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში მის გასაწმენდად ავაზაკთა ბანდებისაგან".[1] „ქალაქში დადიან გერმანელი სალდათები,—დეპეშით აცნობებდა სიღნაღის სამაზრო კომისარი შინაგან საქმეთა მინისტრს,—საზოგადოებრივ აზრის დასამშვიდებლად და რაიმე პროვოკაციის ნიადაგის მოსასპობად, გთხოვთ შემატყობინოთ რად არიან მოსულნი".[2]

ქართველი ხალხის მტრული დამოკიდებულება გერმანელი ოკუპანტებისადმი არ გამოპარვიათ უკანასკნელებსაც. „ფონ-კრესმა, შეეხო რა საქართველოში გერმანიის ჯარების ყოფნის საკითხს,—ნათქვამი იყო მოკლე საგაზეთო ანგარიშში გერმანიის დელეგაციის საუბრის შესახებ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიასთან,—სთქვა, რომ, როგორც მას ესმის, ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში".[3] „გერმანია დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, რომ არა მარტო ოფიციალური წრეები, არამედ მთელი ხალხიც განიმსჭვალოს მეგობრობის გრძნობით გერმანელებისადმი",[4]—ულტიმატურად აყენებდა საკითხს ფონ-კრესი საქართველოს მთავრობის წინაშე. მენშევიკური მთავრობა კი ყოველგვარად ცდილობდა ეამებინა გერმანელი იმპერიალისტებისთვის, რათა მაქსიმალური დახმარება მიეღო მათგან რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ის მუცლით ხოხავდა გერმანელი იმპერიალისტების წინაშე და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი თავის ერთგულებასა და კაიზერის გერმანიისადმი თავდადებაში.

---

[1] დოკ. 29. „ავაზაკთა ბანდებად" აქ იგულისხმებიან აჯანყებული გლეხები.

[2] დოკ. 66.

[3] დოკ. 22.

[4] დოკ. 23.

„ჩემს მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ,—სწერდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი სამხედრო მინისტრი გიორგაძე გერმანიის სამხედრო კომისიას,— რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სავსებით მზად არის ზუსტად შეასრულოს თავის-თავზე მიღებული ვალდებულებანი..."[1]. „ჩემს მიერ გზათა მინისტრს მიეცა სათანადო განკარგულებანი თქვენს მიერ აღძრული საკითხების არსებით მხარეებზე",[2] —სწერდა 18 ივნისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი რამიშვილი გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს. „გთხოვთ მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება ხელისუფალთა მიმართ, რათა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ გერმანიის ჯარების მოთავსებას კერძო სახლებში"[3], —დეპეშით აცნობებდა 12 სექტემბერს სამხედრო-საბინაო სექციის უფროსი თბილისის საგუბერნიო კომისარს. გერმანიის ბევრი სამხედრო ნაწილი ტანსაცმელითა და სურსათ-სანოვაგით ქართული ჯარების საინტენდანტოდან მარაგდებოდნენ. ჟორდანიას და რამიშვილის მთავრობა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში საზეიმო შეხვედრებსა და საღამოებს უწყობდა გერმანელ ოკუპანტებს. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი გ. ნ. ნიკოლაძე, გერმანელ მძარცველთა ზეგავლენით, კრებდა მათთვის „სტატისტიკურ ცნობებს იმ საქონელთა შესახებ, რომელთა გატანა შეიძლება საქართველოდან გერმანიაში".[4] მასთან ოკუპანტებმა გერმანიაში გასატანად პირველ რიგში დასახეს თამბაქო, სპილენძი, მარგანეცი, ღვინო, კაკალი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხე-ტყე და საერთოდ ყველაფერი ის, რის მიცემაც შეეძლო

[1] დოკ. 12
[2] დოკ. 16.
[3] დოკ. 58.
[4] დოკ. 35.

მენშევიკური საქართველოს უხვ ბუნებას და ღატაკურ მეურნეობას. ყოველდღე ფოთის ნავსადგურიდან გერმანიაში იგზავნებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციითა და ნედლეულით დატვირთული გემები, მაშინ, როდესაც თვით საქართველოს მოსახლეობა მწვავედ განიცდიდა ყველაფერ ამის საჭიროებას. მენშევიკები კი დამშეულ და გაღატაკებულ მოსახლეობას ამშვიდებდნენ იმის დაპირებით, რომ საქართველოში გერმანიიდან შემოიტანდნენ მრეწველობის პროდუქციას: ჩითს, მაუდს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს და პურსაც კი. მაგრამ გაზ. „ბორბას" კორესპონდენტთან საუბარში გერმანიის დელეგაციის სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელმა დოქტორმა ცუგმაიერმა, შეეხო რა გერმანიიდან საქართველოში მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის შემოტანას, განაცხადა, რომ „გერმანია თვითონ განიცდის მაუდისა და ბამბის ქსოვილების ნაკლებობას და ამიტომ ასეთების გაზიდვა მას არ შეუძლია. ჯერჯერობით გერმანიაში შეკვეთილია ქიმიურად საგანგებოდ დამუშავებული ქაღალდი, რომელიც ამჟამად გერმანიაში იხმარება ქსოვილების ნაცვლად. არის აგრეთვე შეკვეთა ფოლადის წვრილმან ნაწარმებზე, როგორიცაა ჯიბის დანა და სხვ".[1] ხოლო რაც შეეხება პურს, მთელი მოსავალი ადგილობრივ მცხოვრებ გერმანელების დახმარებით, ოკუპანტებმა რეკვიზიციის წესით ჩამოართვეს გლეხებს და გაგზავნეს დამშეულ გერმანიაში. მაგრამ ოკუპანტები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ; ისინი უზომო ფულად კონტრიბუციას ადებდნენ მოსახლეობას, მასთან როგორც მოსავლის რეკვიზიციას, ისე ფულადი კონტრიბუციის აკრეფას თან ახლდა წარმოუდგენელი სიმხეცე და ბარბაროსობა ოკუპანტების მხრით. ასე, მაგალითად, 8 აგვისტოს გერმანელებმა კოსალარის გლეხებს წაართვეს 2600 ძნა

[1] დოკ. 47.

პური,[1] იმავე დროს გერმანიის ჯარის მეორე რაზმმა, გერმანელი ოფიცრის მეთაურობით, ადგილობრივ გერმანელებთან ერთად „რეკვიზიცია გაუკეთა საზოგადოების 65 ფუთ ხორბალს" და საზოგადოებას მოსთხოვა ჯარიმის სახით გადაეხადა 10.000 მანეთი. 13 აგვისტოს სოფ. სარვანში (ბორჩალო) მისულმა გერმანელთა რაზმმა მოსახლეობას მოსთხოვა 3 საათის განმავლობაში გადაეხადა 150.000 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სოფლის გადაწვით დაემუქრა. „გერმანელები განაგრძობენ სოფლების დაბეგვრას ფულით, რაც აღშფოთებას იწვევს", — სწერდა 7 აგვისტოს შულავერიდან სამაზრო კომისარი საგუბერნიო კომისარს და სთხოვდა დახმარებას გერმანელების ძალადობის წინააღმდეგ. გერმანელებმა 35.000 მანეთის კონტრიბუცია დაადეს აგრეთვე სოფ. მუხრახს, განაიარაღეს რაიონის კომისარი, რომელიც მუხრანის მოსახლეობის თხოვნით მოვიდა საკითხის გამოსარკვევად.[2] საოკუპაციო ჯარების მხრით შეუბრალებელმა ძარცვა-გლეჯამ, ქურდობამ და ძალადობამ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სრულიად წარმოუდგენელი ხასიათი მიიღო: საოკუპაციო ჯარების მიერ მარტო დუშეთის მაზრის ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოებაში ნაძარცვი, მოტაცებული და მოპარული ქონების ღირებულება დაკლებული შეფასებით უდრიდა 38.425 მან. და 50 კაპ., გარდა კონტრიბუციების სახით აკრეფილი ჯარიმებისა.

გერმანელების ძალადობამ მშვიდობიან მოსახლეობაზე, ბუნებრივია, გლეხების აღშფოთება გამოიწვია, ხოლო ოკუპანტების ჩარევამ ადგილობრივ ხელისუფალთა ფუნქციებში გამოიწვია ამ უკანასკნელთა პროტესტი. გერმანელები სასტიკად უს-

---

[1] დოკ. 41.

[2] დოკ. 40, 42, 44 და 48.

წორდებოდნენ გლეხებს და არც ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებს ერიდებოდნენ. ასე, მაგალითად, ხორბლის რეკვიზიციის დროს გერმანელებმა მხეცურად მოკლეს სამშვილდის სოფლის კომისარი ოსიპოვი, სცემეს მის ცოლს, ხოლო მცირეწლოვანი მათი შვილი მოკლეს ამ სოფლის დაბომბვის დროს.

გერმანელი ოკუპანტები განსაკუთრებით დიდ თვითნებობასა და მხეცობას იჩენდნენ გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩაქრობისას და საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროებაში. იმოწმებოდნენ რა „კონტაქტს საქართველოს მთავრობასთან" და იცოდნენ რა უკანასკნელის დამოკიდებულება გლეხებისადმი, გერმანელები თვითნებურად ახდენდნენ მოსახლეობის განიარაღებას, „იჭრებოდნენ სახლებში, ახდენდნენ ჩხრეკას", სცემდნენ გლეხებს, ერეოდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა ფუნქციებში, აიძულებდნენ მათ აესრულებინათ ესა თუ ის მოთხოვნები, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში აშინებდნენ ანდა კიდევაც კლავდნენ ამ ხელისუფალთა წარმომადგენლებს, კონფისკაციას უშვებოდნენ მოსავალს, ფულად კონტრიბუციასადებდნენ მოსახლეობას და აპატიმრებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

გერმანელი ოკუპანტები დასაყრდენს პოულობდნენ ადგილობრივ მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებში, რომლებიც ყოველნაირად ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მოსულ გერმანელ ჯარებთან ერთად აწყობდნენ რევოლუციური სოფლების დარბევებს. ოკუპანტები დამსჯელ რაზმებში იყვანდნენ მათ აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

10 ივლისს გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც „თოფებითა და ტყვიამფრქვევებით" შეიარაღებული ჯარისკაცებით მოვიდა სოფ. კოდში გლეხთა რევოლუციური გამოსვლის ჩასაქრობად, უკანასკნელებს მოსთხოვა იარაღის დაუყოვნებლივ ჩაბარება

და თან დაემუქრა, რომ თუ „ვინმე არ მოიტანს და არ ჩაგვაბარებს იარაღს, მთელ სოფელს დავანგრევთო“. მოსახლეობის განიარაღების შემდეგ კი „ჯარისკაცები შეუდგნენ სახლების ჩხრეკას და ყველაფერი წაიღეს, რაც ხელში მოხვდათ, სახელდობრ: ხანჯლები, დანები. ხანჯლები უმთავრესად ვერცხლით იყო მოჭედილი“.[1]

14 ივლისს გერმანელმა რაზმებმა დაიწყეს ალბულაღის რაიონის რევოლუციური გლეხობის განიარაღება, მასთან „განიარაღების დროს გლეხების მიმართ უსასტიკეს რეპრესიულ ზომებს იღებდნენ: წკეპლავდნენ ქალებს და მამაკაცებს ისე, რომ სისხლს აღენდნენ... იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას“. მასთან გერმანელები სრულებით ანგარიშს არ უწევდნენ ადმინისტრაციას და აცხადებდნენ, რომ „ისინი თვითონაც კარგად დაამყარებენ... წესრიგს“. „თვით მე ვიყავი მოწამე იმისა,—აცნობებს საგარეჯოს რაიონის კომისარი თბილისის სამაზრო კომისარს,—თუ როგორ სცემდნენ გერმანელები იარაღის დამალვისათვის გლეხებს იქამდის, რომ ისინი უგრძნობლად ეცემოდნენ მიწაზე. მე შემატყობინეს, რომ იყო შემთხვევები, როცა ნაცემი გლეხები ვერ უძლებდნენ ასეთ წამებას და კვდებოდნენ“.[2]

აგვისტოში დასავლეთ საქართველოში, ფოთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდისა და ანაკლიის რაიონებში ადგილი ჰქონდა მენშევიკების რეჟიმით სილატაკემდე და სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხების მასობრივ აჯანყებას. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გენ. ფონ-კრესმა, როცა ამის შესახებ გაიგო, დაუყოვნებლივ შესთავაზა თავისი დახმარება მენშევიკურ მთავრობას ამ აჯანყების ჩაქრობის საქმეში. „ჩემს მიერ მიღებული ცნობების მიხედვით,—სწერდა გენ. ფონ-კრესი საქართველოს

---

[1] დოკ. 27.
[2] დოკ. 30.

საგარეო საქმეთა მინისტრს,—ფოთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდის, ანაკლიის რაიონებში ჯერ კიდევ იმყოფებიან ავაზაკებისა და ბოლშევიკების დიდი ბანდები, რომლებიც განუწყვეტლივ აფერხებენ და ხელს უშლიან მიმოსვლასა და კავშირს. ასე, მაგალითად, ხიდების დანგრევის გამო მე შესაძლებლობა არ მქონდა გენ. მაზნიევისთვის[1] გამეგზავნა ორი ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც მე მას შევპირდი... თუ საქართველოს მთავრობას ეს (sic!) სურს, მე მზად ვარ ამ რაიონების მოსაჩხრეკად გავგზავნო საქართველოს მთავარსარდლის განკარგულებაში [გერმანიის] ჯარები, რომლებიც იმყოფებიან ფოთში, ახალ-სენაკსა და ოჩემჩირეში".[2]

როცა გერმანელი ოკუპანტები რევოლუციურ მოძრაობას ახშობდნენ საქართველოში, ისინი სრულიადაც არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ განემტკიცებინათ ქართველი მენშევიკების ხელისუფლება, — პირიქით, ისინი ქართველ მენშევიკებს იყენებდნენ თავის აგენტებად და დამხმარეებად საქართველოში თავისი განუყოფელი ბატონობის განმტკიცებისათვის. ამ სამარცხვინო მისიის შესრულების შემდეგ კი ქართველი მენშევიკები ზედმეტი ბალასტი აღმოჩნდნენ თავისი გერმანელი პატრონებისათვის, თუმცა უკანასკნელებმა ტაქტიკური მოსაზრებებით ღირსეულად შეაფასეს ჟორდანიას და მისი ხროვის ეს როლი და გერმანიის რეიხსკანცლერს წარუდგინეს ისინი კაიზერის ორდენების მისაღებად. გერმანელმა ოკუპანტებმა ფართო პროპაგანდა გააჩაღეს თავის პრესაში იმის შესახებ, რომ მენშევიკური მთავრობა უძლურია თავისი ძალებით დაამყაროს ქვეყანაში „მტკიცე წესრიგი" და რომ „ქართველ ხალხს სასწრაფო დახ-

---

[1] მენშევიკური მთავრობის დავალებით გენ. მაზნიევი ამ დროს გლეხთა აჯანყების ჩაქრობით იყო გართული.

[2] დოკ. 51.

მარება უნდა აღმოუჩინოს „შეუბრალებელმა ძლიერმა ხელმა“.[1]

ოკუპანტები მკაცრ უკმაყოფილებასაც კი გამოსთქვამდნენ მენშევიკური მთავრობის მიწის დეკრეტის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო იმ მიზნით, რომ თუნდაც დროებით დაემშვიდებინა ყველგან აჯანყებული გლეხები; ეს დეკრეტი არსებითად მთლიანად და სავსებით გამოდიოდა ქართველ მიწათმფლობელთა ინტერესებიდან უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის საზიანოდ. გერმანული გაზეთი „Kaukasische Post“, რომელიც თბილისში გამოდიოდა, მოსთქვამდა იმის შესახებ, რომ „ექსპროპრიაციის ან ძალდატანებით საკუთრების მოსპობის შესახებ დეკრეტი მხოლოდ რამდენიმე თვეა რაც გამოქვეყნდა და მან უკვე საქართველოს ტერიტორიაზე დიდი გამანადგურებელი შედეგი გამოიწვია. როდესაც თავის დროზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ თავის სოციალისტურ წევრთა ზეგავლენით დაადგინა, რომ ყველა არა გლეხი, დიდი მესაკუთრე თავის მამა-პაპურ კერას ჩამოცილებოდა და მათ მათივე საკუთარი ქონებიდან სამოწყალოდ 7 დესიატინა მიცემოდა, მაშინ მთავრობა ამას ხსნიდა მით, რომ მას უნდოდა ამ გზით გლეხების გაბედნიერება. იმ წოდებას, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართული კულტურა შეინახა და დაიცვა, სოციალ-დემოკრატების წყალობით წაერთვა სოფლის მამული და ერთი კალმის მოსმით საქართველოს მოქალაქენი ათასობით პროლეტარებად იქცნენ. მაგრამ ამ კანონის შემქმნელთ დაავიწყდათ, რომ ძალდატანებით და ასეთი სიჩქარით გატარებულ საკუთრების უფლების შეცვლას თან მოსდევს სამეურნეობრივი კრიზისი და სამეურნეო კულტურის დაშლა“. „ჩამორთმეულ იქნა კერძო

---

[1] გაზ. „ბორბა“, № 111, 1918 წ.

საკუთრება, რასაც არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში ადგილი არა აქვს". „ამიტომ საქართველოს მთავრობა კარგს იზამდა, რომ მას აღედგინა სოფლის მესაკუთრეთა და გლეხთა შორის მშვიდობიანობა იმ აზრით, რომელსაც მოითხოვს კაცობრიობა და კულტურული სამართლიანობა".[1]

გერმანელი ოკუპანტები სერიოზულად ფიქრობდნენ საქართველოში მათი მიმპატიჟებელი მენშევიკური მთავრობის შეცვლაზე და მონარქიული წყობილების აღდგენაზე, ეყრდნობოდნენ რა რევოლუციისაგან დაზარალებულ ქართველ თავადებსა და მემამულეებს, რომლებიც გერმანელ ოკუპანტებში ხედავდნენ თავის მფარველებსა და დამცველებს რევოლუციური გლეხობისაგან და, ბუნებრივია, მოხარული იყვნენ მათი მოსვლისა. „საქართველოს კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა თავი წამოყვეს... ისინი უკვე ალაპარაკდნენ საქართველოში მონარქიის აღდგენაზე",[2]—სწერდა გაზ. „ბორბა". ამ მოვლენის მიზეზს გაზეთი იმაში ხედავდა, რომ „საქართველოს ფარგლებში გამოჩნდა ახალი ძალა—გერმანიის ჯარები. ამ ძალას ქართველი კონტრრევოლუციონერები თავიანთ მოკავშირედ სცნობენ. ისინი არ მალავენ ამ თავიანთ ანგარიშებს. ისინი აშკარად, მთელი ხალხის წინაშე ცდილობენ აღძრან გერმანია საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ჩასარევად და წარმართონ გერმანიის ჯარები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ".[3]

თავის მხრით, გერმანელი ოკუპანტები ქართველ თავადებსა და მემამულეებს საკმაოდ მტკიცე სოციალურ დასაყრდენად სთვლიდნენ საქართველოში თავისი ბატონობის განმტკიცების საქმეში, ამიტომ იცავდნენ ისინი ასე თავგამოდებით მათ კლასობრივ ინტერესებს.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 35, 1918 წ.

[2] დოკ. 18.

[3] იქვე.

დაამყარეს რა ამ ნიადაგზე კონტაქტი და მეგობრობა ურთიერთს შორის, ქართველი მემამულეები და გერმანელი ოკუპანტები, უკანასკნელთა საქართველოში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში, მოქმედებდნენ ერთად და შეთანხმებულად: გერმანელები, ეხმარებოდნენ რა ქართველ მემამულეებს „თავიანთი“ გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაში, იყენებდნენ მათ, როგორც თავის პოლიტიკურ აგენტებს, ხოლო ქართველი მემამულეები, თავის მხრით, სარგებლობდნენ გერმანელების დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. „ზოგიერთი მემამულე გერმანელების მეშვეობით თავის სასარგებლოდ ახდევინებს საიჯარო გადასახადს“,[1]—დეპეშით აცნობებდა ბორჩალოს სამაზრო საადგილმამულო სამმართველოს თავმჯდომარე მიწათმოქმედების მინისტრს. „რუსთა ეროვნულმა საბჭომ მიწათმოქმედების მინისტრს აცნობა, რომ სოფელ ვორონცოვკაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოახდინეს მიწის სულადური დაყოფა“, — იტყობინებოდა გაზეთი „ბორბა“. მემამულეებმა და გლეხთა კულაკურმა ნაწილმა, ამ ამბებით უკმაყოფილოებმა, დახმარებისთვის მიმართეს ვორონცოვკაში მდგომ გერმანელთა რაზმს; „რაზმის უფროსმა ტყვიამფრქვევებით დახვრეტის მუქარით, გარეკა მცხოვრებნი და შესწყვიტა შემდგომი გაყოფა“.[2]

გერმანიის დელეგაციის უფროსს ფონ-კრესს ყოველდღიურად მოსდიოდა მრავალი განცხადება ქართველი მემამულეებისაგან მათი მამულების დაცვის, გლეხების მიერ მათ მიერ დამუშავებული მიწების მითვისებული მოსავლის დაბრუნების შესახებ, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საკუთრების დაცვის შესახებ და სხვ. გერმანიის დელეგაცია თავის მხრით წი-

---

[1] დოკ. 46.

[2] დოკ. 82.

ნადადებას აძლევდა საქართველოს მთავრობას დაეცვა „დაზარალებულ მემამულეებისა“ და თავადების ინტერესები, რასაც ჟორდანიას და რამიშვილის მთავრობა განსაკუთრებული გულმოდგინებით ასრულებდა.

გერმანელი ოკუპანტები არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოს დამონებით, ისინი ცდილობდნენ თავისი ძალაუფლება გაევრცელებინათ მთელ ამიერკავკასიაზე. მაგრამ ოკუპანტები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში: გმირი ქართველი ხალხი ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით იარაღით ხელში იბრძოდა თავის მჩაგვრელების — გერმანელი ოკუპანტებისა და ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ. ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად, აგრეთვე იმის გამო, რომ გერმანიაში იფეთქა რევოლუციამ, რაც გამოიწვია გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხებამ პირველ იმპერიალისტურ ომში, ოკუპანტები იძულებული გახდნენ გასცლოდნენ საქართველოს, დასტოვეს რა ძარცვისა და ძალადობის სისხლიანი კვალი.

საქართველოს მშრომელებმა, **ლენინ-სტალინის** უძლეველი დროშის ქვეშ დარაზმულმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით 21 წლის წინათ სამუდამოდ დაამხეს მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების — ქართველი მენშევიკების, მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება და დაამყარეს თავის ქვეყანაში სოციალისტური წყობილება, რომელმაც ქართველი ხალხისთვის უზრუნველჰყო თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

საქართველო გახდა ერთ-ერთი მოწინავე სოციალისტური რესპუბლიკა სსრ კავშირის ძმურ ხალხთა დიად ოჯახში, და მათთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, რომელთაც ისევ სურთ თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს

მონობის სამარცხვინო უღელი დაადგან კისერზე და გაანადგურონ ის. მაგრამ როგორც 1918 წელს ჩაიშალა ქართველი ხალხის დამონების კაიზერის გერმანიის გეგმები, ისევე სამარცხვინოდ ჩაიშლება ჰიტლერის გერმანიის გეგმები: ჩვენი გმირი წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი **სტალინის** წინამძღოლობით, შემმუსვრელ ლახვარს ჩასცემენ ჰიტლერიზმს და სამუდამოდ იხსნიან კაცობრიობას ფაშისტური მონობის საშიშროებისაგან.

**მ. მ. ბაბრიჩიძე**

# არქეოგრაფიული შესავალი

ქვემოთ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები ამოღებულია ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური არქივის შემდეგი ფონდებიდან: 1) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა—ფონდი 24, 2) საქართველოს ეროვნული საბჭოსი—ფონდი 9, 3) საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსი—ფონდი 13, 4) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსი—ფონდი 11, 5) თბილისის საგუბერნიო კომისარიატისა—ფონდი 23, 6) გზათა სამინისტროსი—ფონდი 17, და 7) რუსთა ეროვნული საბჭოსი—ფონდი 4. აღნიშნული ფონდების დოკუმენტებთან ერთად წინამდებარე გამოცემაში შეტანილია რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც თავისდროზე გამოქვეყნებული იყო „კრებულში დოკუმენტებისა და მასალებისა ამიერკავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დარგში" (თბილისი, 1919 წ.), რომელთა დედნები საქართველოს სსრ არქივ-საცავებში ამჟამად არ აღმოჩნდა. შეტანილია აგრეთვე გაზეთ „ერთობიდან", „ბორბიდან", „სოციალ-დემოკრატიდან" ამოღებული ციტატები და სტატიები და ერთი სტატია გაზეთ „პრავდიდან". აქ გამოქვეყნებული დოკუმენტები მოიცავენ უმთავრესად 1918 წლის 19 მაისიდან 5 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს, ე. ი. გერმანელი ოკუპანტების საქართველოში ყოფნის თითქმის მთელ პერიოდს. შინაარსის მხრით ეს დოკუმენტები არ იძლევიან იმ უმსგავსოებათა და თვითნებობის სრულ სურათს, რომელთაც გერმანიის ჯარები სჩადიოდნენ საქართველოში აღნიშნულ პერიოდში; ეს დოკუმენტები აშუქებენ მხოლოდ ცალკეულ მომენტებს (და ისიც არა ყოველთვის ამომწურავად), რაც, ერთი მხრით, იხსნება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ფონდების უქონლობით, ხოლო მეორე მხრით, იმ გარემოებით, რომ სამოქალაქო ომის პერიოდის საარქივო მასალებმა (ე. ი. მენშევიკური დიქტატურის პერიოდისა) საქართველოში ჩვენამდე მოაღწია არასრული სახით. გარდა ამისა მთელი რიგ შემთხვევებში დაცულია მხოლოდ ასლები და შავები, დოკუმენტები შედგენილია ცუდ ქაღალდზე, დაწერილია ცუდი მელნით ანდა ფანქრით და ა. შ.

იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც დაცულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ფონდებში და ეხება გერმანელი ოკუპანტების ყოფნას საქართველოში, წინამდებარე კრებულში ჩვენ ვაქვეყნებთ მხოლოდ ნაწილს,—იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება ყველაზე არსებით საკითხებს.

აქ გამოქვეყნებული დოკუმენტები დალაგებულია ქრონოლოგიური წესით, მასთან დოკუმენტების თარიღების დადგენა ხდებოდა მათი შედგენის დროის მიხედვით (და არა დაწესებულებაში შემოსვლის მიხედვით) ახალი სტილით.

დოკუმენტები (გარდა №№ 38, 52, 55, 56, 62, 66, 70, 74, 76 და 83) გადათარგმნილია რუსულიდან ქართულ ენაზე და მოყვანილია სრულიად უცვლელად, შენარჩუნებულია ტექსტის ყველა არსებითი თავისებურებანი და სისრულე.

ჩვენს მიერ შედგენილი სათაურები მოცემულია ანოტაციით და შეიცავს: თარიღს, საკანცელარიო სახის (ტიპის) დოკუმენტს, დოკუმენტის საკანცელარიო (გასულის) ნომერს, ადრესატს, ადრესანტს და მოკლე შინაარსს. გარდა ამისა აღნიშნულია შიფრი, მიღებული ოქტ. რევ. ცენტრ. არქივში (ფონდის, საქმისა და ფურცლის ნომერი), რომლიდანაც დოკუმენტია მოყვანილი, რეზოლუციისა და მნიშვნელოვანი კანცელარული აღნიშვნების ტექსტი. ფონდების სახელწოდება, საქმეების და ფურცლების ნომრები მოყვანილია შემოკლებულად: ფ. = ფონდი, ს. = საქმე, ფურც. = ფურცელი.

# დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი
# დ ა
# მ ა ს ა ლ ე ბ ი

## 1. 1918 წ. მაისის 10. საქართველოში გერმანელების სადაზვერვო და ჯაშუშური საქმიანობის საიდუმლო ცნობებიდან

„ამიერ-კავკასიაში საიდუმლოდ მომუშავე გერმანელი ჯაშუშები ამჟამად აშკარად მუშაობენ. ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალებამდე მათი უმეტესი ნაწილი აღმოჩენილი და გადასახლებული ან დაპატიმრებული იყო. მათ წინააღმდეგ აღძრული გამოძიება უშედეგოდ დამთავრდა. ახლა კი მათ გერმანიიდან სხვადასხვა დანიშვნები მიიღეს, ასე, მაგალითად: გერმან მაისს მინდობილი აქვს მოლაპარაკება აწარმოოს შპალებისა და ბამბის შესასყიდათ, ევგენი პფიცენმაიერს — გამოარკვიოს ყველა ის ზარალი, რაც გერმანელებს მოუვიდათ ამიერკავკასიაში მიმდინარე კამპანიის დროს. ლეისტი ბათუმში წავიდა. გარდა ამისა ეს პირნი ასრულებენ გერმანელების ყველა საიდუმლო დავალებებს როგორც სამხედრო, ისე კომერციული ხასიათის ჯაშუშობის ცნობების შეკრების დარგში. უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით ბევრნი გერმანელების სამსახურში დადგა აგენტებად. ეს პირნი მხოლოდდამხოლოდ მატერიალურ სარფას ეძებენ და მხოლოდ იმას ემსახურებიან, ვინც მეტს მისცემს. სასტუმრო „ნოეს“ 106-ე ნომერში მცხოვრები ვინმე...[1] გერმანელი ჯაშუშია. ის გერმანელებს აწვდის ცნობებს თბილისში არსებული ბამბის, მატყლის, სპილენძის, კალისა და შაქრის მარაგის შესახებ. გარდა ამისა დადგენილია, რომ ის ასეთსავე ცნობებს კრებს ელისავეტპოლის გუ-

[1] დოკუმენტში გამოტოვებულია.

ბერნიაში. ობერ-ლეიტენანტ კაიზერის მოადგილე ლეიტენანტი კობლეცი ხშირად ეწყობა სამოქალაქო ტანსაცმელში და თვითონ კრებს მისთვის საინტერესო ცნობებს.

რამდენიმე დღის წინათ ის მივიდა საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ტყავის განყოფილებაში, წარუდგინა მის უფროსს პრაპორშჩიკ როჟნოვს ქაღალდი ბათუმში მყოფ სამშვიდობო დელეგაციის ზოგიერთი წევრის ხელმოწერით და დაუწყო გამოკითხვა სხვადასხვა ტყავის არსებული მარაგის შესახებ. კობლეცი ჩინებულად ლაპარაკობს ფრანგულად, რუსულად კი ცუდად, მაგრამ მისი გაგება შეიძლება.

ადგილობრივი ჯაშუშური გერმანული წრიდან გავიგეთ, რომ გერმანიის ჯარები აპირებენ რკინიგზის ბათუმ—ბაქოს ოკუპაციას... შემდეგ... გერმანელები მოახდენენ ყველა ზედმეტი პროდუქტის, მასალებისა და საქონლის რეკვიზიციას, რომელთა შესახებ მათ დაწვრილებითი ცნობები აქვთ. არის ცნობები, რომ ამიერ-კავკასიაში... გერმანელები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან შეადგენენ არმიას, მაგრამ რა პირობებში—ამის გაგება ჯერჯერობით არ მოხერხდა“.

ფ. 9, ს. 193, ფურც. 6

## 2. 1918 წ. მაისის 20. საიდუმლო ცნობებიდან გერმანელების განზრახვის შესახებ ხელში ჩაიგდონ საქართველოს მთელი სასურსათო მარაგი და ნედლეული.

„მალე თბილისში ჩამოვა გერმანიის ჯარები, და მაშინ გერმანელები დაიწყებენ სხვადასხვა პროდუქტის და საქონლის, მათ შორის შაქრის, ჩაის, ტყავის, სანთლის და სხვ. რეკვიზიცია ვითომდა ადგილობრივი საჭიროებისათვის და არა გასატანად, როგორც ბამბა, მატყლი, სპილენძი და კალა[1]. მაგრამ რაკი

---

[1] ასეა დოკუმენტში.

საქონელი გერმანელებს ჩაუვარდება ხელში, ძნელი არ არის მისი ბედის მიხვედრა: უმეტესი ნაწილი განიკუთვნება გერმანიის ჯარებისთვის, შემდეგ გერმანელი კოლონისტებისთვის და... ნაშთი დანარჩენი მოსახლეობისათვის. რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის გაკეთება დიდიხანია შეეძლო ადგილობრივ ადმინისტრაციას, შეეძლო გადაერჩინა პროდუქტები გერმანელებისაგან, მაგრამ, როგორც სჩანს, მას არა ჰყავს გამოცდილი, პატიოსანი და საქმიანი ადამიანები.

მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთ შეუძლიათ მოახდინონ შაქრის, ჩაის, ტყავის, სანთლების, სპილენძისა და ავტომობილის საფრების უდიდესი საწყობების რეკვიზიცია, ვინაიდან ეს საქონელი საეჭვო წარმოშობისაა, ე. ი. უბრალოდ თუ ვიტყვით, უმთავრესად ნაპარევია.

ამ საქონლის რეკვიზიციის დროს არ უნდა ვეძიოთ თუ რა წარმოშობისაა იგი,[1] ვინაიდან გამოძიება გაჭიანურდება, საქონელი გამოუყენებელი დარჩება და ბოლოსდაბოლოს შეიძლება გერმანელებს ჩაუვარდეთ ხელში. დღევანდელი რღვევის წყალობით თითქმის ყველამ დაკარგა სინიდისი, და თუ დავიწყეთ ქექვა საქონლის წარმოშობის შესახებ, ბევრი პატივცემული პირი, მათ შორის გენერლები, პოლკოვნიკები და საზოგადო მოღვაწეები მოხვდებიან საბრალდებო სკამზე, რაც უდიდეს სკანდალს გამოიწვევს, რადგან ბევრს ასეთი საქმეების ჩადენას აიძულებს საცხოვრებელი საშუალებების უქონლობა... ვშიშობ, ყველა ეს მარაგი ხელში არ ჩაუვარდეს გერმანელებს, მით უფრო, რომ თავისი აგენტების მეოხებით მათ იციან ამის შესახებ. ეს უნდა დავაჩქაროთ.

ფ. 9, ს. 193, ფურც. 7.

---

[1] ასეა დოკუმენტში.

### 3. 1918 წ. მაისის 26. დეპეშიდან, რომელიც კორპუსის შტაბის უფროსმა გაუგზავნა კარაკლისიდან შინაგან საქმეთა მინისტრს კარაკლისში გერმანელთა სამხედრო ნაწილის ჩასვლის შესახებ. № 782.

„კარაკლისიდან ჩემს მიერ მიღებული სარწმუნო ცნობებით დღეს კარაკლისში თბილისიდან მოვიდა ორთქლმავალი ერთი სამგზავრო ვაგონით, რომლითაც ჩამოვიდა გერმანელი ოფიცერი და 12 გერმანელი ჯარისკაცი სამხედრო ტყვეებთაგან სადგურ კარაკლისისა და რკინიგზის ხაზის დასაცავად. სხვა გერმანელი ჯარისკაცები ორმოცი კაცის რაოდენობით იმყოფებიან სადგურ სანაინში და მათაც მინდობილი აქვთ სადგურის დაცვა. გთხოვთ მაცნობოთ, რას მოასწავებს ასეთი დაცვა და როგორ მოვექცე ასეთ რაზმს. ნაზარბეკოვი“.

ფ. 11, ს. 11, ფურც. 493.

### 4. 1918 წ. მაისის 28. წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის.[1]

ერთი მხრით, გერმანიის საიმპერატორო მთავრობასა, რომელიც წარმოდგენილია ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორ ფონ-ლოსოვის სახით, და, მეორე მხრით, საქართველოს მთავრობას შორის, რომელიც წარმოდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ აკაკი ჩხენკელის სახით, ორ ერთა შორის საქმეთა წინასწარ მოსაგვარებლად მოხდა შემდეგი შეთანხმება:

მუხლი 1. საქართველოს მთავრობა სცნობს 1918 წლის 3 მარტს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, ერთი მხრით, გერმანიასა, ავსტრია-უნგრეთსა, ბოლგარიასა და თურქეთს, და, მეორე მხრით, რუსეთს შორის იმ საფუძვლად, რომლის

[1] ყველა შეთანხმება დაიდო ქ. ფოთში.

თანახმად შესაძლებელი იქნება გერმანიასთან დამოკიდებულების დამყარება. ამ დებულების თანახმად, მთავარი ხელშეკრულების მეორე განყოფილება და აგრეთვე დამატებითი შეთანხმების საფუძვლები გერმანიის მიმართ მისაღებად ითვლება.

მუხლი 2. ომის დროის განმავლობაში საქართველოს მთავრობა ნებას რთავს ოთხ მოკავშირე სახელმწიფოს საქართველოს საზღვრებში რკინიგზით სარგებლობისას ჯარების გადასაყვანად და სამხედრო მასალების გადასაზიდავად. ამ მიზნით თბილისში არსდება სამხედრო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით თავის თავზე მიიღებს რკინიგზის მოძრაობის მოწესრიგებას. ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებს. რკინიგზის სადგურები და აგრეთვე ფოთის ნავსადგური დაკავებული იქნება გერმანიის კომენდანტების და დარაჯების მიერ.

მუხლი 3. საქართველოს მთავრობის ადგილსამყოფელოში წესდება გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლობა და აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერლინში.

მუხლი 4. საქართველოს მთავრობა ნებას რთავს დაინიშნოს გერმანიის ელჩები საქართველოს სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც გერმანიის საიმპერატორო მთავრობა ამას სასურველად დაინახავს.

გერმანიის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს საქართველოს ელჩებს მიანიჭოს სათანადო უფლებები.

მუხლი 5. ეს წინასწარი შეთანხმება ძალაში შედის დღიდან ხელის მოწერისა და რაც შეიძლება უმოკლეს ხანში შეცვლილი იქნება ორივე მხარის სახელმწიფოებრივი შეთანხმებით, რომელიც განსაზღვრავს გერმანიის და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებას, რამდენადაც ამ ხელშეკრულების ზო-

გიერთი ნაწილი არ იქნება შეცვლილი საერთო შეთანხმებით, ერთი მხრით, ოთხი მოკავშირე სახელმწიფოსა და, მეორე მხრით, საქართველოს მთავრობას შორის.

ეს ხელშეკრულება შემოწმებულია რწმუნებულთა პირადი ხელმოწერით. გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10, ფურც. 1.

## ნ. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის ორივე მხარის სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის დასაჩქარებლად.

ერთი მხრით, საქართველოს მთავრობასა, რომელიც წარმოდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ აკაკი ჩხენკელის სახით, და, მეორე მხრით, გერმანიის საიმპერატორო მთავრობას შორის, რომელიც წარმოდგენილია ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორის ფონ-ლოსოვის სახით, ორივე მხარის სამხედრო ტყვეთა გაცვლის დასაჩქარებლად მოხდა შემდეგი შეთანხმება:

### მუხლი I.

საერთო დადგენილებანი სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ, რომლებიც მოყვანილია 1918 წლის 3 მარტს, ერთი მხრით, გერმანიასა, ავსტრია-უნგრეთსა, ბოლგარეთსა და თურქეთს და, მეორე მხრით, რუსეთს შორის ბრესტ-ლიტოვსკში დამატებით დადებული ხელშეკრულების მე-17 მუხლში, თავისი შინაარსით ვრცელდება სამხედრო ტყვეთა გაცვლაზე საქართველოსა და გერმანიას შორის, რამდენადაც ქვემომოყვანილი შეთანხმებანი არ შეიცავენ საწინააღმდეგო დადგენილებებს.

### მუხლი II.

ეს შეთანხმება ვრცელდება იმ გერმანელ სამხედრო ტყვეებზეც, რომლებიც შემდგომ ხანებში გაჩნდება საქართველოს

სახელმწიფოს სუვერენიტეტის საზღვრებში და რომლებიც ამჟამად ინტერნირებული არიან წინანდელი რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილში.

გარდა ამისა საქართველოს მთავრობა ვალდებულია აგრეთვე თავის მხრით ყოველგვარი ზომები მიიღოს იმისათვის, რომ კავკასიის სხვა ადგილებში, აგრეთვე კასპიის ზღვის მოსაზღვრე სხვა ოლქებში განლაგებული სამხედრო ტყვეები რაც შეიძლება მალე იქნას განთავისუფლებული არსებული მდგომარეობიდან და გადაყვანილი საქართველოს ტერიტორიაზე.

## მუხლი III.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე კისრულობენ ურთიერთვალდებულებას — მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომლებიც გააადვილებენ და დააჩქარებენ სამხედრო ტყვეთა გაცვლას.

საქართველოს მთავრობა თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ გერმანიის მხრით ფოთში დაწესებულ იქნას კომისია, რომელიც შეუთანხმდება საქართველოს სათანადო ხელისუფალთ ყველა მისაღებ ადმინისტრაციულ და სანიტარულ ღონისძიების შესახებ, განსაკუთრებით სადგომების და თავშესაფრების შოვნის შესახებ, აგრეთვე იზრუნებს ტრანსპორტის მოწესრიგებაზე და თვალყურს ადევნებს გაცემულ განკარგულებათა შესრულებას.

კომისიას უფლება აქვს, საქართველოს მთავრობისთვის წინასწარი ცნობით, საჭირო შემთხვევაში დააწესოს ქვეკომისიები საქართველოს სახელმწიფოს სხვა ადგილებში.

## მუხლი IV.

გერმანიის საიმპერატორო მთავრობას ენდობა იმ საკითხის გადაჭრა, საჭიროა თუ არა დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქნას თავის სამშობლოში გერმანელი სამხედრო ტყვეები, თუ გერ-

მანელი სამხედრო ტყვეებიდან შედგენილ იქნას სამხედრო შენაერთები მათ გამოსაყენებლად საქართველოს სახელმწიფოს შიგნით თუ მის მოსაზღვრე ოლქებში.

## მუხლი V.

IV მუხლის თანახმად დაუბრკოლებლივ თავის სამშობლოში გასაგზავნ ტყვეებს საქართველოს ხელისუფალნი გადასცემენ გერმანიის კომისიას ქ. ფოთში და ფოთის ნავსადგურში. ტყვეების გადაცემის მომენტამდე ყოველგვარ ხარჯებს მათს შესანახად და გადმოსაყვანად კისრულობს საქართველოს მთავრობა.

გერმანიის საიმპერატორო მთავრობა თავის მხრით კისრულობს ამ ხალხის გადასაყვანად საჭირო გემის მოცემას.

## მუხლი VI.

საქართველოს მთავრობა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით დაეხმარება მე-4 მუხლში გათვალისწინებული სამხედრო შენაერთების გამოყვანას. ამ მიზნით იგი ნებას რთავს გამოიგზავნოს გერმანელთა სამხედრო დამხმარე პერსონალი, აგრეთვე უბაჟოდ შემოტანილ იქნას საქართველოში ყოველგვარი სამხედრო საჭურველი (ტანსაცმელი, იარაღი, ამუნიცია და სხვ.) და გზაში არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნის იმ უფროსთა საქმიანობას, რომელთაც მინდობილი ექნებათ შენაერთთა შექმნა. ის ვალდებულებას კისრულობს განსაკუთრებით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქვეყნის შიგნით სურსათით მომარაგებას როგორც ამ შენაერთთა, ისე ახლად გამოგზავნილ გერმანელთა ნაწილების შესანახად. საარსებო სურსათს გერმანიის კომისია იძენს ნაღდ ფულზე.

## მუხლი VII.

რამდენადაც, ერთი მხრით, საქართველოსა და, მეორე მხრით, ავსტრია-უნგრეთს შორის უშუალო სახელშეკრულებო ვალდებულებით აღნიშნული არ იქნება საწინააღმდეგო შეთანხმებანი, საქართველოს და გერმანიის საიმპერატორო მთავრობას შორის არსებობს იმის თანხმობა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ავსტრიელ-უნგრელ სამხედრო ტყვეების მიმართაც. ამაზე თანხმობის განცხადება ენიჭება საიმპერატორო და სამეფო ავსტრია-უნგრეთის მთავრობას.

## მუხლი VIII.

ეს დადგენილებანი ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

რის დასამოწმებლად რწმუნებულნი პირადად ხელს აწერენ ამ ხელშეკრულებას.

გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10, ფურც. 3.

## 6. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება სავალუტო ურთიერთდამოკიდებულების წინასწარი მოწესრიგების შესახებ გერმანიასა და საქართველოს შორის.

ვინაიდან საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმად საქართველოში გამოსაგზავნმა გერმანიის ჯარის ნაწილებმა, თავისი მიმდინარე მოთხოვნები უპირველეს ყოვლისა უნდა დაიკმაყოფილონ ქვეყნის მარაგიდან და მასთან მათ დასჭირდებათ მტკიცე გადასახდელი საშუალება, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ფასების მერყეობაზე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი აკაკი ჩხენ-

კელი და გერმანიის საიმპერატორო მთავრობის წარმომადგენელი ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორი ბატონი ფონ-ლოსოვი შეთანხმდნენ იმაში, რომ გერმანიის მიერ ბოლგარეთთან და რუმინეთთან დადებულ ამგვარი შეთანხმების მსგავსად დაწესებულ იქნას შემდეგი:

## მუხლი I.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია დაუშვას სახელმწიფოში გერმანიის ვალუტა ისევე, როგორც თავისი ქვეყნისა, განუსაზღვრელად, როგორც კანონიერი გადასახდელი საშუალება და მასთან მტკიცე კურსით, რაც ჯერ კიდევ ზუსტად უნდა განისაზღვროს. კურსის განსაზღვრა უნდა მოხდეს მაშინვე ამ შეთანხმების დადებისას განსაკუთრებული შეთანხმებით ორივე მთავრობას შორის.

მშობლიურ ვალუტად აღიარებულია მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ კანონით დაწესებული ფულის სახეობანი.

## მუხლი II.

მოქმედება ამ შეთანხმებისა, რომელიც ძალაში შედის დღიდან მისი ხელმოწერისა, სწყდება მაშინ, როდესაც დადებული იქნება საბოლოო სახელმწიფოებრივი ხელშეკრულება ფულადი და სავალუტო ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ ორივე ქვეყანას შორის. გარდა ამისა თვითეულ მხარეს უფლება აქვს უარი სთქვას ამ შეთანხმებაზე წინასწარ 6 თვით შეტყობინებისას.

ამის დასამოწმებლად რწმუნებულნი პირადად აწერენ ხელს ამ შეთანხმებას.

გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10, ფურც. 7.

## 7. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის საქართველოს განკარგულებაში მყოფი გემების გერმანიისთვის გადაცემის შესახებ.

ერთი მხრით, საქართველოს მთავრობასა, რომელიც წარმოდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ აკაკი ჩხენკელის სახით, და, მეორე მხრით, გერმანიის საიმპერატორო მთავრობას შორის, რომელიც წარმოდგენილია ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორის ბ-ნ ფონ-ლოსოვის სახით, დადებულია შემდეგი შეთანხმება:

### მუხლი I.

საქართველოს მთავრობა გერმანიის საიმპერატორო მთავრობას ომის დროის განმავლობაში გადასცემს საქართველოს ნავსადგურებში მყოფ ყველა გემს (სამგზავრო გემებს, საბუქსირო ხომალდებს, კარჭაპებს, მოტორიან ნავებს და სხვ.), რათა თავისუფლად ისარგებლონ მით.

### მუხლი II.

ყოველგვარი დეტალები, განსაკუთრებით ფრახტ-პოლისების წამოყენება ამ გემებისთვის, რაც შეიძლება მალე იქნება დაწესებული შერეული საზღვაო-ტექნიკური კომისიის მიერ, რომლის მოწვევა და შემადგენლობა ზუსტად იქნება განსაზღვრული შეთანხმებით.

### მუხლი III.

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან. I მუხლში აღნიშნული გემების კაპიტანებს მიეცემათ დროებითი მოწმობები გერმანიის სამსახურში მათი გადასვლის შესახებ შემდეგი ნიმუშისა:

**მოწმობა:**

გემის სახე:
სახელწოდება:
წყალწყვა:
რედერობა:
მშობლიური ნავსადგური:
კაპიტანი:

დადის . . .        . . დან გერმანიის საიმპერატორო შთავრობის ხარჯზე და მისი დავალებით. ვთხოვთ მოკავშირე და მეგობრულ სახელმწიფოთა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ თავისუფლად გაატარონ გემი და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ მას მფარველობა და დახმარება.

ფოთი . . .        . 1919 წლის .        მაისი.

საიმპერატორო კონსული.

ამის დასამოწმებლად რწმუნებულნი პირადად აწერენ ხელს ამ ხელშეკრულებას. გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10. ფურც. 9.

**8. 1918 წ. მაისის 28. I დამატებითი შეთანხმება 1918 წლის 28 მაისს ქ. ფოთში საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული დროებითი ხელშეკრულებისადმი საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ.**

ვინაიდან საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა მოლაპარაკება დაიწყოს გერმანიის მთავრობასთან სესხის აღების ხელშეკრულების საკითხზე, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა აკაკი ჩხენ-

კელმა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორმა ბატონმა ფონ-ლოსოვმა პირველ-მნიშვნელოვანი ეკონომიური საკითხების მოწესრიგების მხრით ამ სესხის განაღდებისათვის შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

## მუხლი I.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ყველა რკინიგზა, რომლებიც არსებობს ან ახლად გაყავთ საქართველოს ტერიტორიაზე, შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მათი ექსპლოატაცია ან მეთვალყურეობა ეკუთვნის მხოლოდდამხოლოდ სახელმწიფოს. აგრეთვე ნავსადგური ფოთი, რომელიც ჯერჯერობით ქ. ფოთის საკუთრებას შეადგენს და უკანასკნელი განაგებს მას, გადადის სახელმწიფოს გამგებლობაში.

თუ საქართველოს რკინიგზების და ფოთის ნავსადგურის შემოსავალი განკუთვნილი იქნება მომავალი სესხის პროცენტის უზრუნველსაყოფად, მაშინ დაინიშნება გერმანია-საქართველოს კომისია, რომელსაც გადაეცემა გზებისა და ფოთის ნავსადგურის ექსპლოატაციის კონტროლი.

## მუხლი II.

საქართველოს მთავრობა ვალდებულებას კისრულობს კანონიერად გადაეცეს სახელმწიფოს სამთამადნო მრეწველობის მიერ საქართველოს მიწის წიაღის დამუშავების მთელი პროდუქცია და მისი დამუშავება გადაეცეს მხოლოდდამხოლოდ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოს, რომლის აქციები თანაბრად იქნება განაწილებული საქართველოსა და გერმანიას შორის. ამ მიზნით საქართველოს სამთამადნო-სამრეწველო კანონმდებლობა გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს უკვე ამუნავებული სამთამადნო-სამრეწველო საწარმოების გამოსყიდვის

შესახებ და სამთამადნო სიმდიდრეთა მოპოვებაზე არსებულ უფლებათა გამოსყიდვის შესახებ. მადნის დამუშავებაზე არსებულ უფლებათა გამოსყიდვა რამდენადაც შეიძლება უნდა მოხდეს საწარმოს მფლობელთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია აკრძალვებითა და საგასატანო ბაჟებით არ შეზღუდოს სამთამადნო-სამრეწველო საწარმოს მიერ მოპოვებული მადნის გატანა.

## მუხლი III.

საქართველოს მთავრობა ვალდებულია ომის მთელი ხნის განმავლობაში მხოლოდდამხოლოდ გერმანიას მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყოველგვარი ნედლი მასალების შესყიდვა, რამდენადაც ისინი საჭირო არ იქნება ქვეყნის შინაური მოხმარებისთვის და არ დააბრკოლოს მისი გაზიდვა აკრძალვებით ან განსაკუთრებული ბაჟებით.

## მუხლი IV.

გერმანია ვალდებულია რაც შეიძლება ჩქარა დააწესოს ნაოსნობა გერმანიასა და საქართველოს შორის, რაც შესაძლებლობისდაკვალად გააადვილებს მზა და ნახევარ-ფაბრიკატების შემოტანას საქართველოში და შესაძლებელს გახდის საარსებო სურსათის შემოზიდვას საქართველოში.

რის დასამოწმებლად ეს დამატებითი შეთანხმება პირადად ხელმოწერილია სრულუფლებიანი წარმომადგენლების მიერ. გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10, ფურც. 11.

## 9. 1918 წ. მაისის 28. II დამატებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის მათი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ.

ერთი მხრით, საქართველოს მთავრობასა, რომელიც წარმოდგენილია საგარეო საქმეთა კომისრის ბ-ნ აკაკი ჩხენკელის სახით, და, მეორე მხრით, გერმანიის საიმპერატორო მთავრობას შორის, რომელიც წარმოდგენილია ბავარიის სამეფოს გენერალ-მაიორის ფონ-ლოსოვის სახით, დადებულია შემდეგი შეთანხმება საქართველოში გერმანიის კონსულების შესახებ:

### მუხლი I.

გერმანიის კონსულებს საქართველოში, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადგილსამყოფელოში დასაწესებელ გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, სხვა უფლებამოსილების გარდა, უნდა ჰქონდეთ უფლება დაიცვან საქართველოში დასახლებული გერმანელი კოლონისტების ინტერესები მაშინაც კი, როცა ისინი საქართველოს მთავრობის ქვეშევრდომები არიან.

### მუხლი II.

იმ გერმანელ კოლონისტებს, რომლებიც მოისურვებენ კვლავ გერმანიაში გადასახლებას და გერმანიის იმპერიის ქვეშევრდომობის მიღებას, საქართველოს მთავრობა შუამდგომლობისდა მიხედვით გაანთავისუფლებს თავის სახელმწიფოსთან კავშირისგან. საქართველოს მთავრობა ვალდებულია აგრეთვე არ შესცვალოს რუსეთის იმპერატორების ბრძანებულებანი, რამდენადაც ისინი ეხებიან გერმანელ კოლონისტებს საქართველოში, არ შესცვალონ და დაიცვან ამ კოლონისტებისათვის მინიჭებული თავისუფლებანი და უპირატესობანი.

ამის დასამოწმებლად რწმუნებულნი პირადად აწერენ ხელს ამ დამატებითს შეთანხმებას. გამზადებულია ორ დედნად. ა. ჩხენკელი. ფონ-ლოსოვი.

ფ. 13, ს. 10, ფურც. 13.

**10. 1918 წ. ივნისის 1. საქართველოში გერმანიის მთავრობის წარმომადგენლის, გრაფ შულენბურგის დეპეშა ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარეს ბათუმში, ხალილ-ბეის, საქართველოს რკინიგზების ოტომანის იმპერიისთვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ ამ გზების გერმანელთა რაზმების მიერ დაკავების გამო.**

ეს-არის გავიგე, რომ ოტომანის დელეგაცია საქართველოს რესპუბლიკისგან მოითხოვს, რომ მან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა რკინიგზა ოტომანის იმპერიას გადასცეს. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დადებულია ფორმალური კონვენცია, რომლითაც საქართველოს რკინიგზები დაეთმო გერმანიის იმპერიას.

ეს რკინიგზები უკვე დაკავებული აქვს გერმანელთა რაზმებს, რათა საჭიროების შემთხვევაში ოთხთა კავშირისთვის უზრუნველჰყოს ჯარებისა და საბრძოლო საჭურველის გადაზიდვა.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დელეგაცია ბათუმში ოტომანის მთავრობას დაუთმობს რკინიგზებზე ბატონობას, ასეთი შეთანხმება საწინააღმდეგო იქნება გერმანიასა და საქართველოს შორის დადებული კონვენციისა.

დასასრულ, გერმანიის მთავრობას არ შეუძლია სცნოს ასეთი შეთანხმება საქართველოსა და თურქეთს შორის. გრაფი შულენბურგი.

ფ. 13, ს. 8, ფურც. 1. დოკუმენტზე აღნიშნულია: „გადაეცა ნატანებში 1/VI—23 ს. და 5 წ."

### 11. 1918 წ. ივნისის 6. საქართველოში მყოფ გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის მიმართვა საქართველოს სამხედრო მინისტრს — „დაუყოვნებლივ კატეგორიული განკარგულება იქნას გაცემული რკინიგზის ყველა სამხედრო-სატრანსპორტო დაწესებულებისადმი თურქ ოფიცრებს და მათს აგენტებს არავითარი ცნობები არ მისცენ სამხედრო და ტექნიკურ საკითხებში რკინიგზებზე“, № 35.

საიდუმლოდ

საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულების მუხლისა და სიტყვიერი მოლაპარაკების საფუძველზე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას გერმანიის სამხედრო კომისიის თხოვნით დაუყოვნებლივ გასცეთ კატეგორიული განკარგულება რკინიგზის ყველა სამხედრო-სატრანსპორტო დაწესებულებისადმი (ბ-ნ პოლკოვნიკ თაყაიშვილს, ბ-ნ პოლკოვნიკ მიხაილოვსკის, სადგურთა სამხედრო კომენდანტებს და სხვ.) არავითარი ცნობები არ მისცენ ჩასულ თურქ ოფიცრებსა და მათს აგენტებს სამხედრო და ტექნიკურ საკითხებში რკინიგზებზე, და ეს პირნი გაუგზავნონ გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს საქართველოში, რომელიც მათ მისცემს საჭირო ცნობებს.

ფ. 13, ს. 6, ფურც. 6. გერმანული დედნის თარგმანი. გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის ხელმოწერა დოკუმენტზე არ არის აღნიშნული. გერმანული დედანი საქმეში არ არის.

### 12. 1918 წლის არა უადრეს 6 ივნისისა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოვ. ადგ. მიმართვა გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს, რომ ის მზადაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გერმანიის ხელისუფალთა წარმომადგენლებს.

თქვენი 4 ამა ივნისის № 18 და 5 ივნისის №№ 35 და 36 მომართვების გამო ჩემს მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სავსებით მზად არის

ზუსტად შეასრულოს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი, თანახმად საქართველოსა და გერმანიას შორის ა/წ. 28 მაისს დადებული წინასწარი შეთანხმებისა და გერმანიის მთავრობის რწმუნებულის გენერალ ფონ-ლოსოვის, რომელსაც მინდობილი აქვს სამშვიდობო მოლაპარაკებათა წარმოება, იმავე რიცხვის მომართვისა — საქართველოს საზღვრებში ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს ჯარებისა და სამხედრო მასალების გადაზიდვის შესახებ.

კერძოდ, ამ მიზნით მე მზად ვარ დაუყოვნებლივ მივცე განკარგულება სამხედრო მიმოსვლის უფროსს და ყველა სათანადო სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ ყოველმხრივ ხელი შეგიწყონ თქვენ და თქვენს წარმომადგენელს კაპიტან ფრიცენს.

მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეს რამდენადმე ართულებს ის, რომ მიუხედავად ჩვენი სამშვიდობო დელეგაციის მიერ ბათუმში ოქმში შეტანილი განცხადებისა, რომ ჩვენ სავალდებულოდ ვთვლით ჩვენთვის გერმანიასთან ფოთში დადებულ შეთანხმებას, თურქეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ მათი ჯარების და სამხედრო მასალების გადაზიდვა ხდებოდეს მათი კომისიების მითითებით, განაცხადეს რა, რომ თურქეთის წარმომადგენლები ამ მხრით თვითონვე დაამყარებენ კონტაქტს გერმანიასთან.

ამიტომ გადაუდებელ საჭიროებად მიგვაჩნია გერმანიის სამხედრო კომისია შეუთანხმდეს თბილისში ჩამოსულ გერმანიის მოკავშირე ოტომანის იმპერიის კომისიას მოკავშირე სახელმწიფოებისა და მათ შორის თურქეთის ჯარებისა და სამხედრო მასალების ტრანზიტის საკითხში.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გეგზავნებოდეს საქართველოს მთავრობის სამხედრო ტრანსპორტების განწესები და ჩვენი ჯარების მოძრაობის უფროსის სამმართველო თქვენ გემორჩი-

ლებოდეს, ეს წინადადება სრულებით არ გამომდინარეობს ამა წლის 28 მაისის წინასწარი შეთანხმებიდან. პირიქით, გენერალ ფონ-ლოსოვის თქვენთვის ცნობილ მომართვაში სრული სიცხადითაა გამოთქმული, რომ საქართველოს რკინიგზების ხელმძღვანელობა და ექსპლოატაცია რჩება საქართველოს სათანადო დაწესებულებათა ხელში, და რომ გერმანიის კომისიის უფროსი, გერმანიის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მოაწესრიგებს მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების და სამხედრო მასალების მოძრაობას და სრულიადაც არა საქართველოს სამხედრო ტრანსპორტისას. მაგრამ ამასთანავე ვაცხადებ, რომ ჩვენი ჯარების ტრანსპორტს საქართველოს მთავრობა შეუთანხმებს მოკავშირე სახელმწიფოების არმიების გადაყვანას.

დასასრულ გაცნობებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ობერ-ლეიტენანტი კაიზერი მიავლინოთ საქართველოს სამხედრო სამინისტროში რკინიგზის საქმეთა მეკავშირის ოფიცრად. თავმჯდომარის მოვ. ალმ., სამხედრო მინისტრი.

ფ. 13, ს. 8, ფურც. 2. მთავრობის თავმჯდომარის მოვ. ალმ. სამხედრო მინისტრის ხელმოწერა აღნიშნული არ არის. დოკუმენტი უთარიღოა.

## 18. 1918 წ. ივნისის 18. ცნობიდან გერმანიის და საქართველოს ჯარების პარადის შესახებ ქ. თბილისში.

„... 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე შესდგა საქართველო-გერმანიის ჯარების პარადი. სამივე გვარის იარაღის ჯარები[1] ჩამწკრივდნენ სასახლიდან დაწყებული დიდების ტაძრის მიმართულებით — ერთ მხარეზე გერმანელე-

[1] ქვეითი, კავალერია და არტილერია.

ბი, მეორეზე — ქართველები, სრული საბრძოლო საჭურველით. 5 საათზე სასახლიდან გამოვიდნენ: საქართველოს რესპუბლიკის მინისტრი-თავმჯდომარე ნ. ვ. რამიშვილი, გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაევი და ობერ-ლეიტენანტი კაიზერი ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით.

მთავრობის მეთაურმა ჩამოუარა ჯარების მწკრივს. დიდების ტაძართან ნ. ვ. რამიშვილმა სიტყვით მიმართა გერმანიის ჯარებს, მიესალმა მათ ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა რწმენა, რომ პირისპირ მდგომი გერმანიის და საქართველოს ჯარები ერთმანეთთან სრული კონტაქტით შესძლებენ წესრიგის დაცვას ჩვენს ქვეყანაში, შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერიდან გერმანიის საიმპერატორო ჯარები და საქართველოს რესპუბლიკური ჯარები მუდმივ მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ. სიტყვები დაფარულ იქნა ძახილით „ჰოხ". [1] დასასრულ ჯარებმა გაიარა ცერემონიალური მარშით"...

გაზ, „ბორბა", № 92, 1918 წ.

**14. 1918 წლის არა უგვიანეს 16 ივნისისა. საქართველოში მყოფ გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის, კაპიტან ფონ-ნიდას მიმართვიდან საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი — გზათა სამინისტროს და ჯარების ტრანსპორტის გამგის სამმართველოს გერმანიის სამხედრო კომისიისთვის დამორჩილების შესახებ, № 86.**

„მაქვს პატივი სამხედრო სატრანსპორტო პირობების გასამარტივებლად თქვენს აღმატებულებას წარვუდგინო ქვემოთმოყვანილი შემდეგი წინადადება:

[1] „ვაშა".

1. სამხედრო ხასიათის ტრანსპორტის ყველა განწესი ეგზავნება გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს. აქ იგულისხმება საქართველოს მთავრობის სამხედრო ტრანსპორტებიც.

სამხედრო სამინისტროსთან რკინიგზის საქმეთა მეკავშირე ოფიცრად გთხოვთ ამიერიდან მოავლინოთ ბ-ნი ობერლეიტენანტი კაიზერი.

2. გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს, როგორც აღმასრულებელი ორგანო უშუალოდ, ე. ი. ყოველგვარი საშუალედო ინსტანციების გარეშე, ემორჩილება ამ დრომდე პოლკ. მიხაილოვსკის გამგებლობაში მყოფი ჯარების მოძრაობის გამგის სამმართველო მისი ქვემდებარე სამხედრო დაწესებულებებითურთ.

ასევე გზათა სამინისტრო მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებებითა და სამმართველოებითურთ, რამდენადაც ეს ეხება სამხედრო ინტერესებს, განკარგულებას იღებს ჩემგან და ვალდებულია ურთიერთობა იქონიოს უშუალოდ ჩემთან“...

ფ. 13, ს. 8, ფურც. 3. დოკუმენტი ხელმოუწერელია.

## 16. 1918 წ. ივნისის 17. საქართველოში გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის კაპიტან ეჰან ფონ-კრიგერის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი გერმანიის ჯარების საჭიროებისათვის სარკინიგზო მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ, № ეა—288.

რკინიგზის ხაზზე, სადგ. ალექსანდროპოლის მიმართულებით, დაწყებული სადგურ სანდარიდან, დანგრეულია მიმოსვლის საშუალებები. მაგალითად, ტელეგრაფის და ტელეფონის აპარატები დაზიანებული ან დატაცებულია, მავთულები დაწყვეტილი და გადახლართულია ერთმანეთში, სიგნალიზაცია არ მუშაობს, კანტორების სადგომები დაცალიერებულია.

ვინაიდან გერმანიის ჯარების ზურგში უზრუნველყოფილია სიწყნარე და უშიშროება, გთხოვთ თქვენს განკარგულებას — დაუყოვნებლივ შეუდგნენ სადგურების აღდგენას და სარკინი-

გზო მიმოსვლის მოწესრიგებას და ნუ დაიზარებთ შემატყობინოთ, თუ რა ვადისათვის უნდა ველოდეთ, რომ ეს სამუშაოები შესრულებული იქნება იმდენად, რომ მატარებლების სწორი და უზრუნველყოფილი მიმოსვლის პირობებში შესაძლებელი გახდება უფრო დიდი სამხედრო ტრანსპორტების მოძრაობა. ვინაიდან ეს საქმე სასწრაფოა, ფრიად დამავალებთ ჩემი მოთხოვნის სასწრაფო შესრულებით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სადგურ კალაგერანის ახლოს თურქეთის ჯარების მიერ დანგრეულია რკინიგზის პატარა ხიდი ერთი საჟენის სიგრძისა, ხოლო კალაგერან-შაგალის გადასარბენზე—უფრო დიდი ხიდი დაახლოებით 10 საჟენი სიგრძისა, რომელთა აღდგენა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ. გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსი, გენერალური შტაბის კაპიტანი ეჰან ფონ-კრიგერი.

ფ. 24, ს. 100, ფურც, 5. დოკუმენტზე არის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის რეზოლუცია: „გზათა. მინისტრს". მთავ[რობის] თავმჯ[დომარე] ნ. რამიშვილი. ტექსტის ბოლოს დოკუმენტზე დასმულია რგვალი ბეჭედი გერმანული წარწერით: „გერმანიის სამხედრო კომისია საქართველოში". ხელმოწერა ეჰან ფონ-კრიგერისა — ავტოგრაფი (გერმანულ ენა'ზე).

## 16. 1918 წ. ივნისის 18. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. რამიშვილის მიმართვა საქართველოში გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსისადმი აღნიშნული კომისიის მიერ „აღძრული საკითხების არსებითი მხარის გამო" მთავრობის თავმჯდომარის მიერ განკარგულების გაცემის შესახებ, № 6046.

ამა წლის 17 ივნისის №№ 283 და 288 თქვენი მომართვის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ გზათა მინისტრს მიეცა სათანადო განკარგულება თქვენს მიერ აღძრული საკითხების არსებითი მხარის გამო. მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი.

ფ. 24, ს. 100, ფურც. 6.

**17. 1918 წ. ივნისის 19. გაზ. „ბორბის“ მოწინავედან — სათაურით: „ქართველი რეაქციონერების ზრახვები და გერმანია“.**

„საქართველოს კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა თავი წამოყვეს, ისინი წინასწარ სტკბებიან დემოკრატიაზე ახლო გამარჯვებით. ისინი ისე დარწმუნებულნი არიან თავიანთი ზეიმის სიახლოვეში, რომ ოცნებებსა და სურვილებს სინამდვილედ ღებულობენ, და იმაზე, რაც მათ წარმოდგენაში ეხატებათ, ლაპარაკობენ როგორც მომხდარ ფაქტზე...

ქართველ კონტრრევოლუციონერთაგან უფრო ფიცხნი არ კმაყოფილდებიან ამ ხმების ტკბილი მელოდიებით. ისინი უკვე ალაპარაკდნენ საქართველოში მონარქიის აღდგენაზე და დაეძებენ მეფე ერეკლეს ძველი ტახტის პრეტენდენტებს.

საიდან მოდის ჩვენი რეაქციონერების ეს გულდაჯერებულობა?

შეიძლება, ხალხის წიაღში მათ შეამჩნიეს მობრუნება თავიანთ სასარგებლოდ? შეიძლება, გაიზარდა კადრები მათი მიმდევრებისა?

არა! ხალხი მათში ძველებურად ხედავს თავის მტრებს.

მაგრამ საქართველოს ფარგლებში გამოჩნდა ახალი ძალა— გერმანიის ჯარები. ამ ძალას ქართველი კონტრრევოლუციონერები თავიანთ მოკავშირედ სთვლიან. ისინი არ მალავენ ამ თავიანთ ანგარიშებს. ისინი აშკარად მთელი ხალხის წინაშე ცდილობენ აღძრან გერმანია საქართველოს შინაურ ცხოვრებაში ჩასარევად და წარმართონ გერმანიის ჯარები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ...

ქართველი ნაციონალისტები დაადგნენ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი გ ა მ ც ე მ ლ ო ბ ი ს გზას, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ღ ა ლ ა ტ ი ს გზას. მშობლიური ხალხის გ ა მ ც ე მ თ ა დაღი, მ ო ღ ა ლ ა ტ ე თ ა სახელი სამუდამოდ შერჩებათ მათ, იმისდა მიუხედავად, გაიმარჯვებს თუ არ გაიმარჯვებს მათი თამაში, განხორციელდება თუ არ განხორციელდება მათი ოცნებანი. რადგან არ ექნება

პატიება მას, ვინც მზად იყო მშობლიური ხალხის მკერდისაკენ მიემართნა გერმანული ხიშტი, ოღონდ დაებრუნებინა თავისთვის მიწა, სიმდიდრე და ძალაუფლება.

და თუ ქართველ ნაციონალისტებს გაუმართლდებათ თავიანთი გამცემლური თამაში, დიდხანს ვერ იბოგინებენ ისინი ხელისუფლების სათავეში უცხოელთა ხიშტების მხარდაჭერით. და ხალხი აიძულებს მათ ძვირად, სისხლის ფასად, გამოისყიდონ ღალატის შავი საქმე.

მაგრამ ჩვენ ნაკლებ გვაინტერესებს ქართველი კონტრრევოლუციონერების პოლიტიკის მორალური შეფასება. ჩვენს ამოცანას არ შეადგენს გავაფრთხილოთ ისინი იმ სისხლიანი ანგარიშის გასწორების შესახებ, რასაც ისინი თავიანთ თავს უმზადებენ მით, რომ ამზადებენ სამოქალაქო ომს და აქეზებენ უცხოელთა ჯარებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს. რამდენად რეალურია ქართველი რეაქციონერების ანგარიში გერმანიის დახმარების შესახებ?..

გერმანიის მთავრობა, გზავნიდა რა თავის ჯარებს საქართველოში, ისახავდა თავის მიზნებს, ცდილობდა დაეცვა და უზრუნველეყო თავისი სახელმწიფო ინტერესები. და შემდეგშიაც გერმანიის პოლიტიკას საქართველოში განსაზღვრავენ არა საქართველოს მთავრობის მოსაზრებანი (როგორიც არ უნდა იყოს მთავრობის პარტიული შემადგენლობა), არამედ საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ინტერესების მოთხოვნილებანი.

მიამიტობა იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ თითქოს გერმანია უანგაროდ დაუჭერს მხარს ქართველ სოციალ-დემოკრატიას.

მაგრამ ასეთივე მიამიტობა იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ გერმანელები უანგაროდ დაუჭერენ მხარს ქართველ კონტრ-

საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკა.
—
მთავრობის საქმეთა
მმართველობა.

ГРУЗИНСКАЯ
Демократическая республика
—
Управленіе
делами Правительства

*Управление делами правительства демократической республики Грузии*

*183*

# საქმე

*მიწერ-მოწერა გერმანიის მისიასთან*

ЦАОР
ФОН. — ОП. — ДЕЛ. 180

# ДѢЛО

*Переписки съ Германской Миссіей въ Грузіи.*

№ *183* 19*18*г.

---

დაიწყო Начато *26/VI 1918 г.*

გათავდა Окончено *5/IX. 1918 г.*

---

რევოლუციონერებს მათი კლასობრივი ზრახვებისადმი უბრალო თანაგრძნობის გამო.

გერმანიის პოლიტიკა ემყარება არა უანგარო სიმპატიას ამა თუ იმ პარტიისადმი, არამედ მათი ხვედრითი წონის გათვალისწინებას.

გერმანია ხშირად კისრულობდა კონტრრევოლუციური ელემენტების მხარდაჭერას. მაგრამ ამ მიმართულებით იგი მხოლოდ მაშინ სდგამდა გარკვეულ ნაბიჯებს, როდესაც ეს ნაბიჯები მას გარკვეულ სარგებლობას უქადდნენ.

ამრიგად, ყველაფერი ეხება საკითხს—საქართველოში გერმანიის რეალური ინტერესების შესახებ.

როგორია ეს ინტერესები?

გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა სოციალ-დემოკრატებისა და არა ნაციონალ-დემოკრატების გულისათვის, არამედ მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყისა და ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრის გულისათვის.

გერმანელებისათვის სასურველია, რომ ქვეყანაში დამყარებული იყოს გარკვეული სამოქალაქო წესრიგი, რომ შესაძლებელი გახდეს მხარეში არსებულ სამრეწველო საწარმოების ამუშავება, რომ ქვეყანაში არსებულ გზებზე თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა იყოს"...

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 96.

**18. 1918 წ. ივნისის 20. ბორჩალოს მაზრის გომარეთის სოფლის კომისრის აქტი გერმანელთა დამსჯელი რაზმის მიერ სოფ. გომარეთის მცხოვრების სახლის დაწვის შესახებ.**

1918 წლის 20 ივნისს ბორჩალოს მაზრის სოფელ გომარეთს ეწვია გერმანელთა დამსჯელი რაზმი. დამსჯელმა რაზმმა ცეცხლი წაუკიდა სოფელ გომარეთის მცხოვრების დიმიტრი პეტრეს-ძე რაზმაძის სახლს, რომელ სახლშიაც თავისი ოჯახი-

თურთ ცხოვრობდა გომარეთის სასოფლო საზოგადოების ყოფილი კომისარი მაქსიმე მჭედლიძე. დამწვარი სახლი იყო ქვის, ორსართულიანი, კრამიტით დახურული, სიგრძით 21 არშინი, სიგანით 9 არშინი, შესდგებოდა სამი ოთახისაგან ზედა სართულში, ერთი ოთახისა და თავლისაგან ქვედა სართულში. სახლის სხვენზე დაიწვა: 3 ცალი ხის კიდობანი, 1 განჯინა, 2 უღელი, ფორანის რკინის ხელსაწყოები და სხვადასხვა ნივთები, ფიცრები 4000 მანეთის ღირებულებისა. სახლი ღირდა 16000 მანეთი. საერთოდ ზარალი უდრის 20.000 მანეთს. დ. პ. რაზმაძის დამწვარ სახლში მოთავსებული იყო: გომარეთის კოოპერატივი და გომარეთის საკრედიტო ამხანაგობის სალარო. მოწმეები: დავით ჩაჩანიძე, ილიკო ქართველოვი, პეტრე ხიზანიშვილი, მაქსიმე ხიზანიშვილი, გომარეთის კომისარი ა. მურჯიკნელი. მდივანი გ. ზანდაროვი.

ფ. 11, ს. 172, ფურც. 10. იმ მიზეზის შესახებ, რამაც გერმანელთა რაზმს ჩაადენინა ესოდენ არაადამიანური საქციელი, თრიალეთის რაიონის კომისარმა შეატყობინა ბორჩალოს მაზრის კომისარს: „გერმანელთა რაზმმა, მოვიდა რა სოფელ დიდ გომარეთში, მოითხოვა საზოგადოების კომისარი, უკანასკნელი კი იმ დღეს ადგილზე არ იყო. რაზმმა, იმის ეჭვით, რომ კომისარი განზრახ დაიმალა, ცეცხლი წაუკიდა სახლს, რომელშიაც კომისარი ცხოვრობდა. სახლი კი ნაქირავები იყო. ის ეკუთვნოდა დიმიტრი რაზმაძეს". (ფურც. 3).

## 19. 1918 წ. არა უგვიანეს 20 ივნისისა. საქართველოს ჯარების მომარაგების სამმართველოს დავალებათა გენერლის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გერმანელთა სარდლობისათვის 24 ცხენის მიგვრის შესახებ.

საქართველოს ჯარების მომარაგების მთავარი უფროსის დავალებით გთხოვთ დახმარებას, რათა რეკვიზიციით ან რაიმე სხვა გზით გერმანელთა სარდლობას მივჰგვაროთ ოცდაოთხი (24) ცხენი საარტილერიო ტიპისა. ამ საკითხის გამო თქვენი განკარგულების შესახებ გთხოვთ ნუ დაიზარებთ და აცნობეთ

მომარაგების მთავარ უფროსს გენერალ ბენაევს. დავალებათა გენერალი პოლკოვნიკი კვინიხიძე.

ფ. 11, ს. 515, ფურც. 65. უნომროდ.

### 20. 1918 წ. ივნისის 22. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიმართვა გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის კაპიტან ეჰან ფონ-კრიგერისადმი აღნიშნული კომისიის მოხელის კრელის თვითნებური მოქმედების შესახებ სამტრედიაში, № 7010.

ეს-არის მივიღე მომარაგების კომიტეტის სამტრედიის განყოფილების თავმჯდომარის გოგოლაძის დეპეშა, რომლითაც ის მატყობინებს, რომ ამა წლის 21 ივნისს მასთან გამოცხადდა გერმანიის სამხედრო კომისიის მოხელე და, წარუდგინა რა თქვენს მიერ ხელმოწერილი მანდატი, განუცხადა, რომ მას, ბატონ კრელს, ნაბრძანები აქვს აღრიცხოს წითელი ჯვრის ქონება სამტრედიაში და ეს ქონება მიიღოს გერმანიის ჯარების მთავრობის ქვეშ.

ვფიქრობთ რა, რომ ამ შემთხვევაში მოხდა გაუგებრობა, ვინაიდან შეთანხმების ხელშეკრულება, დადებული გერმანიასა და საქართველოს შორის, არ ითვალისწინებს ამგვარ საკითხებს, გთხოვთ ახსნა-განმარტებას ამ საქმის გამო.

ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, გთხოვთ, ბ-ნო კაპიტანო, მიიღოთ რწმუნება ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემისა. მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი.

ფ. 24, ს. 100, ფურც. 8.

### 21. 1918 წ. ივნისის 22. ცნობიდან — წითელი გვარდიის შტაბის წევრებზე ორი გერმანელი ჯარისკაცის თავდასხმის შესახებ.

„20 ივნისს, ღამით, ავტომობილს, რომლითაც წითელი გვარდიის შტაბის წევრები მიემგზავრებოდნენ ხანძრის [1] ადგილზე

[1] ხანძარი იყო 20/VI ღამით. იწვოდა საინტენდანტო საწყობი დიდუბეში.

დიდუბეში, თავს დაესხა ორი... უცნობი, გერმანელი ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი. ხულიგნები გალეშილები იყვნენ. ისინი დააპატიმრეს წითელგვარდიელებმა და წარადგინეს გერმანელთა შტაბში".

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 99.

### 22. 1918 წ. ივნისის 27. ცნობიდან — საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანიასთან გერმანიის დელეგაციის საუბრის შესახებ.

„თბილისში ჩამოსული ავსტრიელი, გერმანელი და ბულგარელი ოფიცრები 25 ივნისს გენერალ ფონ-კრესის მეთაურობით ეწვივნენ მთავრობის თავმჯდომარეს და ჰქონდათ მასთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი. გენერალ ფონ-კრესმა, შეეხორა საქართველოში გერმანიის ჯარების ყოფნის საკითხს, სთქვა, რომ, როგორც მას ესმის, ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში, ამავე დროს კი გერმანიის ჯარები მოვიდნენ აქ მხოლოდდამხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმად. მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ თავის მხრივ შენიშნა, რომ საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება—გაუგებრობაა..."

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 102.

### 23. 1918 წ. ივნისის 28. ცნობიდან — გერმანიის დელეგაციის „პატივსაცემად" მთავრობის მიერ მოწყობილი ბანკეტის შესახებ.

„გუშინ, საღამოს, ახალ კლუბში საქართველოს მთავრობის მოპატიჟებით შესდგა ბანკეტი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის

და ბულგარეთ-თურქეთის დელეგაციების პატივსაცემად. დაესწრნენ ამ დელეგაციათა ყველა წევრი, გარდა ფონ-ეჰანკრიგერისა, რომელიც ავად გახდა, გრაფი შულენბურგი, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები, დელეგატები პოლონელთა, გერმანელთა ეროვნული საბჭოებისა და სხვ[ები], სულ 300 კაცი.

ნ. ნ. ჟორდანიამ წარმოსთქვა მისალმება ფრანგულ ენაზე. მოკლე სიტყვით მოხაზა რა საქართველოს ისტორია, ორატორმა აღნიშნა, რომ ქართველები გაცემული სიტყვის ერთგულნი არიან. საქართველო ყველაზე ხანგრძლივად იყო რუსეთთან, მაგრამ როდესაც ძალაუნებურად მოუხდა ორიენტაციის შეცვლა, მან აირჩია გერმანიის ორიენტაცია, რომელიც ყველაზე მეტად აღგვითქვამს ბრწყინვალე მომავალს.

ყველა ოთხივე დელეგაციის სახელით ფრანგულ ენაზევე უპასუხა გენერალმა კრესმა. წარმოსთქვა რა მადლობის სიტყვები თავაზიანი მიღებისათვის, გენერალმა აღნიშნა, რომ გერმანიას, რომელმაც საქართველოს თხოვნით გაუწოდა მას დახმარების ხელი ქვეყანაში ანარქიის აღმოსაფხვრელად, სურს შეინარჩუნოს კეთილი ურთიერთობა და იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას რომ არა მარტო ოფიციალური წრეები, არამედ მთელი ხალხიც განიმჭვალოს მეგობრობის გრძნობით გერმანელებისადმი..

სიტყვები ქართულ ენაზე წარმოსთქვეს გეორგაძემ და ბარათაშვილმა. უკანასკნელმა სთქვა, რომ შეტაკების დროს ბორჩალოს მაზრაში ერთად დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო განამტკიცებს გერმანელთა და ქართველთა მეგობრობას“.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 103.

### 24. 1918 წ. ივნისის 28. ცნობა გერმანიის საწარმოების დაბრუნების შესახებ.

თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა, მთავრობამ დაადგინა გააუქმოს ჰილზენკირხენის მარგანეცის მრეწველობის საზოგადოებისა და კავკასიის სამთამადნო საზოგადოების საქმეთა განსაკუთრებული სამმართველო და გადასცეს ეს საწარმოები მათს მფლობელებს—გერმანელებს.

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 129.

### 25. 1918 წ. ივლისის 8. ცნობიდან — გერმანიაში მარგანეცის გატანის შესახებ.

„ამჟამად [ქ. ფოთში] ხდება გერმანიის ორი ტრანსპორტის დატვირთვა მარგანეცით. ერთი მათგანი იტევს დაახლოებით 150 ათას ფუთ მარგანეცს, მეორე—დაახლოებით 350 ათას ფუთს...

მოლაპარაკება ნავსადგურის მუშებსა და გერმანიის წარმომადგენლებს შორის არ დამთავრებულა და კვლავ გრძელდება. საბოლოო შეთანხმებამდე ჯერჯერობით მიღწეულია შემდეგი: მუშები დატვირთვისა ან გადმოტვირთვისათვის თითოეულ 1000 ფუთზე იღებენ 20 მანეთს".

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 106.

### 26. 1918 წ. ივლისის 7. სტატიიდან — „სევდიანი ნატვრა „ულმობელი ძლიერი ხელისა"".

„ამიერკავკასიის გერმანელთა ეროვნული საბჭოს ორგანო „Kaukasische Rost" უფროდაუფრო მბრძანებლურ კილოს იღებს.

29 ივლისის № 32 გაზეთს, ლაპარაკობს რა აჯანყებების შესახებ დუშეთისა და ბორჩალოს მაზრებში, საეჭვოდ მიაჩნია, რომ

საქართველოს მთავრობა საკუთარი საშუალებებით შესძლებს ბოლო მოუღოს ექსცესებს; გაზეთი ფიქრობს, რომ ქართველ ხალხს უნდა მოუსწროს „ულმობელი ძლიერი ხელის“ დახმარებამ. თუ ვინ უნდა განაგებდეს ამ „ულმობელ ხელს“, ნათლად შეიძლება დავინახოთ მოწინავე სტატიიდან, რომელსაც ეწოდება „საქართველოს შინაური მდგომარეობის საკითხისათვის“.

მიუთითებს რა, რომ ქვეყნის მართვა ძნელი და პასუხსაგები ამოცანაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ანარქია აჩანაგებს, გაზეთი აყენებს საკითხს:

„შეგნებული აქვთ თუ არა ეს ქართველი ხალხის ახლანდელ ხელმძღვანელებს! სჯერათ მათ თუ არა, რომ ისინი ნამდვილად შესძლებენ თავიანთ სამშობლოში სიწყნარის, წესრიგის და ახალი ცხოვრების დამყარებას?“

გაზეთის აზრით, ქართველი ხალხის ბელადებს სრულიადაც არ შეუძლიათ ეს...

რაც შეეხება „ქვეყნის მართვის პასუხსაგები ხელოვნების“ მატარებელთ, ასეთებს ჯოჯოხეთი უფრო ადრე მოგვცემსო, ვიდრე სოციალ-დემოკრატიული პარტია.

„სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფანატიკური მიმდევრობა ჯერ კიდევ არავის აქცევს სახელმწიფო მოღვაწედ, და ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ხალხის უბრალო ბელადი, რევოლუციური ტალღის ქოჩორზე ასული, გახდეს ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე. დიდია ხალხის ის ბელადი, რომელიც დროზე შეჩერდება და იტყვის: სახელმწიფო მოღვაწედ მე არ ვვარგივარ“.

სცნობს რა სოციალ-დემოკრატებს პოლიტიკურ დილეტანტებად, გაზეთი მათ შორის ვერ პოულობს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც გააჩნდეთ ენერგია, ცოდნა, გამოცდილება და სამშობლოსადმი სიყვარული.

„საქართველოს მთავრობა არ უნდა იყოს პარტიული მთავ-

რობა! დღემდე საქართველოს ტვირთად აწევს პარტიული მთავრობის უღელი, რომელიც ძველი რეჟიმის უღელზე უფრო მძიმეა. ეს მთავრობა მხოლოდ პარტიის კეთილდღეობას იცავს. მთელი ქართველი ხალხისათვის ყოველივე ამას ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ვინაიდან ჭეშმარიტ პატრიოტებს ამ მთავრობის ხელში არ შეუძლიათ თავის გამოჩენა“[1]...

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 111.

## 27. 1918 წ. ივლისის 10. კოდის კომისრის მჭედლიშვილის მოხსენება თბილისის მაზრის კომისრისადმი გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ სოფ. კოდის მცხოვრებთა განიარაღების შესახებ, № 600.

გატყობინებთ, რომ 10 ამა ივლისს, დილის 10 საათზე, სოფელ ასურეთიდან მოვიდა გერმანელი ოფიცერი თავისი ჯარისკაცებითურთ და ქართული პოლკის ერთი გერმანელი ოფიცერი გერმანელ ჯარისკაცებითურთ.

სულ დაახლოებით 50 კაცი, შეიარაღებულნი თოფებითა და ტყვიამფრქვევებით, და განუცხადეს საზოგადოებას, რომ თუ ვინმე არ მოიტანს და არ ჩაგვაბარებს იარაღს, მთელ სოფელს დავანგრევთო. მცხოვრებლებმა ყველამ ნებაყოფლობით ჩააბარეს 150 ცალი თოფი ვაზნებითურთ, შემდეგ თვით ჯარისკაცები შეუდგნენ სახლების ჩხრეკას და წაიღეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ, სახელდობრ: ხანჯლები, დანები. ხანჯლები უმთავრესად ვერცხლით იყო მოჭედილი. სოფ[ელში] ზოგიერთ ქალებს შეეშინდათ და გაიქცნენ; ამ ქალებს სცემეს. კოდის კომისარი ზაქარია მჭედლიშვილი.

ფ. 28., ს. 206, ფურც. 25.

---

[1] ეს და სხვა ადგილები მოყვანილია „Kaukasische Post“-იდან.

## 28. 1918 წ. ივლისის 11. ცნობიდან — თბილისში გერმანელთა ყოფნის შესახებ.

„როგორც ვიცით, ლეიტენანტ ფონ-კაიზერმა, ჩქარა თბილისში მოსვლის შემდეგ, გამოაცხადა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა გერმანელი სამხედრო ტყვის და სამხედრო ვალდებულის მობილიზაცია.

ამჟამად, სარწმუნო ცნობებით, ფონ-კაიზერის მიერ ჩამოყალიბებულია რაზმი რიცხვით 1000 კაცამდე, რომელთა რიცხვში შედიან როგორც ზემოდასახელებული სამხედრო ვალდებულნი და სამხედრო ტყვეები, ისე ბათომიდან ჩამოსული გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი. რაზმი ტანსაცმელითა და იარაღით მომარაგებულია 1-ლი ქართული კორპუსის საწყობიდან და თითქოს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში იმყოფება. რაზმი ასრულებს რკინიგზისა და ზოგიერთი სასაზღვრო პუნქტის დაცვის სამსახურს...

3 ივნისს მოვიდა გერმანელთა მცირე სამხედრო ნაწილი.

10 რიცხვს, დღის 3 საათზე, ფოთიდან მოვიდა გერმანელთა ეშელონები, რიცხვით 1000 კაცზე მეტი. ეშელონის შემადგენლობაში შედიან მსროლელები, მოიერიშე ჯგუფები, მფრინავები, ბომბდამშენები და სხ. უახლოეს დღეებში თბილისში მოელიან ეშელონების დიდ რაოდენობას იარაღით, საჭურველით და სანიტარული ქონებით. ყველაფერი ეს მოვა ფოთიდან, სადაც ხდება გადმოტვირთვა გერმანიის გემებიდან. ფოთშივე დგას გერმანიის წყალქვეშა ნავების ფლოტილია".

გაზ. „ბორბა", 1918 წ. № 90. იგივე გაზეთი, 22 ივნისს № 73-ში, იტყობინებოდა: „თბილისში გამოცხადებულია გერმანიის ქვეშევრდომთა „რეგისტრაცია" 17 წლიდან 45 წლის ასაკამდე. ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ გერმანელები ბატონპატრონობენ ამიერ-კავკასიაში ისე, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში".

## 29. 1918 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 1. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ თბილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ [და] ამოცანად აქვთ საქართველოს მთავრობის სრული თანხმობითა და მითითებებით დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები.

ამ ჯარების ნაწილი უკვე გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში მის გასაწმენდად ავაზაკთა ბანდებისაგან.

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 92.

## 30. 1918 Წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 15. ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ.

გატყობინებთ, რომ თეთრი წყაროს რაიონში გერმანელებმა, სოფელ ასურეთის მცხოვრებლებმა, 25 კაცის შემადგენლობით, 15 გერმანელი ჯარისკაცისა და ერთი გერმანელი ლეიტენანტის თანხლებით, განაიარაღეს რამდენიმე სოფელი თეთრი წყაროს რაიონში; ამასთან განიარაღებისას გლეხების მიმართ იღებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს: ქალებსა და მამაკაცებს როზგებით სცემდნენ და სისხლს ადენდნენ, კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. გლეხობა ტერორიზებულია. იყო მილიციელების განიარაღების რამდენიმე შემთხვევა. გერმანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს ადმინისტრაციას და აცხადებენ, რომ თვითონ ისინი კარგად დაამყარებენ წესრიგს ჩვენში. მიუხედავად ჩემი არა ერთგზის თხოვნისა, მითხრას, თუ რა საფუძველზე ახდენენ

ისინი გლეხების განიარაღებას და სცემენ მათ, გერმანელმა ოფიცერმა განაცხადა, რომ ისინი მოქმედებენ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და ამის შესახებ ყველამ იცის. თვით მე ვიყავი მოწამე იმისა, თუ როგორ სცემდნენ გერმანელები იარაღის დამალვისათვის გლეხებს იქამდე, რომ ისინი უგრძნობლად ეცემოდნენ მიწაზე. მე შემატყობინეს, რომ იყო შემთხვევები, როცა ნაცემი გლეხები ვერ უძლებდნენ ასეთ წამებას და კვდებოდნენ. ამის გამო ჩემს რაიონში მდებარე განაპირა სოფლების გლეხები აღშფოთებული არიან გერმანელთა ასეთი საქციელით და მათ განაცხადეს, რომ იარაღით დაიცავენ თავიანთ ღირსებასა და თავისუფალი მოქალაქის სახელს; გთხოვთ, დიდი ექსცესების თავიდან ასაცილებლად, მიიღოთ სასწრაფო ზომები გლეხთა განიარაღების ასეთი ბარბაროსული წესების აღსაკვეთად.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ გერმანელებმა ორშაბათს, 15 ივლისს, უნდა განაიარაღონ ჩემს რაიონში სოფლები: ხატის თელეთი, მუხრან თელეთი, წალასკური და საღანლუღი. თბილისის მაზრის საგარეთუბნო რაიონის კომისრის მოვალეობის აღმსრულებელი...

ფ. 28, ს. 206, ფურც. 24. საგარეთუბნო რაიონის კომისრის მოვალეობის აღმსრულებლის ხელმოწერა გაურკვეველია.

**81. 1918 წ. ივლისის 18. თბილისის გუბერნიის კომისრის მოხსენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ბორჩალოს მაზრასა და თეთრი წყაროს რაიონში გერმანელთა თარეშის შესახებ, № 8806.**

გაცნობებთ, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანიის სამხედრო ნაწილების დანიშნულების და ჩვენი ადმინისტრაციული პირებისადმი მათი პრეტენზიების გა-

სარკვევად, რომ მათთან შეთანხმებისა და მათთვის შეტყობინების გარეშე არ მოხდეს მოსახლეობის განიარაღება. აღვნიშნავ კონკრეტულ მაგალითს: ბორჩალოს მაზრაში ობერ-ლეიტენანტმა ადოლფ რეიტერმა გერმანელი ჯარისკაცების რაზმის თანხლებით, მოახდინა ძალადობითი ზეგავლენა მაზრის კომისარ გეგელაშვილზე და აიძულა უკანასკნელი გაენთავისუფლებინა სოფლის კომისრის დაპატიმრებული თანაშემწე. ჩემგან დირექტივის მიღების შემდეგ, რომ ასეთი მოვლენა არ დაეშვას, კომისარმა გეგელაშვილმა განუცხადა ობერ-ლეიტენანტს გაიყვანოს რაზმი და საშუალება მისცეს მას უხელშძლვანელოს მაზრას. მაგრამ ობერ-ლეიტენანტმა მხოლოდ აღუთქვა, ნამდვილად კი გერმანელთა 16 ჯარისკაცი იმყოფება სოფლის იმ კომისრის განკარგულებაში, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული, როგორც პროვოკატორი, რომელიც სომხებს აქეზებს თათრების წინააღმდეგ. ამასთან გეგელაშვილს გამოუცხადეს, რომ მან გერმანელთა ნაწილებთან შეთანხმების გარეშე არავინ განაიარაღოს.

ანალოგიური მდგომარეობაა თეთრი წყაროს რაიონშიც. გთხოვთ ერთხელ და სამუდამოდ გაგვიმარტოთ, როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში. გერმანელ სამხედრო პირთა მოქმედება ხელს უშლის კომისართა დანიშნულების შესრულებას, შექმნილი პირობების გამო კომისრები უარს აცხადებენ მუშაობაზე. გუბერნიის კომისარი [ჯაფარიძე].

ფ. 28, ს. 206, ფურც. 1. შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხი საქმეში არ არის (იხ. შემდეგი დოკუმენტი).

## 82. 1918 წ. ივლისის 18. გერმანიის დელეგაციის უფროსის მიმართვა საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი შულავერიდან საქართველოს ჯარების რაზმის გამოწვევის შესახებ, № 1212.

თქვენო აღმატებულებავ. ჩემს მიერ მიღებულ მოხსენებების თანახმად შულავერში იმყოფება საქართველოს ჯარების რაზმი, რიცხვით დაახლოებით 100 კაცი, რომელიც ხელს არ უწყობს ქვეყანაში სიმშვიდის დამყარებას და წესრიგის აღდგენას იმ ზომით, რაც სასურველია. როგორც მე მატყობინებდნენ, იყო ცალკეული შემთხვევებიც კი, როცა თითქოს სოფლების განიარაღებისას ჩამორთმეულ შაშხანებს ჯარისკაცები ყიდდნენ ისევ თათრებზე.

ვფიქრობ, რომ ქვეყნის დამშვიდებისა და იმ საქმის ინტერესისათვის, რასაც ჩვენ ორთავე ვემსახურებით, მე უფლება არ მქონდა დამემალა ეს სრულიად სარწმუნო მოხსენება თქვენი ალმატებულებისათვის, და თავს ნებას მივცემ მივაქციო თქვენი ალმატებულების ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა ასწონ-დასწონოთ საკითხი შულავერიდან აღნიშნული რაზმის გამოწვევის შესახებ. ვთხოვ თქვენს ალმატებულებას მიიღოთ რწმუნება ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემისა. გენერალ-მაიორი ფონ-კრესი.

ფ. 12, ს. 2, ფურც. 254. დედანზე ფონ-კრესის ხელმოწერა—ავტოგრაფი.

## 83. 1918 წ. ივლისის 19. თბილისის გუბერნიის კომისრის განმარტება ბორჩალოს მაზრის კომისრისადმი ამ უკანასკნელის შეკითხვის გამო „მაზრაში გერმანელთა რაზმის მოქმედების" შესახებ, № 8822.

ბორჩალოს მაზრაში გერმანელთა სამხედრო რაზმის მოქმედების შესახებ საჭიროდ მიმაჩნია მიგითითოთ, რომ მაზრის მართვა-გამგეობის ყველა თქვენი სამსახურებრივი მოქმედება

[თქვენ] უნდა შეასრულოთ სრულიად დამოუკიდებლად და მხოლოდ უაღრესი საჭიროების დროს შეგიძლიათ მიმართოთ ხელისშეწყობისათვის გერმანელთა ზემოაღნიშნულ სამხედრო რაზმს. რაც შეეხება მოსახლეობის განიარაღებას, გერმანელთა სამხედრო რაზმს უფლება აქვს მოახდინოს ეს განიარაღება დამოუკიდებლად; თუ თქვენ პირადად საჭიროდ დაინახავთ ჩატარებულ იქნას რომელიმე სოფლის განიარაღება, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ეს გერმანელთა აღნიშნული რაზმის თანხმობით. გუბერნიის კომისარი [ჯაფარიძე].

ფ. 28, ს. 206, ფურც. 2. გერმანელთა რაზმი ბორჩალოს მაზრაში გაიგზავნა მენშევიკური მთავრობის თანხმობით გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

## 84. 1918 წ. ივლისის 19. გერმანიის დელეგაციის უფროსის მიმართვიდან საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი იმის მოთხოვნით, რომ გერმანელ ჯარისკაცებს საქართველოში მოეპყრან გერმანიის კანონების მიხედვით, № 1250.

„[19]18 წ. 16 ივლისს საღამოს ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა შეურაცხჰყო ქართველი ოფიცრის ორი მანდილოსანი მით, რომ შეეცადნენ ერთი მანდილოსანისათვის მკლავში გაეყარათ ხელი, ხოლო მეორისათვის ნიკაპზე მოეკიდათ ხელი. ადგილობრივი მაგარი ღვინის უჩვეულო ხმარება შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი (?) ამ სრულიად დაუშვებელი საქციელისა... ვინაობის გამოსარკვევად ორთავე ჯარისკაცი დაპატიმრებულ და გადაგზავნილ იქნა კომისარიატში მილიციის მიერ; შეეცადნენ აგრეთვე ჩამოერთვათ მათთვის ხიშტები.

თავს ნებას მივცემ უმორჩილესად წარვუდგინო წინადადება თქვენს აღმატებულებას, რომ შემდეგში ასეთ ხერხებს ნუ მიმართავთ, არამედ ამგვარ შემთხვევებში გერმანელ ჯარისკაცებს მოეპყრათ ისე, როგორც ამას მოითხოვს გერმანიის კანონები...

მაქვს პატივი დაველოდო თქვენს პასუხს. გენერალ-მაიორი ოტტო ფონ-კრესი.

ფ. 12, ს. 2, ფურც. 275. დედანზე ფონ-კრესის ხელმოწერა—ავტოგრაფი.

### 85. 1918 წ. ივლისის 20. ცნობიდან — ფინანსთა სამინისტროში შემდგარ თათბირზე საქართველოდან გერმანიაში ნედლეულის გატანის შესახებ.

„ფინ[ანსთა] მინ[ისტრის] ამხ. გ. ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი იმ საქონელთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების საკითხის შესახებ, რომელთა გატანა შეიძლება საქართველოდან გერმანიაში. გასატანად პირველ რიგში გათვალისწინებულია თამბაქო, სპილენძი, მარგანეცი, ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხე-ტყე და ა. შ... ამასთანავე გერმანიას მიენიჭება საქართველოდან ყველა ჩამოთვლილი საქონლის გატანის უპირატესობა“.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ. № 122.

### 86. 1918 წ. ივლისის 31. ცნობა — ქ. ქუთაისში გერმანელთა სამხედრო ნაწილის მოსვლის შესახებ.

ქუთაისში მოვიდა გერმანელთა სამხედრო ნაწილი, აღჭურვილი ტყვიამფრქვევებითა და თვითმფრინავებით.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ. № 131.

### 87. 1918 წ. ივლისის 31. საქართველოს რკინიგზების უფროსის ტელეფონოგრამა გერმანიის დელეგაციისადმი გერმანიის დელეგაციის დაუსაბუთებელი „საჩივრის“ შესახებ, № 8684.

ტელეფონით გამოძახებაზე პასუხის გაუცემლობისა და მატყლის დასატვირთავად ვაგონების მოუწოდებლობის გამო დელეგაციის ერთ-ერთი წევრის მიერ გამოთქმული უკმაყოფილე-

ბის გარეშემო პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ აქამდის ყველა მოთხოვნა მატარებლებში ცალკე ადგილების მიჩენისა და აგრეთვე სამგზავრო და საქონლის ვაგონების გამოყოფის შესახებ მოძრაობის სამსახურის მხრივ სრულდებოდა რიგ გარეშე და ულაპარაკოდ. ამიტომ საჩივარი გერმანიის მისიის ამა თუ იმ მოთხოვნათა შეუსრულებლობაზე კონკრეტული შემთხვევების დაუსახელებლად ნაკლებად შეიცავს ჭეშმარიტებას. ასე, მაგალითად, სიმართლეს არ შეესაბამება 29 ივლისს დილით გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს ყარაიაზში ვაგონები არ იქნა ჩამოყენებული, ფაქტიურად ვაგონები №№ 613176, 601140, 672452 და 334412 ჩამოყენებულ იქნა ყარაიაზში ჯერ კიდევ 27/VII-ს და უკვე 28/VII-ს მატყლით იქნა დატვირთული, შემდეგ, არ არის მატყლი მოზიდული სადგურ სანდარაში, სადაც ვაგონები ჩამოყენებულია ჯერ კიდევ 28/VII-ს. რაც შეეხება ტელეფონით გამოძახებაზე პასუხის გაუცემლობას, ეს უნდა ავხსნათ მხოლოდ მით, რომ უკანასკნელი 3—4 დღის განმავლობაში გაფუჭებულია ტელეფონები. საერთოდ ქალაქის სატელეფონო ქსელი ხშირად არ მუშაობს და მოძრაობის სამსახურს საშუალება არ აქვს აწარმოოს სამსახურებრივი მოლაპარაკება ტელეფონით ვისთანაც არ უნდა იყოს. გზათა უფროსი ინჟინერი ა. კანდელაკი.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 4. დოკუმენტებზე შავი ფანქრით წარწერილია რეზოლუცია: „კანც. ის, რაც სატელეფონო ქსელის უწესივრობას ეხება, აცნობეთ შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებისათვის 1/VIII". ხელმოწერა გაურკვეველია. იმავე ხელით ტექსტში ხაზგასმულია: „მისიის... ნაკლებად შეიცავს ჭეშმარიტებას".

**38. 1918 წ. აგვისტოს 8. ალგულალის რაიონის კომისრის მოხსენება თბილისის გუბერნიის კომისრისადმი ადგილობრივი გერმანელების მიერ გერმანელი ოფიცრის ხელშეწყობით გლეხების ხორბლის თვითნებური კონფისკაციის შესახებ.**

1 აგვისტოს 1918 წელს ადგილობრივმა ნემცებმა ასურეთის საზოგადოებისა სოფელ ბოგვში ძალით მოაგროვეს ხორბალი 60 ფუთი და უბრძანეს გლეხებს თავისი ურმით ჩაეტანათ ასურეთში, ამ დროს მე მოუსწარ, დავაკავე მთელი ეს ხორბალი, დავაწყვე ბოგვის კანცელარიაში და კანცელარია დავბეჭდე. ერთი საათის შემდეგ მოუვიდა მცხოვრებლებს ვიღაც ლეიტენანტიდან ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ ჩატანილი იქნას 60 ფუთი ხორბალი, უკიდურეს შემთხვევაში მთელს სოფელს გავანადგურებთო. ვინაიდგან ხალხი მათგან არა ერთხელ დარბეულა, რასაც ნათლად ღაღადებენ ოქმები მათგან წარმოდგენილი, მთხოვეს შუამდგომლობა თქვენს წინაშე, დაიფაროთ გლეხები მათ აწიოკებისაგან და დასახელებული 60 ფუთი ხორბალი საქმის სრულიად გამორკვევამდე დარჩეს კანცელარიაში, სადაც ეხლა იმყოფება. ალბულაღის რაიონის კომისარი ან. ჟღენტი.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 6. დოკუმენტზე არის რეზოლუცია: „გარეშე საქმეთა სამინისტროს შესაფერი განკარგულებისათვის. ეთხოვნოს ჩვენგან დახმარება. 3/VIII 918 წ.“.

**39. 1018 წ. აგვისტოს 4. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის დეპეშა გორიდან თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გორში გერმანელთა ეშელონის მოსვლის შესახებ, № 216.**

დღეს, 4 აგვისტოს, გორში მოვიდა გერმანელთა ჯარების ერთი ეშელონი. კიდევ მოდის ორი ეშელონი რიცხვით დაახლოებით 1300 კაცი. ხვალისათვის, 4 აგვისტოსათვის, დილის



დოკ. № 38.

თერთმეტ საათზე გერმანელთა მიერ დანიშნულია...[1]. წინასწარ გთხოვთ სათანადო განკარგულებას მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელის გამოგზავნის შესახებ. მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი მაისურაძე. მაზრის კომისარი გაგუა. გორის ქალაქის თავი რობაქიძე.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 8. დოკუმენტზე კანცელარიის უფროსის აღნიშვნა: „სასწრაფოდ მოხსენდეს გუბერნიის კომისარს" (ხელმოწერა გაურკვეველია).

### 40. 1918 წ. აგვისტოს 7. მაზრის კომისრის ა. გეგელაშვილის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გერმანელთა ძალადობის შესახებ, № 165.

გერმანელები განაგრძობენ სოფლების დაბეგვრას ფულით, რაც იწვევს დრტვინვას. ნება დამრთეთ მოვიდე მანდ, ანდა გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა გერმანიის მისიის საშუალებით ებრძანოს გერმანელებს არ ჩაერიონ ჩემს საქმეში. მაზრკომი ა. გეგელაშვილი.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 16. დოკუმენტზე არის რეზოლუცია: სასწრაფოდ დღესვე ასლები წარედგინოს განკარგულებისათვის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს. 8/VIII 1918 წ.". ხელმოწერა გაურკვეველია.

### 41. 1918 წ. აგვისტოს 8. „განცხადების ოქმი", შედგენილი თეთრი წყაროს საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარის მიერ იმის შესახებ, რომ გლეხების მოსავლის ნაწილს ძალით უყვეს კონფისკაცია, გერმანელი ჯარისკაცების დახმარებით.

1918 წ. აგვისტოს 8 დღესა, თეთრი წყარო. ჩემთან, ბორჩალოს საადგილმამულო მიმღები კომისიის თავმჯდომარე ა. ს. წერეთელთან, გამოცხადდნენ კოსალარის სოფლის საზოგა-

[1] გამოტოვებულია დოკუმენტში.

დოების კომისარი ორუჯ მუსაევი და ამ სოფლის მცხოვრები ის-
მაილ ბუდაგოვი და განაცხადეს, რომ აგარაკ ანდრიაზე თავად
ორბელიანის მამულის კონფისკაციის შემდეგ და ამ მამულში
პურის მოსავლის აღებისას მათთან სოფელში გამოცხადდა სო-
ფელ არუხლოს მცხოვრები მოლა ფაშა ელაზ ოღლი ექვსი გერ-
მანელი ჯარისკაცის თანხლებით და ძალით წაართვა მამულით
მოსარგებლეებს მოსავლის ერთი მეოთხედი, ანგარიშით პურის
2.600 ძნაზე მეტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომისარმა მუ-
საევმა დააკავა[1] ერთი ათას ორასი ძნა საადგილმამულო კო-
მიტეტის სასარგებლოდ, და ახლა ინახება მასთან კომიტე-
ტის განსაკუთრებულ განკარგულებამდე. სოფელ კოსალა-
რის მცხოვრებთა მიერ გამოყენებული ყველა მიწების მოსავალი
ანგარიშით შეადგენდა ათიათას ორას (10.200) ძნას, რომლი-
საგანაც საადგილმამულო კომიტეტს ერგებოდა 1020 ძნა. გა-
ნაცხადა რა ეს, კომისარი ითხოვდა მითითებას, თუ როგორ
მოიქცეს მომავალში. ამასთანავე დაუმატა, რომ ამდენივე უნ-
და მიგვეღო სოფელ დაღეთ-ხაჩინის მცხოვრებთაგან — არშაკ
და ვართაზარ ნერსესოვებისაგან, რადგან მათაც ჰქონდათ
ნათესები ამ მამულში, რომლებმაც არავის არაფერი მისცენ
და მთელი მოსავალი სახლში წაიღეს.

დავადგინე: მოთხრობილი ჩაწერილ იქნას ამ ოქმში და ამის
შესახებ მოხსენდეს გერმანიის საადგილმამულო კომიტეტს.
დედანს აქვს სათანადო ხელმოწერები.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 76.

---

[1] ასე სწერია დოკუმენტში.

**42. 1918 წ. აგვისტოს 11. ბორჩალოს მაზრის სოფელ კასუმლოს საზოგადოების რწმუნებულების „განცხადების ოქმი“, შედგენილი ბორჩალოს მაზრის კომისრის თანაშემწის მიერ აღნიშნულ სოფელში გერმანელ ოფიცერთა თარეშის შესახებ.**

ჩემთან, ბორჩალოს მაზრის კომისრის თანაშემწე ლოლობერიძესთან, გამოცხადდნენ ბორჩალოს უბნის სოფელ კასუმლოს საზოგადოების რწმუნებულები: ისმაილ შამილ-ოღლი, ვიალი მაგარამ-ოღლი და სულეიმან მოჰამედ-ოღლი და განაცხადეს, რომ მათთან ერთი კვირის წინათ გამოცხადდა გერმანელი ოფიცერი ჯარისკაცების რაზმის თანხლებით და საზოგადოებას ჩამოართვა 65 ფუთი ხორბალი, რის გატანას აპირებს დღეს ფულის გადაუხდელად. გარდა ამისა საზოგადოებისაგან მოითხოვს ცხრა ათას მანეთს ჯარიმის სახით. რწმუნებულებმა ითხოვეს, რათა მიღებულ იქნას ჯეროვანი ზომები. დავადგინე: მოთხრობილი ჩაწერილ იქნას ამ ოქმში. შინაარსი ამისა მე წამიკითხეს და მოვისმინე: ისმაილ შამილ-ოღლი, ვიალი მაგარამ-ოღლი, სულეიმან მოჰამედ-ოღლი. ბორჩალოს მაზრის კომისრის მოადგილე ლოლობერიძე.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 19. საზოგადოების რწმუნებულთა ხელმოწერა დოკუმენტში თათრულ ენაზეა.

**43. 1918 წ. აგვისტოს 12. ცნობა ქალაქ ფოთში გერმანელების მიერ რადიოსადგურის მოწყობის შესახებ.**

უკვე დამთავრებულია გერმანელთა მიერ რადიოსადგურის მოწყობა სახელოსნო სასწავლებლის ახლოს და მომავლისათვის საჭირო აღარ არის ფოთში საოკეანო გემების „გენერალისა“ და „კორკოვადოს“ რესტაციონირება. ამ გემებზე მოწყობილი იყო რადიოსადგურები, რომელთა საშუალებით ამყარებდნენ კავშირს. ეს გემები გერმანიის გემებთან „ტიგრისთან“ (საბარგო-

სამგზავრო), „არარატთან“, და „მანაგორთან“ (საბარგონი— მარგანეცის გადასაზიდად) ერთად მალე დაიწყებენ შავ ზღვაზე სწორ მიმოსვლას. ახლო მომავლისათვის განზრახულია გემების რიცხვის გადიდება.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 141.

**44. 1918 წ. აგვისტოს 18. სარვანის სოფლის კომისრის ახმედ ბადალ-ოღლის დეპეშა შულავერიდან თბილისის გუბერნიის კომისრისადმი იმის შესახებ, რომ გერმანელთა რაზმი მოითხოვს 150.000 მანეთის გადახდას გერმანელი კოლონისტების სასარგებლოდ.**

გერმანელთა რაზმი, რომელიც მოვიდა სოფელ სარვანში,[1] მოითხოვს კოლონისტების სასარგებლოდ 150.000 მანეთის გადახდას სამი საათის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება მთელი სოფლის გადაწვით. მოსახლეობა არ არის. უმორჩილესად გთხოვთ დაგვიცვათ ძალადობისაგან. [საქმე] შეაჩერეთ გამორკვევამდე. სოფლის კომისარი ახმედ. ბადალ-ოღლი.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 10. დოკუმენტზე არის გუბერნიის კომისრის რეზოლუცია: „ასლი სასწრაფოდ გადაიგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროში“ (ხელმოწერა გაურკვეველია).

**45. 1918 წ. აგვისტოს 22. გერმანიის დელეგაციის მიმართვიდან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი გაფუცული მუშების წინააღმდეგ „ენერგიული ზომების“ მიღების გზით ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების გადიდების აუცილებლობის შესახებ, № 1920.**

„ბატონო მინისტრ-თავმჯდომარევ! უკვე რამდენიმეჯერ მქონდა პატივი ზეპირად და წერილობით, ჩემი სპეციალისტების მოხსენებათა გადმოგზავნის მეშვეობით, მიმექცია თქვენი ალ-

---

[1] ბორჩალო.

მატებულებისა და საქართველოს მთავრობის ყურადღება იმ დიდ მნიშვნელობაზე, რაც, როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით აქვს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში ქვანახშირის მოპოვების გადიდებას... ჩემი სპეციალისტებისა და მაღაროების გამგეობის აზრით, ქვანახშირის მოპოვება შეიძლებოდა იმდენად გაგვედიდებინა, რომ უკვე 1-ლი აგვისტოსათვის საწყობებში გვქონოდა ქვანახშირის დიდი რაოდენობა და, გარდა ამისა, დაკმაყოფილებული ყოფილიყო რკინიგზების ყოველდღიური მოთხოვნილებანი. ამის ნაცვლად, დღეს არ მოიპოვება მარაგი და, გერმანიის სარკინიგზო განყოფილების გუშინდელ თათბირზე საქართველოს რკინიგზების სამმართველოსთან ერთად, გამოირკვა, რომ ქვანახშირის მოპოვება იმდენად მცირეა, რომ ნავთის მარაგიც, რომელიც ქვანახშირის ნაკლებობის გამო მეტად იქნა გამოყენებული, ვიდრე მიღებული იყო, მოკლე დროში ამოწურული იქნება.

ამ მაღაროების არასაკმაო შრომისუნარიანობის მთავარ მიზეზს უეჭველად წარმოადგენს მუშათა გაფიცვა. მე ვფიქრობ, რომ უეჭველად, აუცილებელია... თუ მუშები... დაუყოვნებლივ არ შეუდგებიან მუშაობას, მაშინ საჭიროების შემთხვევაში, ძალით უნდა იქნას გაყვანილი ისინი სამუშაოზე. ჩემის აზრით, გაცილებით უფრო სოციალურია ის, თუ მთავრობა იღებს ზომებს მუშათა მასის პატარა ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც აყენებს გადაჭარბებულ მოთხოვნებს, ვიდრე ის, თუ ენერგიული ზომების მიუღებლად მთავრობას საქმე იქამდე მიყავს, რომ არა მარტო მოძრაობა და მასთან ერთად ვაჭრობაც და ქვეყნის კეთილდღეობაც სწყდება, არამედ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა იწვევს თავის მიმართ საყვედურებს, რომ მას არ სურს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი...

16

№ 165

| Разр. | Слов. | Подана |
| --- | --- | --- |
| 2 | 22 | 7. 11 |

Служебные отметки

23

[illegible]

[illegible]

ფოტ. № 40.

ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემის რწმუნებით პატივი მაქვს დავრჩე თქვენი აღმატებულების ერთგული ბარონი ფონ-კრესი“.

ფ. 24, ს. 100, ფურც. 12. დოკუმენტზე ბარონ ფონ-კრესის ხელმოწერა—ავტოგრაფი. ტექსტის ბოლოს დასმულია მრგვალი ბეჭედი დელეგაციისა წარწერით გერმანულ ენაზე: „გერმანიის საიმპერატორო დელეგაცია კავკასიაში“. საქმეში არის დოკუმენტის გერმანული დედანიც ბარონ ფონ-კრესის საკუთარი ხელმოწერით (იქვე, ფურც. 11).

## 46. 1918 წ. აგვისტოს 28. ბორჩალოს მაზრის საადგილმამულო გამგეობის თავმჯდომარის დეპეშა მიწათმოქმედების მინისტრისადმი გერმანელების დახმარებით მემამულეების მიერ გლეხებიდან საიჯარო გადასახადის თვითნებურად აკრების შესახებ.

ზოგიერთი მემამულე გერმანელების მეშვეობით თავის სასარგებლოდ ახდევინებს საიჯარო გადასახადს. გამგეობა გთხოვთ სასწრაფო განკარგულებას ზომების მიღების შესახებ. ბორჩალოს მაზრის საადგილმამულო გამგეობის თავმჯდომარე პოპონდოპულო.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 77.

## 47. 1918 წ. აგვისტოს 28. გერმანიის დელეგაციის წევრის ცუგმაიერის ინტერვიუ.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში დოქტორი ცუგმაიერი შეეხო გერმანიის დელეგაციის სამეურნეო განყოფილების მოღვაწეობას.

მისი სიტყვებით, სამეურნეო განყოფილების სადგომში გამუდმებით ირევა გერმანიიდან და უკრაინიდან ჩამოსული უამ-

რავი კომივოიაჟერი და ვაჭარი. იქვე მოდიან ადგილობრივი კომერსანტებიც, რომელთაც სურთ გერმანიიდან გამოიწერონ მრავალგვარი საქონელი. ყველაზე უფრო დიდი მოთხოვნილებაა მაუდზე, ბამბის ქსოვილებსა და ფოლადის ნაწარმზე, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანია თვითონ განიცდის მაუდისა და ბამბის ქსოვილების ნაკლებობას და ამიტომ ასეთების გაზიდვა მას არ შეუძლია. ჯერჯერობით გერმანიაში შეკვეთილია ქიმიურად საგანგებოდ დამუშავებული ქაღალდის დიდი პარტია. ეს ქაღალდი ამჟამად გერმანიაში იხმარება ქსოვილების ნაცვლად. არის აგრეთვე შეკვეთა ფოლადის წვრილმან ნაწარმებზე, როგორიცაა, ჯიბის დანა და სხ. რაც შეეხება საქართველოდან გატანას, მარგანეცის გარდა აქედან გააქვთ მატყლი, ბამბა, თამბაქო და ღვინო.

შეეხო რა საქართველოში გერმანელთა რაზმის სარდლად პოლკოვნიკ ფონ-დერ ჰოლცის დანიშვნას, ბ-ნა ცუგმაიერმა განაცხადა, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება გერმანელთა ორი ორორბატალიონიანი პოლკი, აღჭურვილი არტილერიისა და ტყვიამფრქვევების სათანადო რაოდენობით. გარდა ამისა, აქ იმყოფება ყოველგვარი სპეციალისტების: მფრინავების, რკინიგზელების, ავტომობილისტების, ელექტრო-ტექნიკოსების, რადიოტელეგრაფისტების, მედიცინის პერსონალისა და სხვათა დიდი რაოდენობა. პოლკოვნიკ ფონ-დერ ჰოლცთან ერთად ახლად მოვიდა 1.100 სპეციალისტი.

ფონ-დერ ჰოლცს უჭირავს ბრიგადის მეთაურის თანამდებობა, ის უშუალოდ ემორჩილება გენერალ ფონ-კრესს, როგორც გერმანიის დელეგაციის მეთაურს საქართველოში.

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 149.

## 48. 1918 წ. აგვისტოს 24. დუშეთის მაზრის კომისრის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გერმანელების მიერ მუხრანის მოსახლეობაზე 35.000 მანეთის კონტრიბუციის დადებისა და რაიონის კომისრის დაპატიმრების შესახებ, № 3707.

როგორც მცხეთის რაიონის კომისარი იტყობინება, გერმანელთა რაზმის მიერ, რომელიც იქ იმყოფება, მუხრანის მოსახლეობაზე დადებულია 35.000 მანეთის კონტრიბუცია. მცხეთის რაიონის კომისარი, რომელიც მცხოვრებთა თხოვნით მივიდა იქ ამ საკითხის გამოსარკვევად, დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ განაიარაღეს და გაუშვეს, ამავე დროს მას ჩამოართვეს რაღაც ხელწერილი. განიარაღებულია აგრეთვე მისი თანმხლებელი მილიციელი. დღეს მივდივარ ადგილზე კონფლიქტის მიზეზების გამოსარკვევად. შეგატყობინებთ დამატებით. დუშეთის მაზრის კომისარი ლანდია.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 32. დოკუმენტზე შავი მელნით წარწერილია რეზოლუცია: „ასლი შ[ინაგან] ს[აქმეთა] და ს[აგარეო] ს[აქმეთა] მინისტრებს, მოხსენდეს, რომ შემდეგი ცნობები წარედგინებათ. ჯაფარიძე 24 აგვისტო 1918 წ."

## 49. 1918 წ. აგვისტოს 24. ცნობა აბასთუმანსა და აწყურში გერმანელთა ჯარების შეყვანის შესახებ.

მთავრობის თავმჯდომარემ და გენერალ ფონ-კრესმა მიიღეს დეპეშა ხალილ ფაშასაგან იმის შესახებ, რომ თურქეთის ჯარები ახდენენ აბასთუმანისა და აწყურის ევაკუაციას.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების გამო მთავრობამ დაადგინა დაევალოს სამხედრო მინისტრს საქართველოს ჯარებით გერმანიის ჯარებთან ერთად დაიკავოს ახალციხის მაზრაში აბასთუმანი, აწყური და სხვა ადგილები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს.

გაზ. „ბორბა", 1918 წ., № 150.

## 60. 1918 წ. აგვისტოს 26. „თბილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეში მყოფ პატიმრის“ ახმედ-მირზა-მამედ-ოღლის თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, რათა მან დაიცვას ის „თავის და უცხოეთის ხელისუფალთა თვითნებობისაგან“.

რამდენიმე კვირის წინათ მე ჩემი სოფლიდან გავიარე სოფელ ბაშკიჩეთში საქონლის შესასყიდად და იქ გერმანელი ჯარისკაცების რაზმმა დამაპატიმრა და გადამგზავნა ბორჩალოს მაზრის კომისართან. უკანასკნელმა, თავის მხრივ, გადამგზავნა თბილისის გარნიზონის უფროსის განკარგულებაში, რომელმაც მიმართვით გამგზავნა № 1 საგუბერნიო საპყრობილეში და უბრძანა ჩაეერიცხე მე გერმანიის საიმპერატორო მისიისადმი დაქვემდებარებულ პატიმრად. თვით მე არავითარი დანაშაულება არ მიმიძღვის და ჩემთვის არავის არავითარი კონკრეტული ბრალდება არ წამოუყენებია. თვითონ მე საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომი ვარ, დაბადებიდან 55 წლის, და არავითარ სამხედრო ნაწილში არ ვირიცხები, ვეწევი მშვიდობიან შრომას, მიწის მუშაობას. ჩემი მოთავსება საპყრობილეში უცხოეთის სახელმწიფოს მისიისადმი დაქვემდებარებულ პატიმრად მე მიმაჩნია უკანონო აქტად. მე ვფიქრობ, რომ თავის სამშობლოში, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქის ბედ-იღბალი შეიძლება განაგოს მხოლოდდამხოლოდ რესპუბლიკის ხელისუფლებამ. ჩემი მოთავსება კი საპყრობილეში უცხოეთის სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ პატიმრად საშუალებას მაძლევს ვიფიქრო, რომ საქართველოს მიერ აღიარებული თავისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს მითს, რამაც მაიძულა სწორედ რამდენიმე დღის წინათ მიმემართნა გერმანიის საიმპერატორო დელეგაციისათვის შუამდგომლობით — ჩემი პატიმრობიდან განთავისუფლების ან ამა თუ იმ ბრალდების წამოყენების შესახებ. უცხოეთის სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებულ პატიმრად ჩემი უკანონოდ ჩარიცხვის შესახებ მე შევატყობინე თბი-

ლისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგს, რომელიც განაგებს ქალაქ თბილისის საპატიმრო ადგილებს. ჩემს თხოვნაზე არც გერმანიის დელეგაციისა და არც პროკურორის ამხანაგისაგან პასუხი არ მიმიღია, რისთვისაც გადავწყვიტე თხოვნით მოგმართოთ თქვენ, როგორც მთავრობის მეთაურს, რათა დამიცვათ მე, საქართველოს ქვეშევრდომი, თავის და უცხოეთის ხელისუფალთა თვითნებობისაგან. საქართველოს მთავრობის დეკლარაციის ერთ-ერთი პუნქტი იყო საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ მოქალაქეთა პიროვნების ხელუხლებლობის უფლების გარანტია, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა; ვეყრდნობი რა ამ პუნქტს, მე გთხოვთ თქვენ მოახდინოთ სათანადო განკარგულება პატიმრობიდან ჩემი განთავისუფლების შესახებ, და, თუ რაიმე დანაშაულება მიმიძღვის, გადამცეთ საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოზე და არა უცხოეთის სახელმწიფოს სასამართლოზე, მით უმეტეს, რომ სამართალში მიცემის დაპირობება ხდება ყოველთვის დანაშაულების ჩადენის ადგილით, და, თუ მე ჩადენილი მაქვს რაიმე დანაშაულება, ის ჩადენილი მაქვს მხოლოდ თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ხელმოწერა).

ცნობა: პატიმარი ახმედ-მირზა-მამედ-ოღლი მოთავსებულია თბილისის საგუბერნიო საპყრობილეში 1918 წლის 5 აგვისტოდან, თანახმად თბილისის გარნიზონის უფროსის მომართვისა № 427, ბრალად ედება[1]... და ირიცხება კავკასიაში გერმანიის იმპერატორის დელეგაციისადმი დაქვემდებარებულ პატიმრად (ხელმოწერა).

თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს განკარგულებისათვის. 1918 წ. 26 აგვისტო (ხელმოწერა).

ფ. 13, ს. 18, ფურც. 60

---

[1] გამოტოვებულია დოკუმენტში.

## 61. 1918 წ. აგვისტოს 29. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის გენერალ ფონ-კრესის მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან“ ფოთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდის და ანაკლიის რაიონების გაწმენდის აუცილებლობისა და ამ საქმისათვის გერმანელთა რაზმების გამოყენების შესახებ, № ა, 1, 2818.

ბატონო მინისტრო! ჩემს მიერ მიღებულ ცნობების თანახმად ფოთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდის, ანაკლიის რაიონებში ჯერ კიდევ იმყოფებიან ავაზაკებისა და ბოლშევიკების დიდი ბანდები, რომლებიც განუწყვეტლივ აფერხებენ და ხელს უშლიან მიმოსვლასა და კავშირს. ასე, მაგალითად, ხიდების დანგრევის გამო მე შესაძლებლობა არ მქონდა გამეგზავნა გენერალ მაზნიევისათვის 2 ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც მე მას შევპირდი.

ამ გარემოებათა გამო, მე ფრიად საჭიროდ მიმაჩნია, რათა ძალიან საჩქაროდ მოხდეს ამ რაიონების საფუძვლიანი გაწმენდა და განიარაღება. თუ საქართველოს მთავრობას ეს სურს, მე მზად ვარ ამ რაიონების მოსაჩხრეკად გავგზავნო საქართველოს მთავარსარდლის განკარგულებაში [გერმანიის] ჯარები, რომლებიც იმყოფებიან ფოთში, ახალ-სენაკსა და ოჩემჩირეში.

ჩემის აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველყოფა რკინიგზით შეუფერხებელი მიმოსვლისა ახალ-სენაკის და ზუგდიდის გზატკეცილამდე, ხოლო შემდეგ გაიწმინდოს სანაპირო ადგილები ავაზაკური და პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან.

მიიღეთ რწმუნება და სხ. ფ. კრესი.

ფ. 13, ს. 202, ფურც. 191. დოკუმენტზე არის რეზოლუცია: „მოხსენდა 3/IX. ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას, რომ ბანდებისაგან ამ რაიონების გაწმენდისათვის საჭიროა გაიგზავნოს არმიის და წითელი გვარდიის რაზმები“.

### 52. 1918 წ. სექტემბრის 2. მემამულე დ. კელბერაშვილის თხოვნა გერმანიის დელეგაციისადმი იმის შესახებ, რომ გაუწიოს მას დახმარება გლეხების დამორჩილების საქმეში.

An die Kaiserlich-Deutsche Delegation im Kaukasus.

Bittegesuch des Dawid Kelberaschwili. Vom General Gabajew kaufte ich im Jahre 1917 (Mai) ein im Dorfe Ertisi im Tifliser Kreise, unweit Elisabettal gelegenes Grundstück vôn 22 Dessiatinen, nämlich $5^{1}/_{2}$ Dessiatinen Obstgarten, das übrige Ackerland.

Vom diesen Landstück entriss mir Entmögungskommission $13^{1}/_{2}$ Dessiatine und erklärte es als Staatseigentum.

Die mir gebliebenen $9^{1}/_{2}$[1] Dessiatinen wurden mir dann von Bauern des Dorfes Ertisi entrissen und meine Leute aus dem Obstgarten und dem dazu gehörigen Hause verjagt.

Ich wandte mich in dieser Angelegenheit schon zweimal an die georgische Regierung. Sie setzte mich allerdings wieder in meine Rechte ein, aber kaum waren die Beamten fort, so wurden meine Leute wieder verjagt. Fast das gesamte diesjährige Obst haben mir diese Räuber schon geraubt und in meiner Not bitte ich jetzt die Kaiserlich-Deutsche Delegation um Hilfe.

Im vorigen Jahre raubten mir die Bauern, deren Namen ich genau kenne, 60 Eimer Wein im Werte v. 960 Rubel, in diesem Jahre: 1000 Pud Äpfel, 1000 Pud Kirschen, 10 Pud Erdbeeren, alles im Werte ungefähr 40.000 Rubel.

---

[1] ასეა დოკუმენტში, უნდა იყოს $8^{1}/_{2}$.

1148

An die Kaiserlich Deutsche Delegation im Kaukasus

Bittgesuch des David Kelberaschwili

Vom General Gobeljanz kaufte ich im Jahre 1912 (Mai) ein im Dorfe [illegible], im Tifliser Kreis, unweit Elisabethal gelegenes Grundstück von 22 Desjatinen, welches 7½ Desjatine [illegible] [illegible] enthielt. Zu diesem Grundstück erhielt ich die [illegible] [illegible] 13½ Desjatinen und erklärte [illegible] die mir gehörigen 9½ Desjatinen wurden mir dann von Bauern des Dorfes [illegible] und meine Leute [illegible] und das [illegible] Haus [illegible]. Ich wandte mich an die [illegible] und schließlich an die Georgische Regierung. Die jetzige [illegible] in meine Rechte ein, aber [illegible] so wurden meine Leute wieder [illegible] haben mir [illegible] und in meiner Not bitte ich jetzt die Kaiserlich Deutsche Delegation um Hilfe.

Im vorigen Jahre raubten mir die Bauern, deren Namen ich genau kenne, 60 Eimer Wein im Werte v. 960 Rubel und 2 [illegible], in diesem Jahre: 200 Pud Äpfel, 100 Pud [illegible], 10 Pud [illegible], alles im Werte von ungefähr 10000 Rubel.

Der Verlust des Gutes bringt mich an den Bettelstab und ich bitte daher die Kaiserliche Delegation mir zur Wiedererlangung meines früheren Besitztums zu [illegible].

David Kelberaschwili

Tiflis, den 2 September 1918

Georg. 3/4

J.N. 24.50

Der Verlust der Ernte bringt mich an den Bettelstab und ich bitte daher die Kaiserliche Delegation mir zur Wiedererlangung meines Eigentums behilflich zu sein. Dawid Kelberaschwili.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 130. დოკუმენტის ქართული თარგმანი იკითხება ასე:

„კავკასიაში გერმანიის იმპერატორის დელეგაციას. დავით კელბერაშვილის თხოვნა.

1917 წელს (მაისში) გენერალ გაბაევისაგან სოფელ ერთისში, ელისაბედტალის მახლობლად მე ვიყიდე მიწის ნაკვეთი 22 დესეტინა, სახელდობრ $5^1/_2$ დესეტინა ხეხილის ბაღი, დანარჩენი სახნავ-სათესი.

მიწის ამ ნაკვეთიდან ჩამომრთმევმა კომისიამ ჩამომართვა $13^1/_2$ დესეტინა და გამოაცხადა სახელმწიფო საკუთრებად. დარჩენილი $9^1/_2$ დესეტინა მიწა წამართვეს სოფელ ერთისის გლეხებმა, ხოლო ჩემი კაცები გამორეკეს ხეხილის ბაღიდან და ხეხილის ბაღში მდგარ სახლიდან. ამ საკითხის გამო მე უკვე ორჯერ მივმართე საქართველოს მთავრობას. მთავრობამ აღმადგინა ჩემს უფლებებში, მაგრამ მთავრობის მოხელეები წავიდნენ თუ არა, ჩემი კაცები კვლავ გამორეკეს გლეხებმა. იმ ბაღის ხეხილის თითქმის მთელი მოსავალი მომტაცეს ამ ავაზაკებმა, და მე, გაჭირვებაში ჩავარდნილი, ვთხოვ ახლა დახმარებას გერმანიის იმპერატორის დელეგაციას.

გასულ წელს გლეხებმა, რომელთა სახელები მე კარგად ვიცი, მომპარეს 60 ვედრო ღვინო, ღირებული 960 მანეთად; ამ წელს მომპარეს: 1000 ფუთი ვაშლი, 1000 ფუთი ალუბალი, 10 ფუთი მარწყვი, სულ დაახლოებით 40.000 მანეთის ღირებულებისა.

მოსავლის დაკარგვა მე მათხოვრის მდგომარეობაში მაგდებს, ამიტომ ვთხოვ საიმპერატორო დელეგაციას დამეხმაროს მე დავიბრუნო ჩემი საკუთრება. დავით კელბერაშვილი".

**53. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 4. ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, № 778.**

მოგახსენებთ: უკანასკნელ ხანებში, გერმანელთა წყალობით, მუშაობა შეუძლებელი ხდება. მათ ბორჩალოს მაზრაში ოფიციალურად გამოაცხადეს ფასები ხორბალზე — ასორმოცდაათი მანეთი, ხორბლის ფქვილზე—ორასი მანეთი, ქერზე—სამოცდაათი მანეთი. როგორც აგენტი ბერიძე იტყობინება, სოღანლუღის გზით ბორჩალოს მაზრიდან ყოველდღიურად მოაქვთ რამდენიმე ურემი პურის პროდუქტები, ამ ურმებს თან ახლავენ გერმანელი ჯარისკაცები. უმეტეს შემთხვევაში მეურმეებს აქვთ რომელიღაც გერმანელი ოფიცრის მიერ გაცემული ქაღალდები. მათგან სათანადო მოწმობის მოთხოვნისას, ისინი უხეშ ფორმებში ამბობენ უარს წინადადების შესრულებაზე. დაჟინებით მოთხოვნის შემთხვევაში მიმართავენ იარაღს. გთხოვთ თქვენს შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, რათა აუკრძალონ გერმანელებს [პურის] შესყიდვა ბორჩალოს მაზრაში. იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება შესრულებული, გთხოვთ დამრთოთ ნება, მოვხსნა საგუშაგოები და მივცე თავისუფალი გაზიდვის შესაძლებლობა. კეთილინებეთ და შედეგებზე შემატყობინეთ. რწმუნებული ლორთქიფანიძე.

ფ. 13, ს. 8, ფურც. 10.

**54. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 6. ᲪᲜᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲗᲠ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

გერმანიის მისიიდან იტყობინებიან, რომ თეთრი წყაროს რაიონში არეულობის აღსაკვეთად გაგზავნილია გერმანელთა რაზმის ერთი ასეული, შეიარაღებული ტყვიამფრქვევებით.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 161.

**ნნ. 1918 წ. სექტემბრის 6. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის ოტტო ფონ-კრესის მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი მემამულე თაიროვის თხოვნის თანდართვით. თხოვნა ეხება იმას, რომ გერმანიის ჯარებმა დაიცვას თაიროვის ადგილ-მამული, № 775.**

Herr Minister!

Euerer Exzellenz übersende ich anbei sehr ergebenst ein an mich gelangtes Ersuchen des Gutsbesitzers Georg Christoph—Sohn Tairoff um deutschen militärischen Schutz.

Ich bitte Euere Exzellenz mir baldgeneigtest mitteilen zu wollen, ob Ihnen die Abkommandierung eines deutschen Detachements zum Schutze der fraglichen Ländereien genhem ist.

Euerer Exzellenz Antwort entgegensehend verbleibe ich mit der Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtug Otto von Kress.

ფ. 13, ს. 18, ფურც. .82. დოკუმენტის ქართული თარგმანი იკითხება ასე: „ბატონო მინისტრო! ამასთან ერთად ვუგზავნი თქვენს აღმატებულებას ჩემს მიერ მიღებულ თხოვნას მემამულე გიორგი ქრისტეფორეს-ძე თაიროვისას გერმანელთა ჯარების მიერ მისი [ადგილ-მამულის] დაცვის შესახებ.

ვთხოვ თქვენს აღმატებულებას რაც შეიძლება დაჩქარებით მაცნობოთ თანხმობა გერმანელთა რაზმის მივლინებაზე აღნიშნული ადგილ-მამულის დასაცავად. თქვენდამი სრული პატივისცემით ოტტო ფონ-კრესი.“

გენერალ ფონ-კრესმა თავისი შუამდგომლობა ამ მიმართვაში მოხსენებულ მემამულე თაიროვის ინტერესების დაცვის შესახებ გაიმეორა მეორე მიმართვაში 21 სექტემბერს, რაზედაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა დაადვა შემდეგი რეზოლუცია: „საგ[არეო] საქმეთა მინისტ[რის] მეშვეობით ეცნობოს, რომ დაუყოვნებლივ მიეწერა გუბერნიის კომისარს მიიღოს ზომები თაიროვის მამულის დასაცავად. ნ. რამიშვილი“ (იქვე, ფურც. 84).

SERLICH DEUTSCHE DELEGATION
IM KAUKASUS.
J.No.D.775.
1 Anlage.

Tiflis, den 3.September 1918.

Herr Minister !

Euerer Exzellenz übersende ich anbei sehr ergebenst ein an mich gelangtes Ersuchen des Gutsbesitzers Georg, Christoph-Sohn- Tairoff um deutschen militärischen Schutz.

Ich bitte Euere Exzellenz mir baldgeneigtest mitteilen zu wollen, ob Ihnen die Abkommandierung eines deutschen Detachements zum Schutze der fraglichen Ländereien genehm ist.

Euerer Exzellenz Antwort entgegensehend verbleibe ich mit der Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtung

Seiner Exzellenz
Herrn R a m i s c h w i l i
Minister des Innern,
T i f l i s.

**56. 1918 წ. სექტემბრის 6. გერმანიის დელეგაციის უფროსის ოტტო ფონ-კრესის მიმართვა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი იმის თხოვნით, რომ შეატყობინოს მას „სასურველია თუ არა გერმანელი ჯარისკაცების მიერ (მემამულე დ. კელბე-რაშვილის) ადგილ-მამულის დაკავება“ გლეხებისაგან ამ მამულის დაცვის მიზნით, № 778.**

Herr Minister!

Euerer Exzellenz beehre ich mich anliegenden Antrag mit der Bitte [des Gutsbesitzers Dawid Kelberaschwili] um gefällige Mitteilung zu übersenden, ob der Georgischen Regierung die Besetzung des Gutes durch deutsche Soldaten erwünscht sein würde.

Genehmigen Euere Exzellenz die erneute Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtung Otto von Kress.

ფ, 13, ს. 18, ფურც. 129. დოკუმენტის ქართული თარგმანი იკითხება ასე:

„ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს გაახლოთ თქვენ ამასთან თანდართული განცხადება [მემამულე დავით კელებერაშვილისა] და გთხოვთ გვაცნობოთ, სასურველია თუ არა საქართველოს მთავრობისათვის გერმანელთა ჯარისკაცების მიერ ადგილ-მამულის დაკავება.

გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემი თქვენდამი სრული პატივისცემისა. ოტტო ფონ-კრესი“.

KAISERLICH DEUTSCHE DELEGATION
IM KAUKASUS.
J.No.D.778.
1 Anlage.

Tiflis, den 8. September 1918.

Herr Minister !

Euerer Exzellenz beehre ich mich anliegenden Antrag mit der Bitte um gefällige Mitteilung zu übersenden, ob der Georgischen Regierung die Besetzung des Gutes durch deutsche Soldaten erwünscht sein würde.

Genehmigen Euere Exzellenz die erneute Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtung.

Seiner Exzellenz
Herrn R a m i s c h w i l i
Minister des Innern,
T i f l i s.

## 57. 1918 წ. სექტემბრის 8. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენერალ ფონ-კრესის მოხსენება გერმანიის რეიხსკანცლერისადმი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ.

პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ შემდეგი წინადადება: საქართველოს სახელმწიფოს წინამდებარე ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა დაგვეჯილდოებინა საქართველოს ხელმძღვანელი პიროვნებები გერმანიის ორდენებით. ჩემთვის უცნობი არ არის ის, რომ ამ ბატონების დამსახურებას ახალგაზრდა სახელმწიფოს აგებისა და შინაგანი კონსოლიდაციის საქმეში ჯერ კიდევ არ შეიძლება ჰქონდეთ განსაკუთრებით მაღალი შეფასების პრეტენზიები. მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობა ელტვოდა მჭიდრო ურთიერთობას გერმანიასთან და რომ ჩვენ მივიღეთ ჩვენსკენ გამოწვდილი ხელი, ჩემის აზრით, გვავალებს შესაფერ მომენტში, თუნდაც წმინდა გარეგნულის მხრით, ხაზი გავუსვათ განსაკუთრებულ ურთიერთობას ამ ორ ქვეყანას შორის, მით უმეტეს, რომ აქაც, ისე როგორც საერთოდ მთელ აღმოსავლეთში, საგნებზე მსჯელობენ პირველყოვლისა გარეგნული მხარის მიხედვით. ყოველშემთხვევაში ჩვენს ინტერესს შეადგენს თავიდან ავიცდინოთ, რომ ავსტრია-უნგრეთმა ან თურქეთმა არ გაგვისწროს ამ საქმეში და, ამრიგად, ჩვენ არ დავდგეთ უკანა რიგში ამ სახელმწიფოების შემდეგ.

წარჩინებაზე წარდგენისათვის მე ვაყენებ პირველ რიგში იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც მე ქვემოთ დავასახელე ჯგუფებად იმ ორდენების ხარისხების მიხედვით, რომლებიც უნდა ებოძოთ. ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის მე განვსაზღვრო აქ, თუ რომელი ორდენები ებოძოს ცალკეულ ჯგუფებს, ვინაიდან

მე ნაკლებად ვერკვევი საერთო თვალსაზრისთა საკითხებში, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ საკითხის გადაჭრისას.

1. მინისტრ-პრეზიდენტი ჟორდანია.

2. საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი, აგრეთვე მისი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი. შემდეგ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ჩხეიძე. ვინაიდან ეროვნული საბჭო ამჟამად შეიძლება შევაფასოთ, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის მატარებელი ორგანო, ამიტომ ბ-ნ ჩხეიძეს ერგება წარჩინების იგივე ხარისხი, რაც ერგება ბატონ ჩხენკელსა და ბატონ რამიშვილს.

3. შემდეგი მინისტრები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა საგულისხმონი არიან ჩვენთვის საერთო მუშაობაში გერმანიის მთავრობასთან ერთად.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე, ფინანსთა მინისტრი ჟურული და რკინიგზების მინისტრი ლორთქიფანიძე. შემდეგ ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბარათაშვილი.

4. შემდეგი უმაღლესი ოფიცრები:

გენერალ-მაიორი გედევანოვი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე, გენერალ-მაიორი თავადი ანდრონიკოვი, გენერალური შტაბის უფროსი.

5. იმისათვის, რომ ხალხს დავანახოთ, რომ გერმანია არ დგას ერთი პარტიის, თუნდაც გაბატონებული პარტიის, მხარეზე, მაგრამ რომ მას სურს დაეხმაროს სახელმწიფოს, როგორც ასეთს მთლიანად, მე სასურველად მიმაჩნია ებოძოს წარჩინება ოპოზიციის ზოგიერთ ბელადებსაც. პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თქვენი აღმატებულებისთვისაც ცნობილი ბელადი ნაც.-დემოკრატიული პარტიისა სპირიდონ კედია, შემდეგ თავადი ვაჩნაძე, ესეც აგრეთვე თავისი სპეციფიკური მდგომარეობით, როგორც პარტიის წარმომადგენელი არმიის გადამხალისებელ კომისიაში.

ორდენთა ხარისხების თანაფარდობა ცალკეულ ჯგუფთა შორის: ყველაზე უმაღლესი ხარისხი—I ჯგუფს, ცოტათი დაბალი ხარისხი — II ჯგუფს, ასეთივე ხარისხი, მაგრამ ცოტათი დაბალი — III და IV ჯგუფებს. ეს ორი ჯგუფი, ჩვენის აზრით, საჭიროა დავაყენოთ ერთგვარ ხარისხზე.

დიდი მადლობელი ვიქნებოდი თქვენი აღმატებულებისა ცნობისათვის, თანახმა არის თუ არა კაიზერის მთავრობა განიხილოს ჩემი წინადადება. აგრეთვე ვბედავ ვუთხრა თქვენს აღმატებულებას, რომ ამ საკითხში საჭიროა წინასწარ შეთანხმება კ-თან და კ-ს ავსტრია-უნგრეთის მთავრობასთან. მე გამოვდივარ იმ მოსაზრებიდან, რომ აქაური კ. და კ. ავსტრია-უნგრეთის დიპწარმომადგენელი ფრიად ლოიალურად ეპყრობა გერმანიის დელეგაციას, და ძვირფასი მხარდაჭერა, რასაც ის ყოველთვის იჩენდა აქაურ მთავრობასთან ურთიერთობაში, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ფონ-კრესი.

გაზ. „პრავდა", 1933 წ., 1 დეკემბერი, № 330.

### 58. 1918 წ. სექტემბრის 12. სამხედრო-საბინაო სექციის უფროსის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი კერძო სახლებში გერმანიის ჯარების მოთავსების საქმისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ, № 1301.

გთხოვთ მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება ხელისუფალთა მიმართ, რათა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ გერმანიის ჯარების მოთავსებას კერძო სახლებში, როდესაც გერმანიის სამხედრო ხელისუფალნი ან ადგილობრივი სამხედრო-საბინაო ორგანოები მიმართავენ დახმარებისათვის. სამხედრო-საბინაო სექციის უფროსი, სამხედრო ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი...

ფ. 28, ს. 144, ფურც. 1. სამხედრო ინჟინერის ხელმოწერა გაურკვეველია.

**59. 1918 წ. სექტემბრის 18. თბილისის გუბერნიის კომისრის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისათვის გაგზავნილი ცნობა საქართველოს „რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გერმანელთა სამხედრო რაზმების“ ჩარევის შესახებ, № 4653.**

გიბრუნებთ რა ამასთანავე მიწერმოწერას № 15544-ით, ვაცნობებ კანცელარიას, რომ გლეხებსა და მიწათმფლობელმემამულეებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად არსებობენ მთავრობის ორგანოები, საადგილმამულო გამგეობანი, რომელთაც დახმარებას უწევს ადგილობრივი ადმინისტრატიული ხელისუფლება. ამიტომ ამ საქმეში სხვა ხელისუფლების ჩარევა, გერმანელთა სამხედრო რაზმების სახით, წარმოადგენს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში შეჭრას.

მრავალი ასეთი შემთხვევის შესახებ მე უკვე არაერთხელ მიცნობებია სამინისტროსათვის. გუბერნიის კომისარი [ჯაფარიძე].

ფ. 28, ს. 206, ფურც. 40.

**60. 1918 წ. სექტემბრის 18. სამხედრო სამინისტროს საბინაო სექციის მიმართვა თბილისის ქალაქის მილიციის უფროსისადმი ლტოლვილთა გამოსახლებისა და გერმანელთა და ქართული ჯარებისათვის სადგომის მიცემის შესახებ, № 1440.**

მიუხედავად ჩემი არაერთგზისი მოთხოვნისა — დაუყოვნებლივ გამოსახლებულ ყოფილიყვნენ ყველა ლტოლვილნი ნავთლუღის ყაზარმების (სააღალო ბატალიონის, ცხენოსანი პოლკის, ნავთსაწყობის) და კახეთის ქუჩაზე თბილისის პოლკის ყაზარმების განლაგების რაიონიდან,—მათ, როგორც პირადად დავრწმუნდი, დღემდე უჭირავთ ეს სადგომები და რაიონები, ავრცელებენ სიბინძურეს, ავადმყოფობას და მთელი მიდამო

დაუსენიანებიათ. სნება ჯარებსაც ედებათ. ქართული და გერმანელთა ჯარები ვეღარსად მოთავსებულან, და თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, საჭირო გახდება შევუდგეთ კერძო სახლების იძულებითს რეკვიზიციას—იქ ჯარების განსალაგებლად. ლტოლვილთ მე მივუჩინე სადგომები 30-ე ვერსზე და ნუნუფაროვის ფარდულებში—კახეთის ქ. № 59. ამის საფუძველზე მე მოვითხოვ—დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას ყველა ზემოხსენებული სადგომი, ენერგიულად შეუდგეთ საქმეს და არცერთი დღე არ დაჰკარგოთ, რადგან ყოველდღე მოდიან გერმანელთა ჯარები, და მათთვის მისაჩენი ბინა არსად არის. ამასთანავე ჩემი მიმართვის ასლს ვუგზავნი ქალაქის გამგეობის ლტოლვილთა განყოფილებას, გუბერნიის კომისარს და ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს... სამხედრო ინჟინერი—პოდპოლკოვნიკი... საქმის მწარმოებელი ნადვორნი სოვეტნიკი...

ფ. 11, ს. 272, ფურც. 51.

### 61. 1918 წ. სექტემბრის 18. გზათა მინისტრის მიმართვა გერმანიის დელეგაციისადმი — სატრანსპორტო სიძნელეთა გამო ფოთიდან გერმანელთა ჯარების გამოგზავნის დროებით შეწყვეტის შესახებ, № 8085.

საქართველოს რკინიგზებზე სათბობის მარაგის თითქმის სავსებით გამოლევის გამო უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც გაუქმებულია ყველა სასაქონლო და სამგზავრო მატარებელი, გარდა ერთი წყვილი საფოსტო მატარებლისა. ამ ღონისძიებას ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა რკინიგზის საწყობებში ქვანახშირის თუნდაც მინიმალური მარაგის დასაგროვებლად, იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მატარებელთა უფრო

ნორმალური მოძრაობის დამყარება. მაგრამ იმის გამო, რომ კვლავ გრძელდება ფოთიდან და ბათუმიდან თბილისის მიმართულებით გერმანელთა და თურქთა ეშელონების ყოველდღიურად გზავნა, მდგომარეობა რკინიგზებზე დღემდე მეტისმეტად მძიმე რჩება, და მოძრაობას შემდეგში სრული შეწყვეტის საფრთხე მოელის.

საქმის ინტერესებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია—დროებით, ხუთი დღით, შეწყვეტილ იქნას ფოთიდან გერმანელთა და თურქთა ეშელონების გამოგზავნა, რადგან ეს უკანასკნელნი, ფოთიდან გამომგზავრების შემდეგ, ჩერდებიან დეპოს მქონე შუალედ სადგურებში, სადაც ორ დღე-ღამეს და მეტ ხანსაც დგანან ორთქლმავლის მოლოდინში, რის გამოც ფოთიდან ეშელონების შემდგომ გამოგზავნას შეუძლია გამოიწვიოს მოძრაობის სრული შეჩერება; ამავე დროს კი დაახლოებით ხუთი დღის განმავლობაში ეშელონების გამოგზავნის შეწყვეტა, რაც განზრახულია, საშუალებას მოგვცემს დავაგროვოთ რკინიგზის საწყობებში ქვანახშირის ერთგვარი მარაგი, რაც შესაძლებელს გახდის სამხედრო მატარებლების უფრო ნორმალური მოძრაობის მოგვარებას.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ არ დააყოვნოთ თქვენი პასუხის გამოგზავნა რკინიგზის ხაზზე სათანადო განკარგულებათა გასაცემად. გზათა მინისტრი.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 9.

## 62. 1918 წ. სექტემბრის 14. გერმანელთა დელეგაციის უფროსის ოტო ფონ-კრესის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი — სოფელ არახლოსა და ყიზილსლოში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გერმანელთა ჯარების გაგზავნის შესახებ,

№ 944.

Herr Minister!

Euerer Exzellenz beehre ich mich anbei das Original einer an mich gerichteten Eingabe mit dem Bemerken zu übersenden, dass ich bereit bin, zur zwangsweisen Eintreibung des verursachten Schadens in den Dörfern Arachlo und Kisilslo deutsches Militär zur Verfügung zu stellen.

Euere Exzellenz bitte ich um baldgefällige Mitteilung, ob meinem Angebot stattgegeben werden soll. Ich halte es im Interesse der öffentlichen Sicherheit und der Wiederherstellung geordneter Verhältnisse im Lande für dringend geboten, in diesem und gleichartigen Fällen sofort nach Feststellung des Tatbestandes mit militärischen Machtmitteln ein Zuschreiten um den zu Ausschreitungen neigenden Teil der Bevölkerung von vornhrein abschreckende Beispiele vor Augen zu führen.

Genehmigen Euere Exzellenz die erneute Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtung Otto von Kress.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 142. დოკუმენტის თარგმანი ასეთია:

„ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს გამოვუგზავნო თქვენს აღმატებულებას დედანი ჩემდამი მომართული მოხსენებისა და ამასთანავე გაცნობოთ, რომ მე მზადა ვარ სოფელ არახლოსა და ყიზილსლოში ბოროტების აღმოსაფხვრელად თქვენს განკარგულებაში გამოვგზავნო გერმანელთა ჯარი.

KAISERLICH DEUTSCHE DELEGATION
IM KAUKASUS.
J. N. D. 94.

Tiflis, den 14. September 1918.

Herr Minister !

Euerer Exzellenz beehre ich mich anbei das Original [illegible] einer [illegible] Eingabe mit dem Bemerken zu übersenden, daß ich bereit bin, zur zwangsweisen Eintreibung des verursachten Schadens in den Dörfern [illegible]aghlo und Kisilsilo deutsches Militär zur Verfügung zu stellen.

Euere Exzellenz bitte ich um baldgefällige Mitteilung, ob meinem Angebot stattgegeben werden soll. Ich halte es im Interesse der öffentlichen Sicherheit und der Wiederherstellung geordneter Verhältnisse im Lande für dringend geboten, in diesen und gleichartigen Fällen sofort nach Feststellung des Tatbestandes mit militärischen Machtmitteln einzuschreiten und dem zu [illegible] neigenden Teil der Bevölkerung [illegible] abschreckende Beispiele vor Augen zu führen.

Genehmigen [illegible] Exzellenz die erneute Versicherung meiner vorzüglichsten Hochachtung

Seiner Exzellenz
Herrn R a m i s c h w i l i,
Minister des Innern,
T i f l i s

დოკ. № 62.

ვთხოვ თქვენს აღმატებულებას სასწრაფოდ მაცნობოთ, ღებულობთ თუ არა ჩემს წინადადებას.

მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი უშიშროებისათვის და თქვენს ქვეყანაში ნორმალური პირობების აღსადგენად, სავსებით აუცილებელია ამ და მსგავს შემთხვევებში, ბოროტმოქმედების გამოვლინებისთანავე, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას სამხედრო ხასიათის ზომები, რათა დამაშინებელი მაგალითი მიეცეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც გამოსვლებისადმი აქვს მიდრეკილება.

დავშთები თქვენი აღმატებულების დიდად პატივისმცემელი ოტო ფონ-კრესი".

## 63. 1918 წ. სექტემბრის 16. სამსახურებრივი დეპეშა ყველა სადგურის უფროსს სადგ. ხაშურიდან სადგ. ყვირილამდე — ყვირილისა და ხაშურის სადგურებში გერმანელ კომენდანტთა დანიშვნის შესახებ, № 11.

გადმოცემულის თანახმად: გერმანელთა დროებით კომენდანტებად დანიშნული არიან: სადგ. ხაშურში—ლეიტენანტი შიმანი და ყვირილაში—ლეიტენანტი ალბრეხტი. გთხოვთ მიიღოთ ხოლმე მათგან უფასოდ ყველა დეპეშა, რომელიც კი ჯარების გადაყვანას ეხება, თუნდაც ბეჭედდაუსმელი. ფიცხელაური.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 12.

## 64. 1918 წ. სექტემბრის 18. ცნობიდან მუშების საქმეებში ფოთის ნავსადგურის გერმანელი კომენდანტის ჩარევის შესახებ.

„თბილისის გუბ. შრომის კომისარი ელბაქიანი გვატყობინებს: არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ნავსადგურის გერმანელი კომენდანტი ერევა შინაურ საქმეებში, რომლებიც მის კომპეტენციას არ ეკუთვნის.

ნავსადგურში ჩემი ყოფნის დროს მე მომმართეს მუშების წარმომადგენლებმა განცხადებით, რომ ერთი კერძო გემის ტკეჩით დატვირთვისას, გემის ადმინისტრაციამ, ნავსადგურის გერმ[ანელი] კომენდანტის დახმარებით, გააძევა მუშები — პროფ[ესიული] კავშირის წევრები, და თავისი მატროსების საშუალებით შეუდგა დატვირთვას. ამგვარი ჩარევის განმეორების შემთხვევაში, მუშები იმუქრებიან — ყველა სამუშაოს შევაჩერებთო...“

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 170

**06. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 19. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, № 17107.**

ამასთანავე გეგზავნებათ ასლი ოქმისა კოსალარის სასოფლო საზოგადოების კომისრის განცხადების მიხედვით იმის შესახებ, რომ სოფ. არუხლოს მცხოვრებს მოლა ფაშა ელარ ოღლის, გერმანელ ჯარისკაცთა დახმარებით, ხელში ჩაუგდია მოსავლის ნაწილი ყოფ. თავ. ორბელიანის ჩამორთმეულ მამულში. ვინაიდან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ გლეხებსა და მიწათმფლობელ-მემამულეებს შორის ურთიერთობის მოსაგვარებლად არსებობენ მთავრობის ორგანოები—საადგილ-მამულო გამგეობანი, რომელთაც დახმარებას უწევს ადგილობრივი ადმინისტრატიული ხელისუფლება, და რომ ამიტომ ამ საქმეში სხვა ხელისუფლების ჩარევა, გერმანელთა სამხედრო რაზმების სახით, წარმოადგენს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში შეჭრას, კანცელარია, შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით, გთხოვთ კეთილინებოთ და დაუკავშირდეთ გერმანელთა საიმპერატორო დელეგაციას კავკასიაში იმის თაობაზე,

რომ მან საჭირო ზომები მიიღოს შემდეგში ამგვარ შემთხვევათა განმეორების თავიდან ასაცილებლად.

შემდგომის შესახებ კანცელარიია გთხოვთ აცნობოთ მას. დირექტორი კაჩუხოვი.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 75. დოკუმენტზე რეზოლუციაა ლურჯი ფანქრით: „მიღებულია 1/X. შესრულებულ იქნას. ჩხ[ენკელი]".

## 66. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 20. ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲓ. ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲓ.

ქალაქში დადიან გერმანელი სალდათები; თუმცა მქონდა თქვენი ტელეგრამა, რომ გერმანელები მოვლენო, მარა რა მიზნით არ ვიცი, სრული დასაშვებია შესაძლებლობა რაიმე ექსცესებისა. საზოგადოებრივ აზრის დასამშვიდებლად და რაიმე პროვოკაციის ნიადაგის მოსასპობად, გთხოვთ შემატყობინოთ რად არიან მოსულნი. სიღნაღის მაზრის კომისრის თანაშემწე ტყემალაძე.

ფ. 28, ს. 206, ფურც. 41.

## 67. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 21. ᲡᲐᲓᲒ. ᲡᲐᲜᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ I ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, № 452.

დღეს, ღამის დაახლოებით 2 საათზე, სადგ. სანაინის მცველი რაზმის მთვრალ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი ძალით შეიჭრა მე-2 კლასის დარბაზში, სადაც მგზავრები იყვნენ, უმთავრესად ქალები, და მოითხოვეს — ქალიშვილები მოგვეცითო. მგზავრები შეშინდნენ, ატირებული ქალები მუხლმოდრე-

კით ემუდარებოდნენ — არაფერი დაგვიშავოთო. მე გამოვე-სარჩლე მგზავრებს, განვუცხადე გერმანელებს — საქართველოს რკინიგზის ამ რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე ვარ-მეთქი, და ვთხოვე გერმანელებს — უწესობა არ ჩაედინათ, მგზავრები და მოსამსახურეთა ოჯახები არ შეეწუხებინათ. გერმანელებმა უხეშად მიპასუხეს — არავითარ მილიციას არა ვცნობთ, ჩვენ თვითონ ვართ მცველები[1] და რაც გვინდა, იმას ვიზამთო. ერთმა უნტერ-ოფიცერმა დაიწყო ყვირილი, უხეშად მტაცა ხელი, დამიწყო ჯგვლემა და კარებზე მიმითითებდა. ერთს გერმანელ ჯარისკაცს უნდოდა ამხანაგების დაშოშმინება, აუხსნა მათ — საქართველოს მთავრობისგანაც არის მილიცია და მილიციის უფროსიო, მაგრამ უნტერ-ოფიცერმა შემომი-ტია, დაიწყო ყვირილი — აქ ჩვენ შეგვიძლია ისა ვქნათ, რაც კი გვსურსო. მიუთითებდნენ რა ჩემს ბინაზე, სადაც ჩემი ცო-ლი იყო, და გარე-კარზე, გერმანელებმა ამიხსნეს, რომ მე გა-რეთ გამაგდებდნენ, თვითონ კი ჩემს ბინაში შევიდოდნენ. როდესაც მე განვუცხადე — ამას არ მოველოდი-მეთქი გერმა-ნელებისაგან, რომელნიც დისციპლინისა და წესრიგის მაგა-ლითს უნდა გვიჩვენებდნენ, და ვთხოვე — სკანდალი არ მოეხ-დინათ, გერმანელმა უნტერ-ოფიცერმა ხელი მტაცა და კარებს მიმახალა. ქალები მხოლოდ იმიტომ არ წაუყვანიათ, რომ ჩემმა ცოლმა გერმანელებისდა შეუმჩნევლად თავის ბინაში დამალა რამდენიმე ახალგაზრდა ქალი. შეურაცხყოფილი ვარ როგორც ადამიანი, როგორც მოქალაქე და როგორც საქარ-თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზის მოსამსახუ-რე. გთხოვთ დამიცვათ მე და დაიცვათ მგზავრები. კრავჩენკო.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 20—21. დეპეშის ასლები ერთ და იმავე დროს გაგზავნილი იყო გერმანიის მისიაში და საქარ-თველოს გზათა სამინისტროში. გზათა სამინისტრომ დეპეშის

[1] ასეა დოკუმენტში.

ასლი გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი მიმართვით: „გიგზავნით რა ამასთანავე დეპეშის ასლს... დაბეჯითებით გთხოვთ სათანადო კატეგორიული წინადადება მისცეთ გერმანიის სამხედრო მისიას იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ამგვარი უმსგავსობანი, რომელთაც უკანასკნელ ხანებში ქრონიკული ხასიათი მიიღეს. გზათა სამინისტროს პატივი აქვს ამასთანავე გაცნობოთ, [რომ] თანდართულ დეპეშაში აღნიშნულ მოვლენებს შესაძლებელია მძიმე შედეგები მოჰყვეს, ვინაიდან, გარდა სხვა მოსაზრებებისა, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ არასასურველი მოძრაობა რკინიგზის მოსამსახურეთა შორის. გზათა მინისტრის თანამდ. აღმსრ. მალანია. კანცელარიის მმართველი ლამბაშიძე, № 3721", უთარიღო (ფურც. 13).

### 68. 1918 წ. სექტემბრის 22. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენ. ფონ-კრესის წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი გლეხებისათვის გორის მაზრის მემამულეთა სასარგებლოდ გერმანელთა საგანგებო სამხედრო რაზმის დახმარებით საიჯარო ქირის გადახდევინების შესახებ, № 1018.

ბატონო მინისტრო! მე გავიგე, რომ დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ყველა ჩემს ცდასა და ზეპირ თხოვნას რითაც მე პატივი მქონდა მომემართნა თქვენი აღმატებულებისა და ბატონ მინისტრ-თავმჯდომარისადმი იმის შესახებ რომ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გლეხებს 191 წლის მოსავლის საიჯარო ქირა გადაეხადნათ გორის მაზრის მემამულეებისათვის. პირიქით, როგორც სჩანს, მდგომარეობ დღითი-დღე სულ უფრო უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ, მოკვლის შიშით, ვე გაუბედნიათ თავიანთ მამულებში მისვლა კუთვნილი თანხები ასაკრეფად.

ვიღებ რა მხედველობაში ასეთს აუტანელ მდგომარეობა ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ წინადადებით — დაუ

ყოვნებლივ შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენელი, მემამულეების ორი წარმომადგენელი და დელეგაციის ერთი წარმომადგენელი. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს ის საერთო თანხა, რაც ჯერ კიდევ ასაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, შემდეგ კი შეუდგეს კუთვნილი საიჯარო ქირის აკრეფას. ამ უკანასკნელი ამოცანის წარმატებით შესასრულებლად კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, კეთილინებოთ და რაც შეიძლება მალე შემატყობინოთ პასუხი აღნიშნულ ჩემს წინადადებაზე, რომელიც, როგორც მე მგონია, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს გერმანელთა ჯარების შეიარაღებული ჩარევის თავიდან ასაცილებლად. ვსარგებლობ შემთხვევით — კვლავ გამოვთქვა თქვენი აღმატებულების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის გრძნობა. ფონ-კრესი.

„კრებული დოკუმენტებისა და მასალებისა ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხზე“, საქართველოს მთავრობის გამოცემა, 1919 წ., თბილისი, გვ. 381.

### 60. 1918 წ. სექტემბრის 26. თეთრი წყაროს რაიონის კომისრის პატაკი თბილისის მაზრის კომისრისადმი დაწვრილებითი ცნობებით გერმანელების მიერ სოფლის კომისრის ოსიპოვის მოკვლის შესახებ, № 1175.

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. 250 მუხლის თანახმად, მოგახსენებთ შემდეგს: ამა სექტემბრის 25-ს, დილის დაახლოებით 8 საათზე, გერმანელთა მე-10 საიერიშო ბატალიონის ოფიცერი, ექვსი ჯარისკაცის თანხლებით, ფურგონით მოვიდა სოფ. სამშვილდეში და სამშვილდის კომისრის თანამდ. აღმასრულე-

ბელ ოვაკიმ ოსიპოვს მოსთხოვა 20 ფუთი პურის ხორბალი და 10 ფუთი ქერი. კომისარმა ოსიპოვმა სთხოვა წარედგინათ უბნის კომისრის მოთხოვნილება, ურომლისოდაც გაცემა არ შეიძლება, რაზედაც ოფიცერმა წარუდგინა თეთრი წყაროს გარნიზონის კომენდანტის, პოდპოლკოვნიკ შელამოვის მოთხოვნილება დაგეთ-ხაჩინის კომისრის სახელზე; მაშინ ოსიპოვმა, რომელიც დარწმუნდა, რომ ოფიცერი ჯარისკაცებთან ერთად, ადგილის უცოდინარობის გამო, სოფ[ელში] შეცდომით მოსულიყო, წინადადება მისცა — გამგზავრებულიყვნენ სოფ. დაგეთ-ხაჩინში, რომელიც 2 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ოფიცერმა არ მოისურვა ეცნო თავისი შეცდომა და თავისი ჯარისკაცის-თარჯიმანის საშუალებით გადასცა — თუ ალაფი ნახევარ საათში მზად არ იქნება, მაშინ სხვანაირად გაგისწორდებითო; ამაზე ოსიპოვმა უპასუხა: გუშინ ჩვენ, მოთხოვნილებით [1], თეთრი წყაროს გარნიზონის ჯარების ნაწილისათვის მე გავეცი ალაფი, ვინაიდან, თუ არ იქნა ბრძანება რაიონის კომისრისა, რომელსაც ეს საქმე აბარია, არაფრის გაცემა არ შემიძლია, ამიტომ მომეცით ერთი საათი ვადა,—წავალ, მოვახსენებ რაიონის კომისარს, თუ ის მიბრძანებს, მაშინ შევასრულებო. კომისრის თანამდ. აღმსრ. ოსიპოვი მოსცილდა გერმანელ ოფიცერს და ჯარისკაცებს, [უნდოდა] თეთრ წყაროში გაეგზავნა არჩეული პირები [გერმანელთა] უკანონო მოქმედების შესახებ შესატყობინებლად, და, მივიდა რა წყარომდე, რომელიც საზოგადოების კანცელარიას დაახლოებით 50 საჟენით არის დაშორებული [1]. გერმანელი ოფიცერი კი ჯარისკაცების თანხლებით გაემართა ბელლისაკენ, რომელიც კომისრის თანამდ. აღმსრ. ოსიპოვს ეკუთვნოდა, უბრძანა გაეტეხათ ბოქლომი და ტომრებში ჩაეყარათ ხორ-

---

[1] ასეა დოკუმენტში.

ბალი. ოსიპოვის ცოლმა თხოვნა დაუწყო — ნუ ჩაიდენთ უკანონო მოქმედებასო; მაშინ ერთმა ჯარისკაცმა რევოლვერი იძრო, მოკვლას დაემუქრა, მუშტი ჰკრა მკერდში, რისგანაც ქალი წაიქცა და ყვირილი მორთო — მიშველეთო. ამ ყვირილზე მოცვივდნენ ოსიპოვი და მისი თანასოფლელები, [რომლებმაც] აგრეთვე დაუწყეს თხოვნა. მაშინ ჯარისკაცებმა იმასაც დაუწყეს კონდახებით ცემა. [ოსიპოვი] ხელიდან გაუსხლტა მათ, უნდოდა წასულიყო რაიონის კომისართან, მოეხსენებინა უკანონო მოქმედების შესახებ და, მივიდა რა საზოგადოებრივ წყარომდე[1], მაშინ ორმა ჯარისკაცმა ორჯერ ესროლა მას შაშხანა, და ერთი გასროლით იქვე მოკლულ იქნა კომისრის თანამდ. აღმსრ. ოვაკიმ ოსიპოვი, — ტყვია კეფაში მოხვდა და შუბლამდე გაატანა, მარჯვენა თვალის ზემოთ.

მოგახსენებთ რა ზემონათქვამს, გაცნობებთ, რომ გამოძიების ოქმი, როგორც სამხედრო პირთა დაკითხვისადმი მისაკუთვნებელი, ა. წ. 25 სექტემბერს №...[2] განკარგულებისათვის გადავუგზავნე რაზმის უფროსს. გენ. წულუკიძეს. თეთრი წყაროს რაიონის კომისარი...

ფ. 13, ს. 18, ფურც. 54. დედანი მაზრის კომისარს გადაუგზავნია თბილისის გუბერნიის კომისარიატში შემდეგი წარწერით: „წარმოგიდგენთ რა ცნობად, მოგახსენებთ, რომ ამის შესახებ ამავდროულად № 1344-ით ვატყობინებ თბილისის მაზრის 1 უბნის გამომძიებელს. 1918 წ. ოქტომბრის 4". გუბერნიის კომისარიატს კი, თავის მხრივ, დოკუმენტი გადაუგზავნია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის ასეთი წარწერით „წარმოგიდგენთ ამ ასლს ცნობად და განკარგულებისათვის 1918 წ. 15 ოქტომბერი".

---

[1] ასეა დოკუმენტში.

[2] დოკუმენტში გამოტოვებულია.

## 70. 1918 წ. სექტემბრის 26. გაზეთ „ერთობის“ მოწინავე სტატიიდან — „გერმანელები ჩვენში“.

„... ქართული დემოკრატია, მასსა, დიდი ნდობის მქონეა. იგი სიტყვას უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავს და ამასვე მოელის ის მოკავშირესაგან. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ჩვენს მოკავშირეთა ზოგიერთ ელემენტების მოქმედებაში ყველაფერი რიგზე იყოს. პირიქით, ბევრი რამ პირველ შთაბეჭდილებას მეტად ცუდს სტოვებს.

გერმანიის ჯარის მოქმედებაშიც არის ისეთი რამ, რაც არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მეგობრობის განმტკიცებელი.

ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიები იყო, და ყველანი ერთხმად უჩივიან იმ გერმანელ ჯარის უდიერ მოპყრობას, რომელნიც კოლონისტთა სოფლებში არიან დაბანაკებულნი.

აქ რასაკვირველია ის კი არ არის გასაკვირი, რომ გერმანელები იცავენ კოლონისტებს. ხალხის უკმაყოფილებას ბადებს ის გარემოება, რომ ხშირად ეს ჯარი ერევა ცალმხრივათ ნემეც კოლონისტთა და მეზობელ სოფლების ურთიერთობაში, თავის ძალით ასამართლებს ამათ, არბევს ქართველ, სომხურ ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოთ, თვით ასამართლებს და ახდევინებს მათ ჯარიმას. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ კომისრის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია საქართველოს მოქალაქე გლეხკაცობა ფიზიკურ შეურაცხყოფისაგან.

გერმანელებმა არ შეიძლება არ იცოდენ, რომ საქართველო ოსმალეთი არაა, რომ ქართველი მოქალაქე ფიზიკურ სას-

ჯელს ვერ შეეგუება, თვით რუსის კანონსაც კი, რომელიც სოფლელთ შიდა რუსეთში როზგავდა, ჩვენში ეს სასჯელი არ გაუვაუტანია. მხოლოდ რუსეთის დამსჯელ ექსპედიციებისაგან თუ ახსოვს ჩვენს ხალხს გამათრახება... ეხლაც ამიტომ ანალოგიური გრძნობები იღვიძებს მასში".

გაზ. „ერთობა", ქართველი მენშევიკების ორგანო, 1918 წ., № 204.

### 71. 1918 წ. სექტემბრის 26. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენ. ფონ-კრესის მიმართვიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი გორის მაზრის მემამულეთა დაპატიმრების მიზეზის შეტყობინების მოთხოვნით, № 1060.

„ბატონო მინისტრო! გორის მაზრის მემამულეების — თავად გიორგი და დავით ბაგრატიონ-დავითაშვილების, დეკანოზოვისა და მათი მეგობრების დაპატიმრების ცნობამ მაშინვე გამოიწვია ქალაქში მითქმა-მოთქმა, თითქოს ეს პირნი იმისთვის დაეპატიმრებინოთ, რომ მათ თხოვნით მიმართეს გერმანიის დელეგაციას — დახმარება გაეწია მათთვის 1917 წლის მოსავლის კუთვნილი საიჯარო ქირის აღების საქმეში.

თუმცა თქვენს აღმატებულებას არაერთგზის დავურწმუნებივარ ამ საკითხში, რის გამოც მე არ მინდოდა მნიშვნელობა მიმეცა ზემოთ აღნიშნული მითქმა-მოთქმისათვის, მაგრამ არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო იმ ხმებს, რაც ყოველთვის წარმოიშობა ხოლმე ამგვარ შემთხვევებში და რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეთ.

ამის გამო, თქვენი აღმატებულებისათვის ნათელი იქნება, რომ თავიდანვე ყოველი გაუგებრობის ასაცილებლად მე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნო ამ საქმის დაუ-

ყოვნებლივ გამორკვევას. იმ ცნობების მიხედვით, რაც მე მომეპოვება, დაპატიმრების მიზეზი იყო სახელმწიფო ღალატის ბრალდება. ამიტომ ვთხოვ თქვენს აღმატებულებას კეთილინებოთ და შემატყობინოთ რაც შეიძლება მოკლე ხანში ის მიზეზები, რაც საფუძველი გახდა ასეთი ბრალდების აღძვრისათვის. ჩემის აზრით, მარტო ის ფაქტი, რომ მემამულეებმა დახმარებისათვის მე მომმართეს, საფუძვლად ვერ დაედება მათთვის დანაშაულის დაბრალებას... სწორედ ასევე მთავრობას არ შეუძლია არაკეთილსაიმედოდ მიიჩნიოს პარტიის ანდა მოქალაქეთა ჯგუფის პოლიტიკა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არის მიმართული. სანამ ეს პოლიტიკა თვით სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული, არ შეიძლება ის სახელმწიფო ღალატად ჩაითვალოს. თუ ასე იმოქმედებს, მთავრობა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შერიგების ნაცვლად, დიდ დაბრკოლებას შეუქმნის ქვეყნის დაწყნარებისა და აღორძინების საქმეს.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, კეთილინებოთ და რაც შეიძლება მალე მომცეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი ჩემს მიერ აღძრულ საკითხზე და დარწმუნებული იყოთ თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემის გრძნობაში, ფონ-კრესი“.

„კრებული დოკუმენტებისა და მასალებისა ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხზე“, საქართველოს მთავრობის გამოცემა, 1919 წ., თბილისი, გვ. 382—383.

**72. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 20. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, № 8560.**

მე-6 უბნის უფროსმა მილიციონერმა თეთრაძემ პატაკით აცნობა მილიციის უფროსს, რომ 1918 წლის 12 სექტემბერს ღამით საგუშაგოების შემოვლის დროს ხუთი გერმანელი ჯარისკაცი თავს დაესხა მილიციონერ გძელაძეს, იარაღი აჰყარეს და სცემეს მას. თოფი ჯარისკაცებს უკანვე ჩამოერთვათ.

ზემოაღნიშნულს მოგახსენებთ ცნობად და სათანადო განკარგულებისათვის. ქალაქის თავის მაგიერ...

ფ. 11, ს. 450, ფურც. 109.

**73. 1918 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 27. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ნ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲒᲔᲜ. ᲤᲝᲜᲙᲠᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, № 8909.**

თქვენო აღმატებულებავ! პასუხად თქვენი პატივსადები წერილების 22 და 25 სექტემბრის თარიღით, №№ 1018 და 1060, პატივი მაქვს განვუმეორო თქვენს აღმატებულებას ის, რაც ჩემს მიერ უკვე იყო სიტყვიერად თქმული, სახელდობრ, რომ ხსენებული მემამულეები იმისთვის დააპატიმრეს, რომ ისინი ცდილობდნენ კვლავ შეექმნათ შავი რაზმი, მსგავსად 1905 წელს მომქმედი რაზმისა, ეს კი გამოიწვევდა ანარქიას მთელს ქვეყანაში, და ამ საკითხზე სასწრაფო წესით სწარმოებს სასტიკი გამოძიება.

საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავრობა ადგია არსებული კანონების მტკიცედ შესრულების თვალსაზრისს, რომელთა საფუძველზედაც მემამულეებს მინიჭებული აქვთ უფლება—მიიღონ კანონით მათდამი მიკუთვნებული შე-

მოსავალი მამულებიდან ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტებისა და სასურსათო ორგანიზაციების მეშვეობით, და, უკეთუ ისინი არ დაეთანხმებიან ამ დაწესებულებათა დადგენილებებს, მათ უნდა მიმართონ სასამართლოს. ამიტომ მთავრობას არ შეუძლია დაუშვას ყოფილ მემამულეთა დამოუკიდებელი გამოსვლები, რისკენაც ისინი ისწრაფვოდნენ.

ამისა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ თქვენი აღმატებულება ზედმეტად მიიჩნევს შერეული კომისიის შექმნას, რის საჭიროებაც არ არის.

რაც შეეხება მოქალაქეებს, ყველა მათს უფლებებს თანაბრად იცავს კანონი და მთავრობა. აი რატომ მიიჩნია მთავრობამ კანონიერ ქმედობად სოფლის მეურნეთა კავშირის შექმნა. გარდა ამისა, მე წინადადება მივეცი ამ კავშირის მოღვაწეებს — წარმოადგინონ პროექტი ყოფილ თავად-აზნაურთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რაც სრულდება კიდევაც.

დასასრულ საჭიროდ ვთვლი განვუცხადო თქვენს აღმატებულებას, რომ მთავრობას არავინ დაუპატიმრებია ჩვენთან მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფი მისიისადმი მიმართვის გამო და რომ ამგვარი ხმები ვრცელდება ბოროტი განზრახვით, ჩვენი კარგი ურთიერთობის ჩაშლის მიზნით. ჩვენი ცნობების თანახმად, ამას სჩადიან ყოფილ თავად-აზნაურთა ზოგიერთი წრეებიც, რათა ვიწრო-ჯგუფობრივი ინტერესებისათვის გამოიყენონ თქვენი აღმატებულების ავტორიტეტი.

ვაცნობებ რა ყოველივე ამას თქვენს აღმატებულებას პასუხად №№ 1018 და 1060 წერილებისა, ვსარგებლობ შემთხვევით— კვლავ დაგარწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემის გრძნობაში. ნ. რამიშვილი.

„კრებული დოკუმენტებისა და მასალებისა ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხზე", საქართველოს მთავრობის გამოცემა, 1919 წ., თბილისი, გვ. 384—385.

## 74. 1918 Წ. ՍᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘՍ 30. ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ՍᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘՍᲢᲠᲘՍ Ნ. ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘՍ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘՍ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘՍ ᲣᲤᲠᲝՍᲘՍᲐᲓᲛᲘ ᲛᲘՍ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ Დ. ᲙᲔᲚᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘՍ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲘՍ ᲓᲐՍᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲖᲝᲛᲔᲑᲘՍ ᲛᲘᲦᲔᲑᲘՍ ᲨᲔՍᲐᲮᲔᲑ, № 8629.

Exzellenz,

In Beantwortung Ihrer Zuschrift sub № 775 an das Ministerium des Innern, beehre ich mich Sie zu benachrichtigen, dass der Regierungs-Kommissar beauftragt worden ist dringende Massregeln zu ergreifen zum Schutz der Besitzung des Dawid Kelberaschwili im Dorfe Ertisi, im Tifliser Kreise.

In vorzüglicher Hochachtung der Minister des Auswärtigen N. Ramischwili.

ფ. 13, ს. 18, ფურც. 127. დოკუმენტის თარგმანი ასეთია: „თქვენო აღმატებულებავ! პასუხად თქვენი № 775 წერილისა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ მთავრობის კომისარს დაევალა—სასწრაფო ზომები მიიღოს დავით კელბერაშვილის მფლობელობის დასაცავად სოფელ ერთისში, თბილისის ოლქში. ღრმა პატივისცემით, საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი".

## 75. 1918 Წ. ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘՍ 6. ᲪᲜᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘՍ ᲛᲘᲔᲠ ᲤᲝᲗᲘՍ ᲜᲐᲕՍᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ՍᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝՍ ᲒᲔᲛᲔᲑᲘՍ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲒᲓᲔᲑᲘՍ ᲨᲔՍᲐᲮᲔᲑ.

ფოთის ქალაქის თავის მოვალეობის აღმსრულებელი კორძაია დეპეშით ატყობინებს მთავრობის თავმჯდომარეს, გზათა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებს, რომ ნავსადგურის გერმანელ კომენდანტს ხელში ჩაუგდია ნავსადგურში მდგომი ყველა გემი, როგორც მთავრობის, ისე ქალაქისა, და თავისი

გუშაგები დაუყენებია ნავსადგურის ყველა დაწესებულებებსა და სახაზინო საწყობებთან. კორძაია თხოულობს სათანადო განმარტებათა და მითითებათა მიცემას.

გაზ. „ბორბა“, 1918 წ., № 185.

### 76. 1918 წ. ოქტომბრის 14. მოსამსახურეთა პროფკავშირების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მიერ საქართველოს რკინიგზების უფროსისადმი გაგზავნილი განცხადებიდან გერმანელი ჯარისკაცების მიერ მგზავრების შევიწროების შესახებ, № 6887.

„13 ამ თვეს, შემთხვევით გიახელით თბილისის სადგურზედ. პირველ ლიანდაგზე იდგა წასასვლელად გამზადებული მესამე ნომერი მატარებელი. პირველი კლასის ერთ-ერთ ვაგონს ყარაულობდნენ გერმანელი ჯარისკაცები, ვაგონში არავის უშვებდენ. ამ დროს ერთმა მგზავრთაგანმა მოინდომა შესულიყო იმ ვაგონში, რომელსაც გერმანელი სალდათები ყარაულობდნენ, მაგრამ ჯარისკაცებმა თოფის კონდახის ცემით გამოაგდეს. მგზავრმა ვერ მოითმინა და ჯარისკაცს გაარტყა. ჯარისკაცებმა თოფებში პატრონები ჩააწყვეს და სროლა დააპირეს. მგზავრმა „მაუზერის“ რევოლვერი ამოიღო თავის დასაფარავათ. მგზავრები დაფრთხენ, ბავშვებმა და ქალებმა მორთეს კივილ-წივილი. ამ დროს გაჩნდნენ მილიციონერები, იყვნენ ორი-სამი ქართველი აფიცრებიც, ჩაერიენ შიგ და შეაჩერეს სალდათები. შემდეგ მოვიდა გერმანელი კომენდანტი; შეუდგნენ იმ მგზავრის ძებნას: ის დროებით მიიმალა. ბატონ კომენდანტმა ცილი დასწამა სადგურის უფროსის თანაშემწეს ამხ. იოსელიანს—ვითომც მას დაემალოს ის მგზავრი, როგორც ქართველი, რამაც ძლიერ ააღელვა როგორც ამხ. იოსელიანი, ისე ჩვენ ყველა რკინის გზის მოსამსახურეები, რომლებიც მოწამე ვიყავით ამ სურათისა. შემდეგ ის მგზავრი ისევ

N. 3457

9 · 128

30 septembre

AN DEN HERRN CHEF DER KAISERLICH DEUTSCHEN DELEGATION IM KAUKASUS.

3619

Excellenz,

In Beantwrptung Ihrer Zuschrift sub N2778 an das Ministerium des Innern, beehre ich mich Sie zu benachrichtige, dass der Regierungs Kommissar beauftragt worden ist dringende Massregeln zu ergreifen zum Schutz der Besitzung des David Kelberaschwili im Dorfe Ertisi, im Tifliser Kreise.

In vorzüglicher Hochachtung

DER MINISTER DES AUSWERTIGEN N. Ramishvili

DER KANZELLEICHEF M. Tsereteli [signature]

დოკ. № 74.

იქავე აღმოჩნდა და დაპატიმრებულ იქნა. ამ ინციდენტის დროს არსად სჩანდა ქართველი კომენდანტი. ეს ხელს უწყობს გერმანელ კომენდანტს თავისუფალ მოქმედებაში, რის შედეგად მგზავრების და მოსამსახურეების დიდი უმეტესი ნაწილი მეტად აღელვებულია. ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე—ი. მეგრელიშვილი".

ფ. 17, ს. 45, ფურც. 30.

## 77. 1918 წ. ოქტომბრის 16. დუშეთის მაზრის ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის აქტი სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელთა ჯარების უწესობათა შესახებ.

სოფელ ვორონცოვკაში წინათ და ახლა მობანაკე გერმანელთა სამხედრო ნაწილების უფროსები, ერევიან რა ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებში, მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ თვით ტყვიამფრქვევების გამოდგმამდე, არც ცალკეულ ჯარისკაცებს აკავებენ, ეს უკანასკნელნი კი აშკარად შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენენ მოსახლეობისადმი, რომელიც დღემდე სრულიად ულაპარაკოდ, უექსცესოდ ჰკვებავდა მათ თავისი შრომით მოპოვებული და ახლა მეტად ძვირი პურით იმ ნიხრის მიხედვით, რომელიც თვითონ გვიჩვენებს, თუ რაოდენი მსხვერპლი გაიღო ამ მხრივ მოსახლეობამ.

ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: ახლა, ე. ი. ამ აქტის შედგენის დღისათვის, საქმე კიდევ უფრო შორს წავიდა, და „მშვიდობიან მფარველთა" თვითნებობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ იძულებულნი ვართ შევადგინოთ ეს აქტი, რომლითაც ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ნამდვილად ვადასტურებთ ჩვენი ხელისმოწერით.

ამ ორი-სამი დღის წინათ[1], ემზადებოდნენ რა გასამგზავრებ-

[1] ტექსტში: „მანამდე ორი-სამი დღის წინათ".

ლად, ვორონცოვკაში მყოფმა 1-მა და მე-2 ცხენოსანმა ესკადრონებმა ჩაიდინეს ასეთი თვითნებობა, უეჭველად დანაშაულებრივი ხასიათისა:

1. ამა ოქტომბრის 7-ში აღნიშნული ესკადრონების ჯარისკაცები ღამით დასაჭერად დაერივნენ პავლე რეშეტოვის ბატებს; ყვირილზე და ძაღლების ყეფის ხმაზე გამოვარდა სახლის პატრონი, მას თოფი ესროლეს, ამასთან მეზობელმა, ივანე იაკუშოვმა დაიჭირა ჯარისკაცი, რომელიც იარაღით იცავდა თავს და ჩხუბის ადგილზე ორი ვაზნა და ფეხსაცმლის ამძვრალი ლანჩა დასტოვა. დილით დაკლული ბატები უპოვეს გერმანელ ოფიცერთა საკრებულოს იჯარადარს ფრიცს...[1] რომელმაც განაცხადა, ბატები გერმანელმა ჯარისკაცებმა მომიტანესო.

ამ შემთხვევის დროს ჯარისკაცებმა პავლე რეშეტოვსა და ივანე იაკუშოვს თოფით მოუკლეს ჯაჭვით დაბმული ორი ძაღლი.

2. 13 ოქტომბერს ღამით შაშხანებით შეიარაღებულ მთვრალ ჯარისკაცთა ჯგუფი შედიოდა ზოგიერთ ეზოში, ამტვრევდა კარებს—თუ მათს ღრიალზე კარებს არ უღებდნენ, ამასთან ჯარისკაცები ხიშტით მოქმედებდნენ. ერთ-ერთ აღნიშნულ ბინაში მათ გამოეგება სახლის პატრონი ივანე შვეცოვი, რომელსაც ისინი გარს შემოეხვივნენ, შემდეგ სცემეს და ხიშტებით დასჭრეს. შვეცოვი გაუსხლტა ჯარისკაცს და მეზობელთან გაიქცა, [მაგრამ ამ დროს] მას ორჯერ ესროლეს და ფერდში დასჭრეს. მეზობელთან რომ შეაფარა თავი, შვეცოვი გერმანელთა წასვლას დაელოდა და თვითონაც წავიდა. ჯარისკაცებმა კი საშველად ამხანაგებს დაუძახეს, ქოხში შეცვივდნენ და შვეცოვის ძებნაში ყველაფერი გადააქოთეს იქ, თანაც

---

[1] ტექსტში გამოტოვებულია სიტყვა.

მის პატრონს დაემუქრნენ—მოგკლავთ, თუ შველოვს არ ჩაგვაგდებინებ ხელშიო. შველოვს რომ ვერ მიაგნეს, ისინი წავიდნენ.

3. 14 ოქტომბერს ღამით განმეორდა მთვრალი ჯარისკაცების სიარული ქუჩებში, დილით კი ცალკეულმა მოსახლეებმა განაცხადეს სხვადასხვა საოჯახო ქონებისა და ისევ ბატების დაკარგვის შესახებ.

4. ქურდობა გაგრძელდა ესკადრონების აქ დგომის მთელი ხნის განმავლობაში, ხოლო 14, 15 ოქტომბერს, არ დასჯერდნენ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, გერმანელები თვითნებურად და ძალით ართმევდნენ სოფლელებს შვრიასა და ქერს, ამასთან შედიოდნენ სახლებსა და ბეღლებში, თვითონ პოულობდნენ ყველაფერს, რაც კი მათ ესაჭიროებოდათ, თავისი შეხედულებისამებრ უნაწილებდნენ პატრონს და თან მიჰქონდათ, ამასთან ზოგიერთს აძლევდნენ, ზოგიერთს კი სულაც არ აძლევდნენ ხელწერილს. გერმანელებს ტომრებიც თან მიჰქონდათ. მთელი მიყენებული ზარალის შესახებ შედგენილი იქნება ცალკე აქტი დაზარალებულთათვის საზღაურის მისაცემად.

ყოველივე ამის შესახებ თავის დროზე ეცნობა [გერმანელთა] კომენდანტს, მაგრამ კომენდანტს არავითარი ზომები არ მიუღია, და თარეში დღემდე გრძელდება.

დღეს ჩვენთან მოვიდნენ მე-10 ქვეითი მოიერ[იშე] ბატალიონის კვარტირიერები და ღამით კომისარ ტალანოვს მოსთხოვეს 30 ფორანი და 20 ცხენი — შუშის ქარხნიდან, ე. ი. 27 ვერსის მანძილზე, ჩვენსავე სოფელში თავიანთი ალალისა და ჯარისკაცების გადმოსაყვანად. ტალანოვი იმ აზრისა იყო, რომ ჩვენი სოფლიდან რაიმეს გადაზიდვა ჩვენ გვევალება, ჩვენთან გადმოზიდვა კი—სხვებს, და უარი უთხრა ფორანების მიცემაზე, თან აღნიშნა — დღეს ვორონცოვკელებმა უკვე 48 ფორანი გამოიყვანეს ჩვენი სოფლიდან გასამგზავრებელი ესკადრონებისთვისო. გერმანელმა ოფიცერ-კვარტირიერმა გამო-

ლანძღა კომისარი ტალანოვი, დაიბარა თემის კომისარი ეროპკინი და იგივე მოთხოვნები წაუყენა მას; უკანასკნელმა ისევე უპასუხა, როგორც ტალანოვმა, — სხვანაირი პასუხის გაცემა, ზემონათქვამის მიხედვით, მას არც შეეძლო.

მაშინ ხსენებულმა ოფიცერმა მოიხსნა პირი, ლანძღვა-გინება დაუწყო ეროპკინს, სულ ჯოხით ემუქრებოდა მას და მკერდშიც ჩაავლო ხელი.

ამის შემდეგ ამ ოფიცერმა განკარგულება გასცა, და მისი ჯარისკაცები ეზოებს მოედვნენ, სადაც იარაღის დამუქრებით, ძალით შეაბმევინეს მოსახლეებს ცხენები და ერეკებოდნენ სადაც საჭირო იყო, ამასთან გამოჰყავდათ არა-მკვიდრი მცხოვრებნიც, სოფელ ვორონცოვკაში შემთხვევით მყოფნი.

ზემოხსენებულის მიხედვით, ამ აქტით ჩვენ დავადგინეთ: ყოველივე ეს ეცნობოს მთავრობას და ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს, აღნიშნულ უწესობათა აღმოფხვრისათვის ზომების მისაღებად, იმიტომ რომ ჩვენ საკმაოდ გაყვლეფილნი ვართ მათ მიერ ნიხრითაც და უნიხროდაც, თანაც ამჟამად ვორონცოვკაში 3000-ზე მეტი ლტოლვილი ცხოვრობს, რომელნიც ჩვენი პურით იკვებებიან.

თუ გერმანელები კვლავაც ასე გაგვაწვალებენ და გაგვყვლეფავენ, მაშინ ჩვენ და ჩვენი ამხანაგები — ლტოლვილნი მშივრები დავრჩებით და ისღა დაგვრჩენია, რომ სხვები ვძარცვოთ, როგორც ახლა ჩვენ გვძარცვავენ. ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად გთხოვთ აგვისრულოთ თხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენების შედეგებისათვის პასუხს არ ვაგებთ. რწმუნებულნი: ივანე კონოვალოვი, სიმონ ნოვოსელცევი. სოფელ ვორონცოვკის კომისარი: ვ. ტალანოვი. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი... [1]

რუსთა ეროვნული საბჭოს ლორის განყოფილებას. კუთვნილებისამებრ. 1918 წ. 19 ოქტომბერი. № 818. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი... [1]

---

[1] ვორონცოვკის საზოგადოების კომისრის გვარი აღნიშნული არ არის.

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს. საბჭოს ლორის განყოფილება არაფერს უმატებს ვორონცოვკის თემის კომისრის მიერ ზემოთ მოხსენებულს, მაგრამ საერთოდ ადასტურებს, რომ აქ არ არის ჯერ კიდევ აღნიშნული ყველაფერი ის, რასაც შეუძლია დაგვისურათოს გერმანელ ჯარისკაცთა მთელი თვითნებობა, — ეს თვითნებობა დრტვინვას იწვევს მოსახლეობაში და დიდი უსიამოვნების საფრთხეს ჰქმნის, რის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ თვითნებობის სწრაფი აღკვეთით, — ლორის განყოფილებაც სწორედ ამას სთხოვს რუსთა საბჭოს ხელისუფლების წინაშე შუამდგომლობის გზით. № 47, 1918 წ. 21 ოქტომბერი. ამიერ-კავკ[ასიის] რუსთა ეროვნ[ული] საბჭ[ოს] ლორის განყოფილების თავმჯდ[ომარე]...[1] საბჭოს მდივანი სამსონოვი.

ფ. 4, ს. 477, ფურც. 55—56.

### 78. 1918 წ. ოქტომბრის 15. ვორონცოვკის საზოგადოების კომისრის აქტი „სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელთა ჯარების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ".

ამა რიცხვს მე, ვორონცოვკის საზოგადოების კომისარმა, დამატებად ჩემს მიერ ამა ოქტომბრის 15-ს შედგენილი აქტისა, ქვემორე ხელისმომწერი ორი მოწმის თანდასწრებით, შევადგინე ესე აქტი მთელი იმ ზარალის შესახებ, რაც მოყენებულია სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ, ამასთან აღმოჩნდა შემდეგი:

სოფელ ვორონცოვკაში 1-ლი და მე-4 ესკადრონების ყოფნის დროს სოფელ ვორონცოვკის მცხოვრებს ბართლომე ყარაევს ესკადრონების ჯარისკაცებმა წაართვეს და გაანიავეს:

---

[1] ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ლორის განყოფილების თავმჯდომარის გვარი აღნიშნული არ არის.

6 ც[ალი] ფანჯარა მინებიანად 600 მანეთისა, სამი ხის კარი 450 მანეთისა, 60 არშ[ინი] ფიცარი, არშ. 10 მან., 600 მანეთისა, წაახდინეს და დაიტაცეს სალეწი მანქანის ნაწილები 2500 მან., 2 ბატი და 10 ქათამი, თითო ბატი 25 მან. და ქათამი 10 მან., სულ 150 მან., თივა 100 ფუთი, ფუთი 8 მ., 800 მანეთისა, 100 ფუთი ბზე, ფუთი 3 მან., — 300 მანეთისა. გააფუჭეს და ჩაამტვრიეს საცხოვრებელი შენობის ჭერი და სახურავი — 500 მან., 14 ცალი ფანჯრის დარაბა — 500 მან., 3 ც. რკინის ფიწალი თივისათვის — 21 მან. სულ 6.421 მან.

ს[ოფელ] ვორონცოვკის მცხ[ოვრებს] ვასილ სპირიდონის-ძე სოლოვიოვს [წაართვეს]: 120 არშ. ფიცარი, არშ. 10 მან., 1200 მანეთისა, 3 ცალი ვენური სკამი, თითო 100 მან., 300 მანეთისა, თუთიის ვედრო — 15 მან., ლითონის გოვზაკი — 100 მან., სულ 1615 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ალექსი ვასილის-ძე ნოვოსელცევს— 24 არშ. ფიცარი — 800 მან., 50 ფუთი თივა, ფუთი 8 მან.,— 400 მან., 20 გ[ირვანქა] თოკი — 140 მან., ბოქლომი — 25 მან., 2 ც. ვედრო — 30 მან., 1 ც. რკინ. ფიწალი — 7 მან. სულ 1420 მანეთისა.

ყარსის ოლქ[ის] ლტოლვილს თბილისიდან გამოვლისას ჩამოართვეს 2-ნახევარი ფუთი შვრია — 162 მან. სულ 162 მანეთისა.

სოფ. ვორონცოვკის მცხ. ვასილ ივანეს-ძე ჟაბინს — 50 ფუთი თივა — 400 მან., 2 ც. ვედრო — 30 მ., 1 ც. სპილენძის თეფში — 20 მან. სულ 450 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ივანე იაკობის-ძე კრისინს — 50 ფუთი თივა — 400 მან., ცხენის გაზი 1 ც. — 25 მან., ვედრო 1 ც.—15 მან. სულ 440 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. მიხეილ ივანეს-ძე იაკუშოვს — 12 ც. ნათურა ელექტროსინათლისათვის 300 მანეთისა, სპილენძის

პირსაბანი 1 ც.—150 მან., ცხენის გაზი 1 ც.—25 მან. სულ 475 მანეთისა.

ვასილ ვასილის-ძე მორდოვინს — 1 სასადილო მაგიდა ხისა— 75 მან. სულ 75 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ილარიონ ლუკიანეს-ძე პავლოვს — თივა 50 ფუთი — 400 მან. სულ 400 მანეთისა.

სოფელ ვორონცოვკის მცხოვრებს მიხეილ სიმონის-ძე კობზიევს — 30 ფ. თივა — 240 მან., რკინის ფიწალი თივისათვის — 1 ც. — 7 მან. სულ 247 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. გრიგოლ გრიგოლის-ძე იაკუშოვს — 50 ფ. თივა — 400 მან., 90 ფუთი ბზე, ფუთი 3 მან., — სულ 270 მან. სულ 670 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ივანე საკეის-ძე სემილეტოვს — 20 ფუთი თივა — 160 მან., 20 ფუთი ჩალა, ფუთი 3 მან., — 60 მან., 50 ც. კვერცხი — 12 მ. 50 კ. სულ 232 მან. 50 კაპ.

ს. ვორონცოვკის მცხ. ივანე ექვთიმეს-ძე პავლოვს — 100 ფ. თივა—800 მან., 8 ფ. შვრია — 400 მან. სულ 1200 მან.

ს. ვორონცოვკის მცხ. იაკობ საველის-ძე სუზდალცევს — 20 ფუთი თივა — 160 მან., 10 ქათამი — 100 მან., 12 არშ. ფიცარი — 120 მან., სადურგლო ჰოპოსანი — 10 მან., სადურგლო ციბრუტი — 15 მან., თუთიის თასი — 10 მან., სელის საწეწელი — 10 მან. სულ 725 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ნესტრატ იაკობის-ძე კრისინს — 20 ფუთი თივა — 160 მან., 2 ც. სადურგლო ბურღი — 50 მან., 1 ფიცარი — 50 მან. სულ 260 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ალექსი თედორეს-ძე დანილოვს წაართვეს 1 პატარა ხბო, ზარალი — 500 მან. სულ 500 მანეთისა.

ვორონცოვკის ფ[ოსტა] ტ[ელეგრაფის] უფროსს ი. კ. სერბიევს, წაართვეს მაგიდის ლამპა 150 მანეთად ღირებული,

6 ცალი თეფში—30 მან., 2 ჩანგალი და 2 დანა სუფრისა—10 მან., გაუფუჭეს გრამოფონი—150 მან. სულ 340 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ივანე ბართლომეს-ძე ყარაევს—120 ფუთი ბზე 360 მანეთისა, წაღებულია 1 ც. ფიწალი—7 მან., თბილისიდან გამოვლისას ფურგონიდან წაღებულია 6 ფუთი შვრია 300 მანეთისა. სულ 667 მანეთისა.

სულ ს. ვორონცოვკის მოსახლეობაში გერმანელი ჯარისკაცების მიერ ნაძარცვისა და განიავებული ქონების ღირებულება შეადგენს 16.299 მან. 5Ɔ კაპ.

ეს აქტი შედგენილია მის წარსადგენად, სადაც ჯერარს, თხოვნით—აუნაზღაურდეთ დაზარალებულთ მიყენებული ზარალი.

ხელს აწერენ: მოწმენი ივანე ა. კონოვალოვი, სიმონ ნოვოსელცევი. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი...[1]

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს ლორის განყოფილებას. გთხოვთ ეს აქტი გადაგზავნოთ დანიშნულებისამებრ, ამ საქმეზე სათანადო განკარგულებათათვის, ამ აქტში აღნიშნულ დაზარალებულ პირთათვის ზარალის ასანაზღაურებლად. № 818. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი...[1]

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს. მხარს უჭერს რა კომისრის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს აუნაზღაურდეთ გერმანელთა სამხედრო ნაწილების მიერ მათთვის მიყენებული ზარალი, ლორის საბჭო ადასტურებს, რომ გერმანელი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი მტაცებლობის ყველა ფაქტი როდია აღწერილი აქტში, იმის გამო, რომ რუსი ადამიანი ბევრ რამეს აპატიებს ხოლმე სხვებს, მაგრამ ამ აქტში აღნიშნული შემთხვევები თვით ღაღადებენ მიზღვაზე, იმიტომ რომ ნაწყენ-დაჩაგრულნი არიან ისინი, ვისაც უამი-

---

[1] კომისრის გვარი დოკუმენტში აღნიშნული არ არის.

სოდაც ცუდად ეცხოვრებოდათ, ამიტომ საბჭოს ლორის სარაიონო განყოფილება სთხოვს საბჭოს — ყველა ზომა მიიღოს ზარალის საზღვევინებლად. № 48, 1918 წ. 21 ოქტომბერი, სოფ. ვორონცოვკა. ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს განყოფილების თავმჯდომარე[1]... განყოფილების მდივანი სამსონოვი.

ფ. 4, ს. 477, ფურც. 57—58.

**79. 1918 წ. ოქტომბრის 15. დამატება დუშეთის მაზრის ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის აქტისა სოფ. ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ გლეხებისათვის მიყენებული ზარალის შესახებ.**

გაგრძელება[დ] ამა წლის 15 ოქტომბრის აქტისა სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ მოყენებული მთელი ზარალის შესახებ:

ს[ოფელ] ვორონცოვკის მცხ[ოვრებს] მიხეილ პროკოფის-ძე ტომილინს — 30 ფუთი თივა, ფუთი 8 მან., სულ 240 მანეთისა, ნავთქურა 1 ც. — 30 მან. სულ 270 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ილარიონ იაკობის-ძე ტომილინს — 30 ფუთი თივა 240 მანეთისა. სულ 240 მანეთისა.

ყარსის ოლქის ლტოლვილს ვასილ მეტალნიკოვს—20 ფუთი თივა 160 მანეთისა. სულ 160 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ვასილ იაკობის-ძე იაკუშოვს — 20 ფუთი თივა 160 მანეთისა. სულ 160 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ალექსი ივანეს-ძე იაკუშოვს — 100 ფუთი თივა 800 მან., 80 არშ. ფიცარი, არშინი 10 მან., — 800 მან. სულ 1600 მანეთისა.

ს. ვორონცოვკის მცხ. ალექსი ივანეს-ძე ზოლნიკოვს — 50 ფუთი თივა — 400 მან. სულ 400 მანეთისა.

სულ 2830 მანეთისა.

---

[1] თავმჯდომარის გვარი დოკუმენტში აღნიშნული არ არის.

ეს აქტი შედგენილია მის წარსადგენად, სადაც ჯერარს, თხოვნით — აუნაზღაურდეთ დაზარალებულთ მიყენებული ზარალი. მოწმენი: ი. სიროვატკინი, პავლე რეშეტოვი. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი...[1]

რუსთა ეროვნული საბჭოს ლორის განყოფილებას. გთხოვთ ეს დამატება გადაგზავნოთ, სადაც ჯერარს, თხოვნით — აუნაზღაურდეთ ზარალი ამ აქტში მოხსენებულ დაზარალებულ პირთ.

1918 წლის 21 ოქტომბერი. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი...

ფ. 4, ს. 477, ფურც. 54

## 80. 1918 წ. ოქტომბრის 17. სადგ. სადახლოს უფროსის დეპეშა გზათა მინისტრისადმი გერმანელ ჯარისკაცთა უწესობის შესახებ, № 81.

ღამის დაახლოებით ორ საათზე აქ მყოფი სამხედრო ნაწილის გერმანელი ჯარისკაცები შეიჭრნენ მომარაგების სამინისტროს რწმუნებული აგენტის ვაგონში, ჯოხებით სცემეს მძინარე ჯარისკაცებს, მცველები გარეკეს ვაგონიდან და განაიარაღეს, შემდეგ იარაღი დაუბრუნეს. ერთ-ერთს რკინიგზის მოსამსახურეს ტანსაცმელი შემოახიეს, ხოლო მორიგე მეისრეს ციკორიძეს სცემეს. გერმანელი ჯარისკაცები სამჯერ შეიჭრნენ. ასეთი მოვლენა უსწორო ატმოსფეროს ჰქმნის და ხელს უშლის სადგურის მშვიდობიან მუშაობას. გთხოვთ დაგვიფაროთ ძალადობისაგან ჩვენ ყველანი და დაიცვათ ჩვენი ადამიანური ღირსება. სადგ. უფროსი შამურია.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 36. დეპეშის ასლი იმავდროულად გაეგზავნა გერმანიის სამხედრო მისიას.

---

[1] კომისრის გვარი აღნიშნული არ არის.

## 81. 1918 წ. ოქტომბრის 24. დამატება დუშეთის მაზრის ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის იმავე წლის 15-ოქტომბრის აქტისა სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელთა ჯარების უწესობათა შესახებ.

ამა რიცხვს მე, ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისარმა, დამატებად ჩემს მიერ ამა ოქტომბრის 15-ს შედგენილი აქტისა — სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმანელთა ჯარების უწესობათა შესახებ, ქვემორე ხელისმომწერი ორი მოწმის თანდასწრებით, შევადგინე ესე აქტი ქვემოაღნიშნულის შესახებ:

15 ამა ოქტომბერს ვორონცოვკიდან მიმავალმა გერმანელთა ესკადრონებმა მომთხოვეს ფორანების ერთგვარი რაოდენობა მათი ქონებასა და სურსათის დასატვირთავად. ფორანები დანიშნული იყო მხოლოდ „შუშის ქარხნამდე", რომელიც სოფელ ვორონცოვკას 27 ვერსით არის დაშორებული, იქ კი გერმანელებს ფორანები უნდა გამოეთხოვათ „შუშის ქარხნის" ახლომახლო მცხოვრები მოსახლეობისაგან, და ასეც უნდა მოქცეულიყვნენ ისინი არსებ[ული] წესის მიხედვით. გერმანელებმა კი წინადადება მოგვცეს — ფორანები გამოვვეყო მათთვის რკ[ინიგზის] სადგ[ურ] სანდარამდე (სოფელ ვორონცოვკიდან 90 ვერსის მანძილზე) ორივე მხარის ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, ფუთ ტვირთში 10 მანეთის გადახდით; ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, ვითომდა არ შეეძლოთ ანდა არ უნდოდათ „შუშის ქარხანაში" ხელახლა გადატვირთვა. გერმანელები მეფორანეებს დაჰპირდნენ ტვირთის გადაზიდვისათვის განსაზღვრული თანხის გადახდას, ფორანები დატვირთეს და წავიდნენ. „სანდარში" გერმანელებმა თავიანთი ქონება გადმოტვირთეს, მეფორანეები კი ხელცარიელნი გაუშვეს — ერთი კაპიკიც არ გადაუხდიათ ტვირთის გადაზიდვისათვის. ქვემოთ ჩამოთვლილნი არიან ის მეფორანეები, რომლებისთვისაც გერმანელებს ქირა არ გადაუხდიათ სადგ. „სანდარამდე" ტვირთის გადაზიდვისათვის.

| მეფორანის სახელი და გვარი | ტვირთი ფუთობით | გადასახ. ფასი | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| გრიგოლ კოლოლოვი. | 90 | 900 | სოფ. ვორონცოვკის (მცხოვრები) |
| ნიკოლოზ რეშეტოვი . | 100 | 1000 | |
| ვასილ შვეცოვი | 100 | 1000 | |
| ვასილ მოლოფეევი | 50 | 500 | " |
| ლაზარე კაპრანოვი. | 80 | 800 | ყარსის ოლქ. ლტოლვილი |
| ნიკოლოზ კაპრანოვი | 100 | 1000 | |
| ვასილ მეტალნიკოვი . | 100 | 1000 | |
| ივანე მეტალნიკოვი | 60 | 600 | " |
| ს უ ლ | 680 | 6800 მ. | |

გარდა ამისა, ჩემდამი რწმუნებული საზოგადოების სოფელ ნოვო-მიხაილოვკიდან იქითკენვე გაიგზავნა 10 ფურგონი, რომლებითაც გადაზიდულ იქნა 600 ფ. ტვირთი, ფუთი 10 მან., სულ 6000 მან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იაკობ ტანანაევი . | 70 ფ. | 13 მ. ფუთში | 910 მ. | ყარ. ოლქ. ლტოლვ. |
| თედორე შუბინი . | 47 ფ. 20 გ. | " | 617 მ. 50 კ. | " |
| იაკობ კატასანოვი . . | 87 ფ. | " | 1131 მ. | " |
| გრიგოლ შუბინი . | 95 ფ. | " | 1235 მ. | " |
| ივანე შუბინი . . . | 89 ფ. | " | 1157 მ. | " |
| ივანე ფედოროვი. | 80 ფ. | " | 1040 მ. | " |
| ეფიმ კოროლევი . | 84 ფ. | " | 1092 მ. | " |
| ტიმოთე ვინდაევი . | 54 ფ. | " | 702 მ. | " |
| ვასილ მოროზოვი . | 90 ფ. | " | 1170 მ. | " |
| ანდრია მუბინი. . | 106 ფ. | " | 1378 მ. | " |
| ალექს. პუშკარევი. . | 78 ფ. | " | 1024 მ. | " |
| ივანე პუშკარევი . | 80 ფ. | " | 1040 მ. | " |
| სულ ფუთი . . . | 960 ფ. 20 გ | " | 12496 მ. 50 კ. | |

მხედველობაში ვიღებთ რა ზემოხსენებულს, ამ აქტით დავადგინეთ—ეთხოვოს მთავრობას, ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს მეშვეობით, მიიღოს ზომები, რათა ანაზღაურებულ იქნას ის ზარალი, რაც ხსენებულმა პირებმა ნახეს აღნიშნულ პუნქტში გერმანელთა სამხედრო ნაწილების გადაყვანის დროს, ვინაიდან საიდანაც სჩანს[1], რომ გერმანელებმა გადამზიდავებს აღუთქვეს — გადაეხადნათ ერთი ჯგუფისათვის 10 მანეთი ფუთში და მეორესათვის—13 მანეთი, ნამდვილად კი მსგავსი არაფერი მომხდარა, და ამის შედეგად...[2] გერმანელებმა მოატყუეს სრულიად უდანაშაულო პირნი, რომელნიც ვალდებულნი არ იყვნენ უფასოდ გადაეყვანათ ისინი აღნიშნულ ადგილამდე; ამას მძიმე შედეგი მოჰყვა, განსაკუთრებით ლტოლვილთათვის, რომლებმაც მოიმარაგეს დღევანდელი ფასების მიხედვით მეტად ძვირი საკვები თავისთვის და ცხენებისათვის, რითაც დიდად დაზარალდნენ, საკვებში კი ფული მათ იმისათვის მისცეს, რომ „გროშები“ ეშოვათ; და თუ გერმანელები თავიანთ საქციელს იმით გაამართლებდნენ,[3] თითქოს ადმინისტრაციას მათთვის ფორანები „სანდარამდე“ უფასოდ დაეთმოს, ეს თავის მხრივ საფუძვლიანად შეიძლება გაბათილდეს იმით, რომ მეფორანეებს შორის უმრავლესობა ლტოლვილები აღმოჩნდნენ—საშოვრის, დღიური სარჩოს მოპოვების გულისათვის. მოწმენი: ტროფიმე მორდვინი, ზოლნიკოვი. ვორონცოვკის საზოგადოების კომისარი.

ფ. 4, ს. 477, ფურც. 52. ვორონცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის გვარი აღნიშნული არ არის.

---

[1] ასეა დოკუმენტში.

[2] გამოტოვებულია სიტყვა.

[3] ტექსტში: „უარჰყოფდნენ“.

## 82. 1918 წ. ოქტომბრის 25. ცნობა სოფ. ვორონცოვკის გლეხთა საქმეებში გერმანელების ჩარევის შესახებ.

რუსთა ეროვნულმა საბჭომ აცნობა მიწათმოქმედების მინისტრს, რომ სოფელ ვორონცოვკაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოახდინეს მიწის სულობრივი გაყოფა. გლეხების ნაწილი უკმაყოფილო დარჩა ამ გაყოფით და დახმარებისათვის მიმართა ვორონცოვკაში დაბანაკებულს გერმანელთა რაზმს. რაზმის უფროსმა ტყვიამფრქვევებით დახვრეტის მუქარით გარეკა მცხოვრებნი და შესწყვიტა მიწის შემდგომი გაყოფა. მიწათმოქმედების სამინისტრომ ამ შემთხვევის შესახებ აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც გერმანიის დელეგაციის წინაშე აღძრა საკითხი ამ საქმის გამოძიებისა და მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ზომების მიღების შესახებ.

გაზ. „ბორბა," 1918 წ., № 201

## 83. 1918 წ. დეკემბრის 5. გზათა მინისტრის ტელეფონოგრამა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გერმანელთა მიერ დაკავებული ერთ-ერთი საწყობის რკინიგზის სამმართველოს საჭიროებისათვის გადაცემის შესახებ, № 939.

რადგან რკინის გზის მართველობისათვის ძლიერ საჭიროა თბილისის სადგურზე მოთავსებული საწყობები, რომლებიც ამ ხნობით გერმანელებს უჭირავთ, ამიტომ გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა გერმანელთა დელეგაციასთან, რათა ერთ ერთი ამ საწყობთაგანი განთავისუფლებულ იქნას რკინის გზის მართველობის საჭიროებისათვის. მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე.

ფ. 17, ს. 45, ფურც. 51

## 84. ლუდენდორფის მოგონებიდან ამიერკავკასიაში გერმანელთა მიზნების შესახებ.

„... მე ვიწონებდი თურქების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რამდენადაც ეს ხელს უწყობდა ომის საერთო განვითარების ინტერესებს. მაგრამ ამას არ უნდა ჩამოეშორებინა თურქეთი მისი პირდაპირი სამხედრო ამოცანებისაგან და არ უნდა გაეძნელებინა ჩვენთვის კავკასიიდან ნედლეულის გატანა, რასაც, როგორც მოველოდით, არსებითად უნდა შეემსუბუქებინა ჩვენი მდგომარეობა. ენვერის ამოცანას შეადგენდა ბრძოლა ინგლისთან, პირველყოვლისა პალესტინის ფრონტზე. ამას მე მუდმივ ცხადად მივუთითებდი მას ტელეგრაფით. ახლაც გვეძლეოდა შემთხვევა დაგვერტყა ინგლისელებისათვის ჩრდილოეთ სპარსეთში. ამას ხელს უწყობდა რკინიგზის ხაზი ბათუმიდან თავრიზამდე თბილისზე გავლით. ჩრდილოეთ სპარსეთში თურქებს შეეძლოთ უპირატესობა ჰქონოდათ ინგლისელებზე. თუ ამასთანავე იმასაც შესძლებდნენ, რომ ინგლისის წინააღმდეგ აზერბაიჯანის მოსახლეობა აემხედრებინათ, ეს დიდ როლს ითამაშებდა. მე სიამოვნებით შევუწყობდი ხელს ყველაფერს, რაც ასეთს შედეგს მოგვცემდა. მაგრამ ენვერი და თურქეთის მთავრობა უფრო თავის პანისლამისტურ მიზნებზე ფიქრობდნენ კავკასიაში, ვიდრე ინგლისთან ომზე. ამ საკითხთან დაკავშირებული იყო მეტად რეალური მიზნები, უმთავრესად ის სარგებლობა, რომელიც დაკავშირებული იყო ამიერ-კავკასიის ნედლეულის გამოყენებასთან. გერმანიის სამხედრო მეურნეობა რომ ამით ვერაფერს მიიღებდა, ეს ყველასთვის გასაგები იყო, ვისაც წარმოდგენა ჰქონდა თურქების საქმიან ხერხებზე. ამის გამო ჩვენ უნებურად წინააღმდეგები აღმოვჩნდით იმ მიზნებთან, რომელთაც თურქები ისახავდნენ.

ბათუმში წარმოებული მოლაპარაკების დროს საქართველოს

რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიმართეს გენერალ ფონ-ლოსოვს და სთხოვეს გერმანიის იმპერიის მფარველობა. 1915 და 1916 წელს ჩვენ ვმუშაობდით სომხეთში ქართველ მოხალისეთა რაზმებთან ერთად, მაგრამ უშედეგოდ. ამასთან ერთგვარი კავშირი დავამყარეთ რამოდენიმე გავლენიან ქართველთან. სამხედრო მოსაზრებებით მე შემეძლო მხოლოდ მივსალმებოდი როგორც ასეთ დამოკიდებულებას, ისე საქართველოს თხოვნას გერმანიის მხრით მფარველობის შესახებ. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა თურქეთისგან დამოუკიდებლად მიგვეღწია კავკასიის ჩედლეულამდე და გავლენა მოგვეპოვებინა რკინიგზის ექსპლოატაციაზე, რომელიც თბილისზე გადის. ამ რკინიგზას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომის საწარმოებლად ჩრდილოეთ სპარსეთში, და მის ექსპლოატაციას გერმანიის კონტროლს ქვეშ უფრო მეტი წარმატება ექნებოდა, ვიდრე თურქეთის დახმარებით. დასასრულ, ჩვენ უნდა გვეცადა გაგვეძლიერებინა ჩვენი ძალები საქართველოს ჯარებით, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა ინგლისის წინააღმდეგ. მაშინ ჯერ კიდევ არ შეგვეძლო გაგვეთვალისწინებინა, თუ რა ზომამდე შეგვიქმნიდა გართულებებს ჩრდილოეთ კავკასიაში გენერალ ალექსეევის ყუბანის ოლქში განლაგებული მოხალისეთა არმია. ამის გამო მე შუამდგომლობა აღვძარი იმპერიის კანცლერის წინაშე საქართველოს სურვილების დაკმაყოფილების სასარგებლოდ.

მთავრობაც, სხვა მიზეზებით, იცავდა საქართველოზე ორიენტაციის პოლიტიკას. მას ეშინოდა იმ სიძნელეებისა, რომლებიც შეიძლებოდა შექმნილიყო ბოლშევიკური რუსეთის მიმართ თურქეთის მოქმედების გამო... მთავრობამ უარი არ სთქვა საქართველოს წარმომადგენლის მიღებაზე, რომელიც გენერალ ლოსოვთან ერთად ჩამოვიდა ბერლინს ივლისში“...

„სპაში შემდგარ თათბირზე საიმპერიო კანცლერმა, მიუთითა რა ჩვენს პოლიტიკაზე საქართველოში, განაცხადა, რომ გერ-

მანიის მთავრობის წარმომადგენლად თბილისში მიევლინებინათ პოლკოვნიკი ფონ-კრესი, რომელიც ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა პალესტინის ფრონტიდან, და მას გაჰყოლოდა დამცველი რაზმი ერთი ან ორი ასეულის რაოდენობით. საქართველოში ჩვენ უნდა გვემოქმედნა ენერგიულად. ამას მოითხოვდა ნედლეულით ჩვენი მომარაგების პირობები, სრულიად დამოუკიდებლად ჩვენი სურვილისა სამხედრო ძალებით გაძლიერებულიყავით ამ ოლქიდან. ამ მხრით რომ ჩვენ არ შეგვეძლო იმედი გვქონოდა თურქეთისა, ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისმა მოქმედებამ ბათუმში. ის დაეპატრონა ყველა პროდუქტებს, რაც კი იქ აღმოჩნდა. ბაქოდან ნავთის მიღება ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო, თუ მარტო ჩვენს საკუთარ ძალებს დავეყრდნობდით. მე ძალიან კარგად მახსოვს საწვავი მასალის ნაკლებობა გერმანიაში, ყოველგვარი სიძნელეები განათების მხრით ზამთრის განმავლობაში და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა მოვლენები. მე-7 არმიის შეტევის შემდეგ ჩვენ საწვავის მთელი მარაგი დავხარჯეთ არმიაში, და ახლა მის დიდ ნაკლებობას ვგრძნობდით. უკრაინის რკინიგზებისთვისაც საჭირო იყო ნავთი. ნავთის მოპოვება რუმინეთში შესაძლებლობის ფარგლებამდე იყო გადიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზედმეტი იყო იმის ფიქრი, რომ ამით დაგვეფარა მთელი მოთხოვნილება. ახლა ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა ნავთის ნაკლებობა დაგვეფარა მისი შემოზიდვით ამიერ-კავკასიიდან და განსაკუთრებით ბაქოდან, თუ კი შევძლებდით და თავისდროზე მოვაწესრიგებდით ტრანსპორტს. საველე რკინიგზების უფროსს უნდა გამოერკვია ნავთსასხმელი გემების მდგომარეობა. მე ძალიან მეწყინა, როცა ბოლშევიკებმა, მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენთვის ევნოთ, ნოვოროსიისკში ჩასძირეს შავი ზღვის ყველაზე დიდი ნავთსასხმელი გემი „ელბრუსი“. თურქეთთან შეთანხმებით, პოლკოვნიკ ფონ-კრესს უნდა მოეგვარებინა ექს-

პლოატაცია ბათუმ-თბილის-ბაქოს რკინიგზისა, სადაც ვაგონ-ცისტერნების დიდი პარკი იყო. მაგრამ ყველაფერ ამაში ძირითადი საკითხი იყო, რა თქმა უნდა, ის, თუ როგორ უნდა მოვხვედრილიყავით ბაქოში. ანგარიშები საბჭოთა მთავრობასთან ამ შემთხვევაშიც ხელს გვიშლიდა გვემოქმედნა სწრაფად და ენერგიულად. აგვისტოს დამდეგს ინგლისელები კასპიის ზღვით გადავიდნენ ენზელიდან და დაიკავეს ბაქო.

ბაქოში ინგლისელების დამკვიდრება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ თურქები პასიურად მოქმედებდნენ ჩრდილოეთ სპარსეთში; ჩვენს სამხედრო მეურნეობას დიდი ზარალი მოუვიდა. ამან შესაძლებლობა მისცა აგრეთვე ინგლისელებს უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ მოხალისეთა არმიას ყუბანის ოლქში. მაგრამ, მეორე მხრით, ბაქოს დაკავებით ინგლისელები ჩვენთვის მისაწვდომ ფარგლებში აღმოჩნდნენ. შესაძლებელი ხდებოდა დარტყმა ცოტა ძალების დახარჯვით. ამის გამო უმაღლესი სარდლობა შეუდგა ბაქოზე იერიშის მიტანის მომზადებას, ამ მიზნით შემოიერთა ნოურის ჯარები და თბილისში გაგზავნა კავალერისტთა ბრიგადა და რამდენიმე ბატალიონი. მაგრამ ნოურიმ ბაქო დაიკავა ისე, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით ჯარების გადაყვანის დამთავრება, ხოლო ბოლგარეთის შემდგომმა ამბებმა გვაიძულეს ეს ნაწილები რუმინეთში გაგვეგზავნა.

ჩრდილოეთ სპარსეთის ვითარება წინანდელ მდგომარეობაში დარჩა, ჩვენ იარაღს ვაწვდიდით უკრაინიდან იმ ტომებს, რომელთაც სურდათ თურქებს მიმხრობოდნენ. უკანასკნელნი კი არაფერს არ აკეთებდნენ, თუმცა მათ დიდძალი ჯარი ჰყავდათ დაგროვილი ბათუმთან და ყარსთან.

აღმოსავლეთში მე იმდენად ღრმად შევიჭერი, როგორც ეს საჭიროდ მიმაჩნდა, ანგარიშს ვუწევდი რა ჩვენს სამხედრო და სამხედრო-ეკონომიურ მდგომარეობას... და განზრახული მქონ-

და მიმეღო იქიდან მხოლოდ ის ნედლეული, რომელიც ასე საჭირო იყო ჩვენთვის როგორც არსებობისათვის საერთოდ, ისე ომის განგრძობისათვის. მე ვიმედოვნებდი, რომ თუ აქ წარმატებით გავარღვევდით ბლოკადას, შევძლებდით გაძლიერებას არა მარტო სამეურნეო მხრით, არამედ ჩვენს ფსიქიკურ და სულიერ ძალებსაც განვამტკიცებდით. მე აგრეთვე იმასაც ვფიქრობდი, რომ შეძლებისდაგვარად გამომეყენებინა ამ ოლქების ცოცხალი ძალა, ნაწილობრივ ჯარების შედგენით, ხოლო ნაწილობრივ, რისაც უფრო მეტი იმედი იყო, სამუშაო ძალის შეგროვებით ჩვენი სამშობლოსთვის იმ გერმანელების შესაცვლელად, რომელთა ჯარში გაწვევა შეიძლებოდა. ბუნებრივია, რომ მე ვცდილობდი ამ შედეგებისათვის მიმეღწია აღმოსავლეთის მთელ ოლქში, აგრეთვე ვიმედოვნებდი უშუალოდ მიმეღო ახალწვეულნი აღმოსავლეთის გერმანელი მოსახლეობიდან...“

ლუდენდორფი, „ჩემი მოგონებანი 1914—1918 წლების ომზე“, ტ. II, გვ. 187—188, 219—221.

### 85. 1920 წ. ივნისის 1. საბჭოთა მთავრობის ნოტიდან, რომელიც გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს მენშევიკური მთავრობის აგრესიული მოქმედების შესახებ.

„საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს, რომელიც საბჭოთა მთავრობას ბრალად სდებს ბრესტის ხელშეკრულების დადებას, არ შეუძლია არ იცოდეს, რომ იმ მძიმე მემკვიდრეობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დაუტოვა მუშურ-გლეხური რევოლუციის მომენტში მისმა წინამოადგილემ, წერეთელ-კერენსკი-კადეტების კონტრრევოლუციურმა მთავრობამ, თავდადებით რომ იცავდა ძველ საზოგადოებრივ წყობილებას განთავისუფ-

ლებისათვის მებრძოლ მშრომელი მასების წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობა უიარაღოდ დააყენა გერმანიის ულმობელი და მტაცებლური იმპერიალიზმის პირისპირ. მაგრამ რა რიგ მძიმეც არ იყო ის მსხვერპლი, რომელიც [მათდა] უნებურად უნდა გაეღოთ რუსეთის მუშურ-გლეხურ მასებს, მათ მრისხანე მტრისაგან დაიცვეს თავისი სახელოვანი, ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი — საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ძალის ის ულევი წყარო, რომელმაც ბრესტის ზავი შემობრუნების პუნქტად გახადა, რამაც საბოლოო ანგარიშში გერმანიის იმპერიალიზმის დამხობა და რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლების საბოლოო და სამუდამო განმტკიცება გამოიწვია გაუგონარი სიძნელეებისა და განსაცდელთა პირობებში. ამ გზას როდი დაადგა ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა. გერმანიის ანგარებიანი მტაცებლური იმპერიალიზმი, ცდილობდა რა როგორც თავისი ძლიერების უსაზღვროდ გაფართოებას, ისე თვით გაბატონებული იმპერიალიზმის მიმართ მტრული ახალი ძალების ჩახშობას, დაუღალავი ვერაგული მუშაობით ამზადებდა ახალ დარტყმებს მშრომელი მასების ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთში.

სარგებლობდნენ რა რუსეთის ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ახალი წყობილების სამხედრო სისუსტით, ისინი[1] კონტრრევოლუციის დასაყრდენ პუნქტებს ჰქმნიდნენ რუსეთის იმპერიის ყოფილ განაპირა მხარეებში, ცდილობდნენ რა თეთრგვარდიელთა ცენტრების რკალში მოექციათ საბჭოთა რუსეთი და ამ გზით მისი დაღუპვა მოემზადებინათ. თეთრგვარდიელთა ცენტრების ამ მწკრივში, სკოროპადსკისა და კრასნოვის გვერდით, უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობას. რატომ ასე იოლად მოურიგდა ის

---

[1] გერმანელი იმპერიალისტები.

თურქ ფაშებს ტრაპიზონში, რატომ აღმოუჩინეს მას ასეთი დახმარება გერმანელმა გენერლებმა და დიპლომატებმა, რატომ იყო, რომ საბჭოთა რუსეთისადმი ესოდენ შეუბრალებელი გერმანიის მთავრობა ასეთი გულმოდგინებით ელოლიავებოდა და იცავდა ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობის არსებობას? ყველამ იცის, რომ ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა კონტრრევოლუციის ერთერთი მორჩილი იარაღი იყო თავის საკუთარ ქვეყანაში მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და კიდევ ერთი სადავო პუნქტის შესაქმნელად მუშურგლეხური რევოლუციის თანდათანი მოძრაობის სისტემისა რუსეთშიც [1]. გათავხედებული იუნკრობის წარმომადგენელი მირბახი [2] მოსკოვში გამოჰყავდათ როგორც არა მარტო სკოროპადსკის, არამედ ჟორდანიას და ჩხეიძის მეგობარი და მფარველი. სახელდობრ: მან კატეგორიულად მოსთხოვა საბჭოთა მთავრობას მოლაპარაკება დაეწყო ჯერ ეგრეთწოდებულ ამიერ-კავკასიის სეიმთან და შემდეგ საქართველოს ახალ მთავრობასთან.

გერმანელთა ხიშტებზე დაყრდნობით ჟორდანიას მთავრობა დამსჯელ რაზმებს გზავნიდა სოხუმის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, აფხაზეთის წინააღმდეგ, სისხლში ახრჩობდა სახალხო მოძრაობას საქართველოში, ხვრეტდა მუშებს თბილისში, ყველგან სასტიკ გამანადგურებელ ომს აწარმოებდა მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით აქრობდა აგიზგიზებულ ხანძარს. ასე რომ ალიხანოვებისა და კრილოვების დროებანი არად მოსჩან-

---

[1] ასეა დოკუმენტში.

[2] გრაფი მირბახ ვილჰელმი — გერმანიის ელჩი საბჭოთა რუსეთში ბრესტის ზავის დადების შემდეგ.

და ჯუღელის, ჯიბლაძისა და კონიევის მოქმედების წინაშე. და იმ დროს, როცა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული შავი ზღვის სანაპიროს მშრომელი მასები დახმარებას სთხოვდნენ ყუბანში მყოფ საბჭოთა ჯარებს, ამ დახმარების აღმოჩენას ხელი შეუშალა გერმანიის ფლოტმა, რომელმაც ჟორდანიას მთავრობას შესაძლებლობა მისცა სისხლისმღვრელი ანგარიშის გასწორებით ბოლო მოეღო სახალხო მოძრაობისათვის შავი ზღვის სანაპიროზე.

ჟორდანიას მთავრობამ თვითონ მოიწვია საქართველოში გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო ძალები და მისი სულმდაბალი მორჩილი იარაღი იყო. ჟორდანიას მთავრობა დახმარებას უწევდა მას თავისი ბატონობა გაევრცელებინა ჩრდილოეთისაკენ, იგი კარს უღებდა მას საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიის მთიელთა ოლქში".

ფ. 13, ს. 81, ფურც. 23.

---

# სახელთა საძიებელი

## ა.


ალბრეხტი—106
ალექსეევი—137
ანდერსი—10, 11
ანდრონიკოვი—99
არდიშვილი—93
ახმედ-ბადალ-ოღლი—81
ახმედ მირზა მამედ ოღლი—87, 88


## ბ.


ბაგრატიონ-დავითაშვილი გ.—115
ბაგრატიონ-დავითაშვილი დ.—115
ბარათაშვილი—64, 99
ბენაევი—62
ბერიძე—93
ბუდაგოვი ი.—79


## გ.


გაზაევი—54
გაგუა—78
გეგელაშვილი ა.—71, 78
გეგეჭკორი ე.—14, 140, 141, 142
გედევანოვი—99
გიორგაძე—20, 54, 64
გოგოლაძე—62
გძელიძე—171


## დ.


დავითი—11
დანილოვი ა. თ.—128
დეკანოზოვი—115


## ე.


ელბაქიანი—106
ენვერი—136
ერეკლე II—11, 57
ეროპკინი—125


## ვ.


ვაჩნაძე—99
ვიალი მაგარამ ოღლი—80
ვინდაევი ტ.—133


## ზ.


ზანდაროვი გ.—61
ზოლნიკოვი—134
ზოლნიკოვი ა. ი.—130


## თ.


თაიროვი გ. ქ.—94
თაყაიშვილი—51
თეთრაძე—117

## ი.


იაკუშოვი ა. ი.—130
იაკუშოვი გ. გ.—128
იაკუშოვი ვ. ი.—130
იაკუშოვი ი.—123
იაკუშოვი მ. ი.—127
იოსელიანი—121


## კ.


კაიზერი—36, 53, 54, 55, 68
კანდელაკი ა.—75
კაპრანოვი ლ.—133
კაპრანოვი ნ.—133
კატასანოვი ი.—133
კაჩუხოვი—108
კედია ს.—99
კელბერაშვილი დ.—90, 96, 119
კერენსკი—140
კვინიხიძე—62
კობზიევი მ. ი.—129
კობლეცი—36
კოლოლოვი გ.—133
კონიევი—5, 143
კონოვალოვი ი.—125, 129
კოროლიოვი ე.—133
კორძაია—119
კრავჩენკო—109
კრასნოვი—14, 141
კრელი—62
ფონ-კრესი ო.—15, 19, 24, 28, 63, 64, 72, 74, 84, 85, 86, 89, 94, 96, 98, 100, 104, 110, 111, 115, 116, 117, 138.
ფონ-კრიგერი ე.—55, 56, 62, 64
კრისინი ი. ი.—127
კრისინი ნ. ი.—128


## ლ.


ლანდია—89
ლეისტი—35
ლენინი—17, 29
ლორთქიფანიძე—93, 99
ლორთქიფანიძე ი.—135
ფონ-ლოსოვი—7, 8, 38, 40, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 52, 53, 137
ლუდენდორფი—7, 9, 15, 136


## მ.


მაზნიევი—25, 89
მაისი გერმანი—35
მაისურაძე—78
მალანია—110
მეგრელიშვილი ი.—122
მეტალნიკოვი ვ.—130, 133
მეტალნიკოვი ი.—133
მირბახი—142
მიხაილოვსკი—51, 55
მოლა ფაშა ელაზ-ოღლი—79, 107
მოლოფეევი ვ.—133
მორდვინი ვ. ვ.—128
მორდვინი ტ.—134
მოროზოვი ვ.—133
მურჯიკნელი ა.—61
მუსაევი ო.—79
მჭედლიძე მ.—61
მჭედლიშვილი ზ.—67

## ნ.

ნაზარბეკოვი—38
ნერსესოვი ა.—79
ნერსესოვი ვ.—79
ფონ-ნიდა—15, 54
ნიკოლაძე გ. ნ.—20, 74
ნოვოსელცევი ა. ვ.—127
ნოვოსელცევი ს.—125, 129
ნოური—139
ნუნუფაროვი—102

## ო.

ორბელიანი—79, 107
ოსიპოვი ო.—23, 111, 112, 113

## პ.

პავლოვი ი. ე.—128
პავლოვი ი. ლ.—128
პასტურლინი—10
პოპონდოპულო—84
პუშკარევი ა.—133
პუშკარევი ი.—133
პფრიცენმაიერი ე.—35, 84

## ჟ.

ჟაბინი ვ. ი.—127
ჟორდანია ნ.—5, 14, 19, 20, 25, 29, 63, 64, 99, 141, 142, 143
ჟურული—99
ჟლენტი ა.—76

## რ.

რაზმაძე დ. პ.—60, 61
რამიშვილი ნ.—20, 29, 54, 56, 62, 94, 96, 99, 104, 110, 115, 117, 118, 119
რეიტერი ა.—71
რეშეტოვი ნ.—133
რეშეტოვი პ.—123, 131
რობაქიძე—78
როჟნოვი—36

## ს.

სამსონოვი—126, 130
სემილეტოვი ი. ს.—128
სერბიევი ი. კ.—128
სიროვატკინი ი.—131
სკოროპადსკი—14, 141, 142
სოლოვიოვი ვ. ს.—127
სტალინი ი. ბ.—4, 6, 30
სუზდალცევი ი. ს.—148
სულეიმან მოჰამედ-ოღლი—80

## ტ.

ტალანოვი ვ.—121, 125
ტალანოვი ი.—133
ტომილინი ი. ი.—130
ტომილინი მ. პ.—130
ტყემალაძე—108

## ფ.

ფეოდოროვი ი.—133
ფიცხელაური—106
ფრიც—123
ფრიცენი—52

### ქ.

ქართველოვი ი.—61

### ღ.

ღამბაშიძე—110
ღოღობერიძე—80

### ყ.

ყარაევი ბ.—126
ყარაევი ი. ბ.—129

### შ.

შამილ ოღლი ი.—80
შამურია—131
შაუმიანი ს. გ.—4
შელამოვი—112
შევცოვი ვ.—133
შევცოვი ი.—123
შიმანი—106
შუბინი ა.—133
შუბინი გ —133
შუბინი ი.—133
შუბინი თ.—133
შულენბურგი—10, 50, 54, 64

### ჩ.

ჩაჩანიძე დ.—61
ჩხეიძე—59, 142
ჩხენკელი ა.—38, 40, 43, 44, 45, 46, 48, 49, 50, 99, 108

### ც.

ციკორიძე—131
ცუმგაიერი—21, 84, 85

### წ.

წერეთელი—140
წერეთელი ა. ს.—78
წულუკიძე—113

### ხ.

ხალილ-ბეი—50
ხალილ ფაშა—86
ხიზანიშვილი მ.—61
ხიზანიშვილი პ.—61

### ჯ.

ჯაფარიძე—71, 73, 86, 101
ჯიბლაძე—5, 143
ჯუღელი—5, 143

### ჰ.

ფონ-დერ-ჰოლცი—85

# შ Ი Ნ Ა Ა Რ Ს Ი


გვ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი   ს ტ ა ტ ი ა . . . 3

ა რ ქ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი   შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . 31


## ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ


1. 1918 წ. მაისის 19. საქართველოში გერმანელების სადაზვერვო და ჯაშუშური საქმიანობის საიდუმლო ცნობებიდან . 35
2. 1918 წ. მაისის 20. საიდუმლო ცნობებიდან გერმანელების განზრახვის შესახებ ხელში ჩაიგდონ საქართველოს მთელი სასურსათო მარაგი და ნედლეული . . . . 36
3. 1918 წ. მაისის 26. დეპეშიდან, რომელიც კორპუსის შტაბის უფროსმა გაუგზავნა კარაკლისიდან შინაგან საქმეთა მინისტრს კარაკლისში გერმანელთა სამხედრო ნაწილის ჩასვლის შესახებ. № 732 . . . . . 38
4. 1918 წ. მაისის 28. წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის . . . . . 38
5. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის ორივე მხარის სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის დასაჩქარებლად . . . . . . 40
6. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება სავალუტო ურთიერთდამოკიდებულების წინასწარი მოწესრიგების შესახებ გერმანიასა და საქართველოს შორის . . . . . 43
7. 1918 წ. მაისის 28. შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის საქართველოს განკარგულებაში მყოფი გემების გერმანიისათვის გადაცემის შესახებ 45

8. 1918 წ. მაისის 28. I დამატებითი შეთანხმება 1918 წლის 28 მაისს ქ. ფოთში საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული დროებითი ხელშეკრულებისადმი საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ . . . . . . . 46
9. 1918 წ. მაისის 28. II დამატებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის მათი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების შესახებ . . . . . . . . 49
10. 1918 წ. ივნისის 1. საქართველოში გერმანიის მთავრობის წარმომადგენლის, გრაფ შულენბურგის დეპეშა ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარეს ბათუმში, ხალილ-ბეის, საქართველოს რკინიგზების ოტომანის იმპერიისათვის გადაცემის დაუშვებლობის შესახებ ამ გზების გერმანელთა რაზმების დაკავების გამო . . . . . . . . 50
11. 1918 წ. ივნისის 5. საქართველოში მყოფ გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის მიმართვა საქართველოს სამხედრო მინისტრს — „დაუყოვნებლივ კატეგორიული განკარგულება იქნას გაცემული რკინიგზის ყველა სამხედრო-სატრანსპორტო დაწესებულებისადმი თურქ ოფიცრებს და მათს აგენტებს არავითარი ცნობები არ მისცენ სამხედრო და ტექნიკურ საკითხებში რკინიგზებზე“, № 35. . . . . 51
12. 1918 წლის არა უადრეს 5 ივნისისა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოვ. ალმ. მიმართვა გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსს, რომ ის მზადაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს გერმანიის ხელისუფალთა წარმომადგენლებს . . 51
13. 1918 წ. ივნისის 13. ცნობიდან გერმანიის და საქართველოს ჯარების პარადის შესახებ ქ. თბილისში . . . 53
14. 1918 წ. არა უგვიანეს 16 ივნისისა. საქართველოში მყოფ გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის, კაპიტან ფონ-ნიდის მიმართვიდან საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი — გზათა სამინისტროს და ჯარების ტრანსპორტის გამგის სამმართველოს გერმანიის სამხედრო კომისიისათვის დამორჩილების შესახებ, № 36. . . . . . . 54
15. 1918 წ. ივნისის 17. საქართველოში გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის კაპიტან ეჰან ფონ-კრიგერის მიმართვა სა-

ქართველის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი გერმანიის ჯარების საჭიროებისათვის სარკინიგზო მიმოსვლის მოწესრიგების შესახებ, № ეა—288 . . . 55
16. 1918 წ. ივნისის 18. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. რამიშვილის მიმართვა საქართველოში გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსისადმი აღნიშნული კომისიის მიერ „აღძრული საკითხების არსებითი მხარის გამო" მთავრობის თავმჯდომარის მიერ განკარგულების გაცემის შესახებ, № 6946 56
17. 1918 წ. ივნისის 19. გაზ. „ბორბის" მოწინავედან — სათაურით: „ქართველი რეაქციონერების ზრახვები და გერმანია" 57
18. 1918 წ. ივნისის 20. ბორჩალოს მაზრის გომარეთის სოფლის კომისრის აქტი გერმანელთა დამსჯელი რაზმის მიერ სოფ. გომარეთის მცხოვრების სახლის დაწვის შესახებ . . 60
19. 1918 წ. არა უგვიანეს 20 ივნისისა. საქართველოს ჯარების მომარაგების სამმართველოს დავალებათა გენერლის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გერმანელთა სარდლობისათვის 24 ცხენის მიგვრის შესახებ . . 61
20. 1918 წ. ივნისის 22. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიმართვა გერმანიის სამხედრო კომისიის უფროსის კაპიტან ეჰან ფონ-კრიგერისადმი აღნიშნული კომისიის მოხელის კრელის თვითნებური მოქმედების შესახებ სამტრედიაში, № 7010 . . . . . 62
21. 1918 წ. ივნისის 22. ცნობიდან — წითელი გვარდიის შტაბის წევრებზე ორი გერმანელი ჯარისკაცის თავდასხმის შესახებ 62
22. 1918 წ. ივნისის 27. ცნობიდან — საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანიასთან გერმანიის დელეგაციის საუბრის შესახებ . . . . 63
23. 1918 წ. ივნისის 28. ცნობიდან — გერმანიის დელეგაციის „პატივსაცემად" მთავრობის მიერ მოწყობილი ბანკეტის შესახებ 63
24. 1918 წ. ივნისის 28. ცნობა გერმანიის საწარმოების დაბრუნების შესახებ . . . . . . . . . 65
25. 1918 წ. ივლისის 3. ცნობიდან — გერმანიაში მარგანეცის გატანის შესახებ . . . 65
26. 1918 წ. ივლისის 7. სტატიიდან — „სევდიანი ნატვრა „ულმობელი ძლიერი ხელისა"" 65

გვ.

27. 1918 წ. ივლისის 10. კოდის კომისრის მჭედლიშვილის მოხსენება თბილისის მაზრის კომისრისადმი გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ სოფ. კოდის მცხოვრებთა განიარაღების შესახებ, № 500 . . . . . 67

28. 1918 წ. ივლისის 11. ცნობიდან — თბილისში გერმანელთა ყოფნის შესახებ . . . . . . . 68

29. 1918 წ. ივლისის 13. მთავრობის ცნობა გერმანიის ჯარების მოსვლის მიზნების შესახებ . . . . . 69

30. 1918 წ. ივლისის 15. საგარეთუბნო რაიონის კომისრის მოვალეობის აღმასრულებლის პატაკი თბილისის მაზრის კომისრისადმი თეთრი წყაროს რაიონში გერმანელთა ბარბაროსული მოქმედებისა და იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნას მათ წინააღმდეგ სათანადო ზომები . . . . 69

31. 1918 წ. ივლისის 18. თბილისის გუბერნიის კომისრის მოხსენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ბორჩალოს მაზრასა და თეთრი წყაროს რაიონში გერმანელთა თარეშის შესახებ, № 3306 . 70

32. 1918 წ. ივლისის 18. გერმანიის დელეგაციის უფროსის მიმართვა საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი შულავერიდან საქართველოს ჯარების რაზმის გამოწვევის შესახებ, № 1212 . . . 72

33. 1918 წ. ივლისის 19. თბილისის გუბერნიის კომისრის განმარტება ბორჩალოს მაზრის კომისრისადმი ამ უკანასკნელის შეკითხვის გამო „მაზრაში გერმანელთა რაზმის მოქმედების" შესახებ, № 3322 72

34. 1918 წ. ივლისის 19. გერმანიის დელეგაციის უფროსის მიმართვიდან საქართველოს სამხედრო მინისტრისადმი იმის მოთხოვნით, რომ გერმანელ ჯარისკაცებს საქართველოში მოეპყრან გერმანიის კანონების მიხედვით, № 1250 73

35. 1918 წ. ივლისის 20. ცნობიდან — ფინანსთა სამინისტროში შემდგარ თათბირზე საქართველოდან გერმანიაში ნედლეულის გატანის შესახებ . 74

36. 1918 წ. ივლისის 31. ცნობა — ქ. ქუთაისში გერმანელთა სამხედრო ნაწილის მოსვლის შესახებ 74

გვ·

37. 1918 წ. ივლისის 31. საქართველოს რკინიგზების უფროსის ტელეფონოგრამა გერმანიის დელეგაციისადმი გერმანიის დელეგაციის დაუსაბუთებელი „საჩივრის" შესახებ, № 3634 74

38. 1918 წ. აგვისტოს 3. ალბულაღის რაიონის კომისრის მოხსენება თბილისის გუბერნიის კომისრისადმი ადგილობრივი გერმანელების მიერ გერმანელი ოფიცრის ხელშეწყობით გლეხების ხორბლის თვითნებური კონფისკაციის შესახებ . 76

39. 1918 წ. აგვისტოს 4. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის დეპეშა გორიდან თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გორში გერმანელთა ეშელონის მოსვლის შესახებ, № 216 . . . . 76

40. 1918 წ. აგვისტოს 7. მაზრის კომისრის ა. გეგელაშვილის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გერმანელთა ძალადობის შესახებ, № 165 78

41. 1918 წ. აგვისტოს 8. „განცხადების ოქმი", შედგენილი თეთრი წყაროს საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარის მიერ იმის შესახებ, რომ გლეხების მოსავლის ნაწილს ძალით უყვეს კონფისკაცია, გერმანელი ჯარისკაცების დახმარებით 78

42. 1918 წ. აგვისტოს 11. ბორჩალოს მაზრის სოფელ კასუმლოს საზოგადოების რწმუნებულების „განცხადების ოქმი", შედგენილი ბორჩალოს მაზრის კომისრის თანაშემწის მიერ აღნიშნულ სოფელში გერმანელ ოფიცერთა თარეშის შესახებ 80

43. 1918 წ. აგვისტოს 12. ცნობა ქალაქ ფოთში გერმანელების მიერ რადიოსადგურის მოწყობის შესახებ . 80

44. 1918 წ. აგვისტოს 13. სარვანის სოფლის კომისრის ახმედ ბადალ-ოღლის დეპეშა შულავერიდან თბილისის გუბერნიის კომისრისადმი იმის შესახებ, რომ გერმანელთა რაზმი მოითხოვს 150.000 მანეთის გადახდას გერმანელი კოლონისტების სასარგებლოდ . 81

45. 1918 წ. აგვისტოს 22. გერმანიის დელეგაციის მიმართვიდან საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისადმი გაფიცული მუშების წინააღმდეგ „ენერგიული ზომების" მიღების გზით ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების გადიდების აუცილებლობის შესახებ, № 1920 81

46. 1918 წ. აგვისტოს 23. ბორჩალოს მაზრის სადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარის დეპეშა მიწათმოქმედების მინისტრისადმი გერმანელების დახმარებით მემამულეების მიერ გლეხებიდან საიჯარო გადასახადის თვითნებურად აკრების შესახებ . . . . . . 84
47. 1918 წ. აგვისტოს 23. გერმანიის დელეგაციის წევრის ცუკმაიერის ინტერვიუ . . . . . . . . 84
48. 1918 წ. აგვისტოს 24. დუშეთის მაზრის კომისრის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი გერმანელების მიერ მუხრანის მოსახლეობაზე 35.000 მანეთის კონტრიბუციის დადებისა და რაიონის კომისრის დაპატიმრების შესახებ, № 3707 86
49. 1918 წ. აგვისტოს 24. ცნობა აბასთუმანსა და აწყურში გერმანელთა ჯარების შეყვანის შესახებ . . . . . 86
50. 1918 წ. აგვისტოს 26. „თბილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეში მყოფ პატიმრის“ ახმედ-მირზა-მამედ-ოღლის თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, რათა მან დაიცვას ის „თავის და უცხოეთის ხელისუფალთა თვითნებობისაგან“ . . . 87
51. 1918 წ. აგვისტოს 29. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის გენერალ ფონ-კრესის მიმართვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი „პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტებისაგან“ ფოთის, ახალ-სენაკის, ზუგდიდის და ანაკლიის რაიონების გაწმენდის აუცილებლობისა და ამ საქმისათვის გერმანელთა რაზმების გამოყენების შესახებ, № ა, 1, 2813. . 89
52. 1918 წ. სექტემბრის 2. მემამულე დ. კელბერაშვილის თხოვნა გერმანიის დელეგაციისადმი იმის შესახებ, რომ გაუწიოს მას დახმარება გლეხების დამორჩილების საქმეში . 90
53. 1918 წ. სექტემბრის 4. პურის დამზადების ბორჩალოს რწმუნებულის ლორთქიფანიძის დეპეშა პურის დამზადების დარგში მთავრობის რწმუნებულ არდიშვილისადმი — გერმანელთა ძალადობის შესახებ ბორჩალოს მაზრაში, № 778 . 93
54. 1918 წ. სექტემბრის 6. ცნობა გერმანელთა ჯარების თეთრ წყაროში გაგზავნის შესახებ . . . 94
55. 1918 წ. სექტემბრის 6. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის ოტტო ფონ-კრესის მიმართვა საქართველოს შინაგან

საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი მემამულე თაიროვის თხოვნის თანდართვით. თხოვნა ეხება იმას, რომ გერმანიის ჯარებმა დაიცვას თაიროვის ადგილ-მამული, № 775 . . 94

56. 1918 წ. სექტემბრის 6. გერმანიის დელეგაციის უფროსის ოტტო ფონ-კრესის მიმართვა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი იმის თხოვნით, რომ შეატყობინოს მას „სასურველია თუ არა გერმანელი ჯარისკაცების მიერ (მემამულე დ. კელბერაშვილის) ადგილ-მამულის დაკავება“ გლეხებისაგან ამ მამულის დაცვის მიზნით, № 778 . . . 96

57. 1918 წ. სექტემბრის 8. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენერალ ფონ-კრესის მოხსენება გერმანიის რეიხსკანცლერისადმი საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ 98

58. 1918 წ. სექტემბრის 12. სამხედრო-საბინაო სექციის უფროსის დეპეშა თბილისის გუბერნიის კომისრისადმი კერძო სახლებში გერმანიის ჯარების მოთავსების საქმისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ, № 1301 . 100

59. 1918 წ. სექტემბრის 13. თბილისის გუბერნიის კომისრის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისათვის გაგზავნილი ცნობა საქართველოს „რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გერმანელთა სამხედრო რაზმების“ ჩარევის შესახებ, № 4653 101

60. 1918 წ. სექტემბრის 13. სამხედრო სამინისტროს საბინაო სექციის მიმართვა თბილისის ქალაქის მილიციის უფროსისადმი ლტოლვილთა გამოსახლებისა და გერმანელთა და ქართული ჯარებისათვის სადგომის მიცემის შესახებ, № 1440 101

61. 1916 წ. სექტემბრის 13. გზათა მინისტრის მიმართვა გერმანიის დელეგაციისადმი — სატრანსპორტო სიძნელეთა გამო ფოთიდან გერმანელთა ჯარების გამოგზავნის დროებით შეწყვეტის შესახებ, № 3085 102

62. 1918 წ. სექტემბრის 14. გერმანელთა დელეგაციის უფროსის ოტტო ფონ-კრესის მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი — სოფელ არახლოსა და ყიზილსლოში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გერმანელთა ჯარების გაგზავნის შესახებ, № 944 104

63. 1918 წ. სექტემბრის 15. სამსახურებრივი დეპეშა ყველა სადგურის უფროსს სად. ხაშურიდან სად. ყვირილამდი — ყვირილისა და ხაშურის სადგურებში გერმანელ კომენდანტთა დანიშვნის შესახებ, № 11 . . . . . . 106

64. 1918 წ. სექტემბრის 18. ცნობიდან მუშების საქმეებში ფოთის ნავსადგურის გერმანელი კომენდანტის ჩარევის შესახებ 106

65. 1918 წ. სექტემბრის 19. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მიმართვა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიისადმი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გერმანელთა სამხედრო რაზმების ჩარევის შესახებ, № 17107 . . 107

66. 1918 წ. სექტემბრის 20. სიღნაღის მაზრის კომისრის დეპეშა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი სიღნაღში გერმანელთა ჯარების ჩასვლის შესახებ . . . . . 108

67. 1918 წ. სექტემბრის 21. სად. სანაინის მილიციის უფროსის თანაშემწის დეპეშა საქართველოს რკინიგზის მოსამსახურეთა I ყრილობის თავმჯდომარისადმი გერმანელი ჯარისკაცების უწესობათა შესახებ, № 452 . . 108

68. 1918 წ. სექტემბრის 22. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენ. ფონ-კრესის წინადადება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი გლეხებისათვის გორის მაზრის მემამულეთა სასარგებლოდ გერმანელთა საგანგებო სამხედრო რაზმის დახმარებით საიჯარო ქირის გადახდევინების შესახებ, № 1018 . . . . . . 110

69. 1918 წ. სექტემბრის 25. თეთრი წყაროს რაიონის კომისრის პატაკი თბილისის მაზრის კომისრისადმი დაწვრილებითი ცნობებით გერმანელების მიერ სოფლის კომისრის ოსიპოვის მოკვლის შესახებ, № 1175 . . . . 111

70. 1916 წ. სექტემბრის 25. გაზეთ „ერთობის" მოწინავე სტატიიდან — „გერმანელები ჩვენში" . . 114

71. 1918 წ. სექტემბრის 25. გერმანიის დელეგაციის უფროსის გენ. ფონ-კრესის მიმართვიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილისადმი გორის მაზრის მემამულეთა დაპატიმრების მიზეზის შეტყობინების მოთხოვნით, № 1060 115

72. 1918 წ. სექტემბრის 26. თბილისის ქალაქის თავის მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი გერმანელი

ჯარისკაცების მიერ მილიციონერის ცემისა და განიარაღე-
ბის შესახებ, № 3560 . . . . . . . . 117
73. 1918 წ. სექტემბრის 27. შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რა-
მიშვილის მიერ გერმანიის დელეგაციის უფროსის გენ. ფონ-
კრესისადმი წარდგენილი განმარტება გორის მაზრის მემამუ-
ლეთა დაპატიმრების შესახებ, № 3909 . . . . 117
74. 1918 წ. სექტემბრის 30. შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამი-
შვილის მიმართვა გერმანიის დელეგაციის უფროსისადმი მის
მიერ მემამულე დ. კელბერაშვილის მფლობელობის დასაცა-
ვად ზომების მიღების შესახებ, № 3629 . . . 119
75. 1918 წ. ოქტომბრის 5. ცნობა გერმანელების მიერ ფოთის
ნავსადგურში საქართველოს გემების ხელში ჩაგდების შესახებ 119
76. 1918 წ. ოქტომბრის 14. მოსამსახურეთა პროფკავშირების
ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მიერ საქართველოს
რკინიგზების უფროსისადმი გაგზავნილი განცხადებიდან გერ-
მანელი ჯარისკაცების მიერ მგზავრების შევიწროების შესა-
ხებ, № 6887 . . . . . . . . . 120
77. 1918 წ. ოქტომბრის 15. დუშეთის მაზრის ვორონცოვკის სა-
სოფლო საზოგადოების კომისრის აქტი სოფელ ვორონცოვ-
კაში დაბანაკებული გერმანელთა ჯარების უწესობათა შესახებ 122
78. 1918 წ. ოქტომბრის 15. ვორონცოვკის საზოგადოების კო-
მისრის აქტი „სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებული გერმა-
ნელთა ჯარების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ“ 126
79. 1918 წ. ოქტომბრის 15. დამატება დუშეთის მაზრის ვორონ-
ცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის აქტისა სოფ. ვო-
რონცოვკაში დაბანაკებული გერმანელი ჯარისკაცების მიერ
გლეხებისათვის მიყენებული ზარალის შესახებ . 130
80. 1918 წ. ოქტომბრის 17. სად. სადახლოს უფროსის დეპეშა
გზათა მინისტრისადმი გერმანელ ჯარისკაცთა უწესობის შე-
შესახებ, № 31 . 131
81. 1918 წ. ოქტომბრის 24. დამატება დუშეთის მაზრის ვორონ-
ცოვკის სასოფლო საზოგადოების კომისრის იმავე წლის
15 ოქტომბრის აქტისა სოფელ ვორონცოვკაში დაბანაკებუ-
ლი გერმანელთა ჯარების უწესობათა შესახებ 132

82. 1918 წ. ოქტომბრის 25. ცნობა სოფ. ვორონცოვკის გლეხთა საქმეებში გერმანელების ჩარევის შესახებ. . 135
83. 1918 წ. დეკემბრის 5. გზათა მინისტრის ტელეფონოგრამა საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გერმანელთა მიერ დაკავებული ერთ-ერთი საწყობის რკინიგზის სამმართველოს საკუთრებისათვის გადაცემის შესახებ, № 939 . . . . 135
84. ლუდენდორფის მოგონებიდან ამიერკავკასიაში გერმანელთა მიზნების შესახებ . . . . . . 136
85. 1920 წ. ივნისის 1. საბჭოთა მთავრობის ნოტიდან, რომელიც გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს მენშევიკური მთავრობის აგრესიული მოქმედების შესახებ 140

პ/მგ. რედაქტორი ლ. ზეგეშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX-1942. შე 11370. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთის № 1794. ტირაჟი 3000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. ჟორესის ქ., 5.